საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
1 აგვისტო **შაბათი** 2009
№ 179 (12 858) ფასი 60 თეთრი

# რუსები რაღაცას გვატყუებენ

## სპარტაკი ანანიძეს ნაკრებში წასვლას არ ურჩევს

» გვერდი 5




ჟანო ანანიძე

# ფეხბურთი გლოვობს

## ინგლისმა რაინდი დაკარგა: სერ ბობი რობსონი 75 წლის ასაკში გარდაიცვალა



» გვერდი 9

# დღეს ეროვნული იწყება

პირველი ტური
1 აგვისტო, შაბათი

სიონი-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-სამტრედია
ბაია-ოლიმპი

2 აგვისტო, კვირა
ზესტაფონი-ლოკომოტივი

## დინამო საწყის ორ ტურს გამოტოვებს

გუნდების წარდგენა » გვერდი 2-3



საქართველოს ჩემპიონატი — გუნდების წარდგენა

| გაგრა-დინამო | სიონი-სპარტაკი | ვიტ ჯორჯია-სამტრედია | ბაია-ოლიმპი | ზესტაფონი-ლოკომოტივი |
|---|---|---|---|---|
| გადაიდო | 01.08.09. ბოლნისი. თ. სტეფანია | 01.08.09. გორი. თ. ბურჯანაძე | 01.08.09. ზუგდიდი. ცენტრალური | 02.08.09. ზესტაფონი. ცენტრალური |
| | 17:30 | 17:30 | 18:00 Live. I არხი | 17:30 |
| | არბიტრი: ლ. კვარაცხელია; ასისტენტები: ბ. ჭიჭინაძე, ო. მოლოდინაშვილი; მეოთხე მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი | არბიტრი: ლ. სილაგავა; ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, ზ. ფიფია; მეოთხე მსაჯი: გ. დოგრაშვილი | არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი; ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, კ. გაბრიაძე; მეოთხე მსაჯი: პ. დოგრაშვილი | არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი; ასისტენტები: კ. ბერაძე, ზ. ბერულავა; მეოთხე მსაჯი: ხ. გაგნიძე |

*საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატის დასრულებიდან ორი თვე გავიდა და აი, დღეიდან ახალი სეზონიც იწყება. იმედი დავიტოვოთ, რომ XXI ჩემპიონატი, წინასგან განსხვავებით, მხოლოდ დადებითად დაგვამახსოვრდება; ანუ, მაქსიმალურად შემცირდება სეზონის ფინიშისკენ უნიჭოდ დადგმული საფეხბურთო სპექტაკლები თუ ყველასათვის აშკარად დასანახი... რამდენიმე გუნდის ერთმანეთთან „ჩახუტება“! ჰო, ხალხს სანახაობა უყვარს და თუ გვინდა, რომ ჩვენს სტადიონებზე გულშემატკივარმა იაროს, მაშინ, ყველამ კეთილი უნდა ინებოს და ნაღდი ფეხბურთიც შემოგვთავაზოს! მაშ, ასე – ოთხწრიანი „მარათონი“ იწყება! ახლა კი, ტრადიციულად, უმაღლესი ლიგის ათივე გუნდზე ვისაუბროთ: ახალი სეზონისთვის როგორ მოემზადნენ, ვინ – დაიმატეს, ვინ – გაუშვეს, რა მიზნები ექნებათ და ასე შემდეგ...*



# ძველ-ახალი ფავორიტები



## დინამო

ისტორია, ტრადიცია, ტიტულები და, რაც მთავარია, მარადიული ფავორიტის სტატუსი — ყოველი ახალი სეზონის დაწყების წინ „დინამოს“ მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობაა! ასე იქნება ახლაც, ოღონდ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ კახა კაჭარავას გუნდს ამ მიზნის მიღწევა, შესაძლოა, გაუჭირდეს კიდეც. მიზეზი, რაღა თქმა უნდა, ერთობ მოკლე სათადარიგოთა სკამია; თუმცა, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ სატრანსფერო „ფანჯარა“ 31 აგვისტოს იხურება და „დინამოს“ ხელმძღვანელობასაც, ალბათ, ჩვენზე უკეთ მოეხსენება, თუ რომელი რგოლის გაძლიერებაა საჭირო. თანაც, არცთუ უმნიშვნელო ფაქტორიც უნდა ვახსენოთ — ევროტურნირებზე ასპარეზობამ ჩემპიონატის კალენდარში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა და საწყის ორ ტურს „დინამო“ გამოტოვებს. რა თქმა უნდა, ყველას გვინდა, რომ „დინამომ“ რაც შეიძლება მეტი ეტაპი გაიაროს ევროტურნირებზე, მაგრამ აი, მერე რომ მოუწევს ზედიზედ სამ-ოთხ დღეში ჩემპიონატების მატჩების ჩატარება, შეძლებენ კი ფეხბურთელები ასეთ გრაფიკთან შეგუებას? რაც მთავარია, ერთ რამეში დარწმუნებული ვართ — შარშანდელი კოშმარული სტარტი აღარ განმეორდება! შეგახსენებთ, რომ მაშინ „დინამომ“ კლუბის ანტირეკორდი დაამყარა — 5 შეხვედრაში სამი წააგო! თუმცა, ამის ბევრი მიზეზი იყო — ახალი მწვრთნელი (თან — უცხოელი), ფეხბურთელების შეუთამაშებლობა და ასე შემდეგ. ახლა კი ყველაფერი პირიქით არის: კაჭარავა უკვე დიდი ხანია ოპტიმალურ შემადგენლობას ეყრდნობა და „დინამოს“ ლიდერებიც (**მერებაშვილი, ხმალაძე, ნერგაძე,** ძმები **კაშიები**) ჩინებულ ფორმაში არიან. იმედია, სულ მალე იმავეს ვიტყვით **მათე ვაწაძეზეც** — ტრავმის გამო ბევრი რომ გაუცდა; არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება **მილოშ კრშკოს** გამოჯანმრთელებაც — სლოვაკი მცველი ხომ თავის ამპლუაში საქართველოში, უდავოდ, ერთ-ერთი საუკეთესოა. ამას გარდა, დიდი ინტერესით ველოდებით „დინამოს“ ახალწვეულის **გრიგოლ დოლიძის** გამოჩენასაც — თავის საყვარელ მარჯვენა ფლანგზე ეფექტური და, რაც მთავარია, ეფექტიანი სოლო-რეიდები რომ უყვარს. მოკლედ, „დინამო“ კვლავაც რჩება ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტად, თუმცა, მანამდე, კიდევ ერთხელ გვინდა, ევროტურნირებზე წარმატებული ასპარეზობა მივულოცოთ.



## ვიტ ჯორჯია

არაახალი ამბავია - ტიტულის მოპოვებაზე ძნელი, მისი შენარჩუნებაა; ანუ, მეოცე ჩემპიონატის გამარჯვებულ გუნდს, ალბათ, გაუძნელდება ოქროს მედლების ზედიზედ მეორედ მოპოვება. თუმცა, ერთ რამეში კი ნამდვილად დარწმუნებული ვართ: „ვიტ ჯორჯია“ კვლავაც ერთ-ერთი ყველაზე რეალური ფავორიტია! სხვანაირად ვერც იქნება — კლუბის ხელმძღვანელობას რომ აბსოლუტურად სწორი გეზი აქვს აღებული, ამაზე ბევრჯერ გვისაუბრია. ჰოდა, ამ წინასწარ გააზრებულ და მომავალზე გათვლილ საკლუბო პოლიტიკას, უკვე წლებია, სასურველი შედეგი მოაქვს. მოქმედი ჩემპიონი ახალი სეზონისთვის ნაყოფიერად მოემზადა — უკრაინაში შეკრებას ევროტურნირებზე შეხვედრებიც მოჰყვა. სამწუხაროდ, ჩემპიონთა ლიგაზე „ვიტ ჯორჯიამ“ მომდევნო წრეში ვერ გააღწია, მაგრამ, იმას ნამდვილად ვერავინ იტყვის, რომ ჩვენმა ჩემპიონმა სამარცხვინოდ ითამაშაო; უბრალოდ, სლოვენიური „მარიბორი“ უკეთესი გუნდი აღმოჩნდა, სულ ეს იყო...

...„ვიტ ჯორჯიამ“ ბოლო წლების ტრადიცია არც ახლა დაარღვია და ძირითადი შემადგენლობა, ფაქტობრივად, სრულად შეინარჩუნა. ერთადერთი დანაკლისი, **გიორგი მელქაძის** ტრავმაა, რის გამოც ამ ტექნიკურ ნახევარმცველს სეზონის სტარტი გაუცდება. რაც შეეხება მატებას, გუნდში ჩაირიცხა ერთობ საინტერესო მარჯვენაფლანგელი **გიორგი კახელიშვილი** — ამ სწრაფ და ტექნიკურ ფეხბურთელს ნახევარმცველადაც შეუძლია ასპარეზობა და გარემარბადაც. ეგ კი არა, წინა სეზონში რამდენჯერმე... მარცხენა მცველადაც ვიხილეთ. სტაბილურობა და საქმისადმი პროფესიული მიდგომა — 11 წელიწადი „ვიტ ჯორჯიასგან“ მხოლოდ... „ამას ვხედავთ“ და ამიტომაც არის ეს კლუბი წარმატებული. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, კლუბის პრეზიდენტის, **გურამ რუხაძისა** და მისი ერთგული თანამოაზრეების დამსახურებაა. რუხაძის მართლაც უნიკალურ რეკორდს კი, ალბათ, დიდი ხანი ვერავინ გააუმჯობესებს — 11 წლის განმავლობაში (ანუ, დღიდან დაარსებისა) კლუბის უცვლელი პრეზიდენტი რომ გახლავთ. ახლა კი, მეორე და არანაკლები მნიშვნელობის რეკორდსმენზეც — „ვიტ ჯორჯიას“ ბოლოდროინდელი წარმატებების ერთ-ერთ მთავარ სულისჩამდგმელზე, გუნდის მთავარ მწვრთნელ **რამაზ მუმლაძეზე** მოგახსენებთ. მუმლაძე უკვე მეხუთე სეზონს იწყებს „ვიტ ჯორჯიაში“ და ამდენი ხანი ამ კლუბში არც ერთ მწვრთნელს უმუშავია; ეგ კი არა, თუ არ ვცდებით, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაშიც ერთეულებს თუ უმოღვაწიათ „გადაბმულად“ ერთსა და იმავე გუნდში ხუთი წლის განმავლობაში! არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ „ვიტ ჯორჯიას“ ყველა ლიდერი კვლავაც მოტივირებული იქნება: **გრიგოლ ბედიაშვილი, ალექსანდრე კვახაძე, დავით ლომაია, ლუკა რაზმაძე, ირაკლი კლიმიაშვილი, ჯაბა ლიპარტია** — ამ ფეხბურთელებს მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა მოეთხოვებათ. ამას გარდა, ასევე ტრადიციულად ამ სეზონშიც, ალბათ ხშირად ვიხილავთ „ვიტ ჯორჯიას“ ფარმ-კლუბიდან დაწინაურებულ პერსპექტიულ ახალგაზრდებსაც.

## გაგრა

XXI ჩემპიონატში ერთადერთი უცხოელი მწვრთნელი გვეყოლება — უკრაინელი **ვლადიმერ კაშჩეი**. წინა სეზონის დებიუტანტისგან, რაღა თქმა უნდა, არც ამ სეზონში ველოდებით მედლებისთვის ბრძოლას. თუმცა, კლუბის ახალგაზრდა შემადგენლობას არაერთი სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლია და გვჯერა, რომ წინა სეზონის მსგავსად ასეთი შემთხვევები ახლაც მრავლად იქნება. „გაგრას“ ფინანსური პრობლემები არ აწუხებს: გუნდმა საკმაოდ ნაყოფიერი შეკრება გაიარა (ურეკში), სადაც უამრავი პოტენციური ახალწვეულიც გასინჯეს. საბოლოოდ კი, ახალ სეზონში მხოლოდ ერთი ლეგიონერი — **სერგეი ბერბატი** (უკრაინა) დაიტოვეს. ამას გარდა, „გაგრამ“ ერთობ საინტერესო ტრანსფერები განახორციელა — კლუბმა არ უღალატა ტრადიციას და ძირითადი აქცენტი კვლავაც პერსპექტიულ ახალგაზრდებზე აიღო. **ილია პავლიაშვილი, შალვა კვანტალიანი,** ტყუპი ძმა **შალიკაშვილები** — ამ ჭაბუკებზე სპეციალისტები დიდ იმედებს ამყარებენ და ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ „გაგრაში“ უფრო აიმაღლებენ ოსტატობას. არანაკლებ ფასეულად უნდა მივიჩნიოთ გუნდის კიდევ ორი შენაძენი: საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი **ლაშა თოთაძე** მშობლიურ კლუბს უკრაინიდან დაუბრუნდა, ხოლო „ამერის“ ყოფილი მეკარე **ლადო ნადირაშვილი** ჯერ კიდევ ორი წლის წინათ თავის ამპლუაში საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნეოდა.

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ქართული ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი

## გუნდების წარდგენა

### ზესტაფონი

წინა ჩემპიონატი რამდენიმე დღის დასრულებული იყო, რომ „ზესტაფონმა" უკვე ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. თუმცა, მაშინვე კი არა, უფრო ადრეც ვიცოდით, რომ „ზესტაფონი" XXI ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი იქნებოდა! რაც მთავარია, ჯერჯერობით ყველაფერი აქეთკენ მიდის — გუნდმა ნაყოფიერი შეკრებაც გაიარა (სლოვენიაში), მერე კი მართლაც, ღირსეულად და შთამბეჭდავად იასპარეზა ევროტურნირებზე! „ზესტაფონს" საკმაოდ ამბიციური და მცოდნე მწვრთნელი ჰყავს და **გია გეგუჩაძის** გუნდს რომ ფავორიტის სტატუსი მივანიჭოთ, არავის უნდა გაუკვირდეს. გეგუჩაძემ ამ ჯერზე საკუთარი შეხედულებითა თუ გემოვნებით დააკომპლექტა გუნდი და უნდა ვაღიაროთ, რომ სხვა ქართული გუნდებისგან განსხვავებით, ყველაზე „ხმაურიანი" ტრანსფერებიც მოახერხა. **თორნიკე აფციაური, გიორგი ონიანი, შოთა გრიგალაშვილი, ჯაბა დვალი, გიორგი ცხადაია** და, სულ ბოლოს, **ლევან კორღალიძეც** — ვინ არ ისურვებდა ასეთი ფეხბურთელების დამატებას? ამასთან, ნუ დაგვავიწყდება „ზესტაფონის" სხვა ლიდერებიც: **ნიკა გელაშვილი, უჩა ლობჟანიძე, მურთაზ დაუშვილი, ირაკლი ძარია, ზურაბ მამალაძე.** ანუ, ფაქტია, რომ „ზესტაფონი" ფაქტობრივად, XXI ჩემპიონატის ერთადერთი გუნდია, სადაც თითოეულ პოზიციაზე ორი სრულფასოვანი ფეხბურთელი აცხადებს პრეტენზიას. ოთხწრიანი პირველობის პირობებში კი ეს, მართლაც, ფასდაუდებელი გარემოება იქნება და აბსოლუტურად ლოგიკურადაც გვეჩვენება „ზესტაფონის" საჩემპიონო ამბიციები. დაბოლოს — საქართველოს ჩემპიონატში კვლავაც ვიხილავთ ქართული ფეხბურთის დამსახურებულ ვეტერანს, 38 წლის **ზურაბ იონანიძეს!** რამდენი წელიწადი უნდა გავიდეს, მის მიერ ჩატარებული მატჩებისა თუ გოლების სარეკორდო მაჩვენებლებს ვინმე... ოდნავ რომ მიუახლოვდეს?!.



ნიკოლოზ გელაშვილი

### სამტრედია

ხანგრძლივი პაუზისა და განშორების შემდეგ უმაღლეს ლიგას „სამტრედია" დაუბრუნდა! აი, რა უნდა იყოს XX ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი სიახლე. ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ: ვინ იცის, იქნებ „სამტრედიას" მაგალითი სხვა ტრადიციული გუნდებისთვისაც („ტორპედო", „ბათუმი", „გურია," „კოლხეთი") „გადამდები" აღმოჩნდეს. ხვალ და ზეგ რა იქნება, ვერავინ გვეტყვის, მანამდე კი კიდევ ერთხელ გვინდა „სამტრედიას" უძლიერესთა რიგებში დაბრუნება მივულოცოთ. რა ბევრი მტკიცება სჭირდება იმას, რომ გუნდს ერთობ რთული სეზონი ელოდება: პირველ და უმაღლეს ლიგას შორის ხომ საკმაოდ დიდი სხვაობაა. ეს ფაქტი კი, ალბათ, ჩვენზე უკეთ მოეხსენება კლუბის პრეზიდენტ **ზაზა ადეიშვილს**, ვისი ხელმძღვანელობითაც „სამტრედიამ" უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა და თავისი ერთგული ქომაგები ასე გაახარა. აღარაფერს ვამბობთ გუნდის მთავარ მწვრთნელზე, ქართული ფეხბურთის მართლაც, დამსახურებულ და ამაგდარ სპეციალისტზე — **ვალერიან ჩხარტიშვილზე.** უმაღლეს ლიგაში მომუშავე ზოგი მწვრთნელი დაბადებული არ იყო, ჩხარტიშვილი რომ ფეხბურთში „ტრიალებდა": ჯერ, როგორც მოთამაშე, მერე კი — მწვრთნელი. უდიდესი გამოცდილების სპეციალისტი უმაღლეს ლიგას კარგა ხნის შესვენების მერე უბრუნდება და, ალბათ, თვითონაც კარგად იცის, თუ როგორი ძნელი იქნება მისი გუნდისთვის საწყისი მატჩები. ისე, „სამტრედიამ" აშკარად გამართლებული სატრანსფერო კამპანია აწარმოა და გუნდში ბევრი გამოცდილი ფეხბურთელიც მოიწვია: **შოთა ჩომახიძე, ბესიკ ხაჭიპერაძე, ვაჟა ქორიძე, მიხეილ კაკალაძე, ლაშა ჯანგიძე, პაატა ბაკარაძე, ლაშა ვაშაკიძე...** აღსანიშნავია, რომ ამათგან ბევრი... სამტრედიელია და ისინიც წლების მერე დაუბრუნდნენ მშობლიურ გუნდს.

### ბაია

სახელწოდებას რა მნიშვნელობა აქვს — „მგლები" ერქმევა თუ „ბაია", მთავარია, რომ ზუგდიდური კლუბი ისევ უმაღლესშია და ისევ გაგვახარებს სხვებისგან განსხვავებული ანუ, თამაშის აშკარად საკუთარი ხელწერით! ჰო, კიდევ კარგი, კომპრომისი მოიძებნა და ერთ ქალაქში ორი ჩინებული გუნდის ბაზაზე, ერთი და უფრო მძლავრი გუნდი ჩამოყალიბდა. იმის მიუხედავად, რომ ახალ სეზონში, ფაქტობრივად, „ბაიას" ძირითადი ბირთვი უნდა ვიხილოთ, გუნდის მთავარი მწვრთნელი კვლავაც **ბესიკ შეროზია** იქნება. თუმცა, ეს ფაქტი არავის უნდა გაუკვირდეს — წინა ორ სეზონში „მგლების" ნებისმიერი წარმატების სულისჩამდგმელი ხომ ეს მეტად საინტერესო სპეციალისტი გახლდათ. შეროზიას გუნდმა შეკრებაც ნაყოფიერი გაიარა და ბევრი საკონტროლო თამაშიც ჩაატარა, სადაც არაერთ პოტენციურ ახალწვეულსაც აკვირდებოდა. ბევრისთვის საინტერესო გამოდგა ის ფაქტი, რომ „ბაიაში" საკმაოდ ბევრი უცხოელი ფეხბურთელი ისინჯებოდა; საბოლოოდ კი, როგორც ვიცით, მწვრთნელის მოწონება **ჩისამბა ლუნგუმ** (ზამბია) და **ჯეკ დენიელმა** (კამერუნი) დაიმსახურა. ამას გარდა, ძალიან დიდ ინტერსს იწვევს კიდევ ერთი პოტენციური ახალწვეულის, **რევაზ ჯიქიას** გამოჩენაც — ქუთაისის „ტორპედოს", „ბათუმისა" და „ოლიმპის" ყოფილი ფორვარდი საქართველოს ჩემპიონატს რუსეთიდან დაუბრუნდა. ჯიქია ისეთი სტილის ფეხბურთელია, ერთი ზუსტი დარტყმით თუ არანაკლებ ზუსტი საგოლე გადაცემით, მატჩის ბედის გადაწყვეტა რომ შეუძლია. რაც შეეხება „მგლების" ყოფილ ფეხბურთელებს, შეროზიას განკარგულებაში კვლავაც იქნებიან როგორც გამოცდილი (**რონინ ონიანი, ვალტერ გუჩუა**), ასევე ახალგაზრდა (**მაკარ აქუბარდია**) ფეხბურთელები. აი, ერთ ჭაბუკზე, **ნიკა ძალამიძეზე** კი განსაკუთრებული ყურადღება გვინდა შევაჩეროთ — ასაკთან შეუფერებელი ოსტატობით რომ გამოირჩევა...

### სიონი

წინა სეზონის დაწყების წინაც და მერეც, ზამთრის პაუზის დროს, „სიონში" შემადგენლობის აქტიური გადახალისება მიმდინარეობდა, სამწუხაროდ, არცთუ ურიგოდ დაკომპლექტებულმა გუნდმა საკუთარი შესაძლებლობები სრულად ნამდვილად ვერ გამოავლინა; ამას გარდა, რაც უფრო საწყენი იყო, სეზონის ბოლოსკენ, ქვემოქართლური კლუბი რამდენჯერმე მოექცა არასასიამოვნო „ეპიცენტრში". არადა, იმავე სეზონის დაწყების წინ „სიონს" სამართლიანად მივიჩნევდით ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად. ახლა კი, არავინ იცის, თუ რა „გაქანების" და რა მიზნების გუნდი იქნება; თუმცა, ერთის თქმა კი დანამდვილებით შეგვიძლია — „სიონთან" შეხვედრებში ყველა ლიდერმა უნდა იფრთხილოს! ბოლო-ბოლო, ამ გუნდის მთავარ მწვრთნელად ხომ **თემურ მახარაძე** დაინიშნა, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და, რაც მთავარია, წარმატებული მწვრთნელი! აბა გსმენიათ ვინმეს, რომ მახარაძეს უამბიციო გუნდში ემუშაოს? რა თქმა უნდა, ჩემპიონატის სტარტამდე ორი კვირით ადრე მისულ მწვრთნელს დროის პრობლემა შეექმნებოდა, თუმცა მახარაძემ უკვე „მოასწრო" და „სიონში" რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი მიიყვანა: **ალექსანდრე გოგობერიშვილი, მიხეილ მახვილაძე, ლაშა ნოზაძე.** ამას გარდა, ბოლნისელებმა სერიოზული შევსება მიიღეს „კარის მეზობელ" რუსთავის „ოლიმპიდანაც" — **გოგა ფიფია, თენგიზ ჩიკვილაძე, ზვიად სტურუა, ირაკლი სირბილაძე** და **გიორგი ჭელიძე**, ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე „ჩვეულებრივ" ფეხბურთელებად ნამდვილად არ მიიჩნევიან.

### ლოკომოტივი

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი თუ რომელიმეს შეეხო ქართული გუნდებიდან, უპირველეს ყოვლისა, თბილისის „ლოკომოტივზე" ითქმის. თუმცა, ამის ნიშნები ჯერ კიდევ წინა სეზონის შუაგულში დაიწყო, როცა ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერს ფინანსური პრობლემები მოეძალა და ნელ-ნელა პოზიციებიც დათმო. სამწუხაროდ, საქმე კი არ გამოსწორდა, უფრო უარესობისკენ წავიდა და ერთი პირობა, საერთოდ, იმის საშიშროებაც იყო, რომ „ლოკომოტივს" არსებობა შეეწყვიტა. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და აშკარად განსხვავებული შემადგენლობით თუ მიზნებით, „ლოკომოტივი" ჩემპიონატში მაინც ითამაშებს. ოღონდ, ძნელი სათქმელია, რამდენად მოახერხებს ერთიანად გამოუცდელი და ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი უმთავრესი მიზნის მიღწევას — უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას. დღევანდელი „ლოკომოტივის" ძირითადი ბირთვი ამავე კლუბის ახალგაზრდული გუნდის ფეხბურთელები არიან — წინა სეზონში მეორე ლიგაში პირველი ადგილი რომ დაიკავეს. მწვრთნელიც იქიდან „გადმოჰყვათ" — ახალგაზრდა სპეციალისტს **გელა სანაიას**, მართლაც სერიოზული ძალისხმევა მოუწევს, გამოცდილ მეტოქეებს ღირსეულად რომ ეპაექროს. „ლოკომოტივს" ძველი შემადგენლობიდან **ნიკა გუშარაშვილილა** შერჩა; იმედია, გუნდს გააძლიერებს „ამერიდან" გადმოსული ოთხეულიც (**ხატიაშვილი, გვაძაბია, ტიკურიშვილი, ჩიმაკაძე**); ამათ გარდა, სატრანსფერო „ფანჯრის" დახურვამდე, არ არის გამორიცხული, რომ „ლოკომოტივში" კიდევ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელიც გამოჩნდეს.

### სპარტაკი

„გუნდი-გამოცანა" — ასეთი სახელწოდება მოვუძებნეთ წინასასეზონო ეტაპზე ცხინვალის „სპარტაკს". აბა, სხვანაირად ვერც იქნებოდა — ეს ხომ, ფაქტობრივად, სრულიად ახალი გუნდია — მწვრთნელითაც და ფეხბურთელებითაც! თავად განსაჯეთ: „სპარტაკში" მხოლოდ ოთხი ფეხბურთელი (**გიორგი კვახაძე, თეიმურაზ შონია, ნიკოლოზ მაისურაძე, გიორგი ჩივაძე**) დარჩა, ვინც XX ჩემპიონატში თამაშობდა; აი, შევსება კი მართლაც სოლიდურია და ახალწვეულებიდან, გამოცდილებიც (**დავით ოდიკაძე, გივი დიდავა, ლევან მელქაძე, ზურაბ ბათიაშვილი, რეზო გოცირიძე**) უნდა აღვნიშნოთ და ახალგაზრდებიც (**ირაკლი ჩირიკაშვილი, ბაჩანა ცხადაძე, გიორგი კბილცეცხლაშვილი**). დარწმუნებული ვართ, რომ „სპარტაკს" დიდ სამსახურს გაუწევს **ბოიომო ფრიდოლინიც** — კამერუნელი უნივერსალი მცველი ხომ თავის მეოთხე ქართულ სეზონს იწყებს. „სპარტაკს" მართლაც აქვს ამბიცია, რომ პირველ ხუთეულში მოსახვედრად იბრძოლოს. თანაც, ამის წინაპირობას კლუბის ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებებიც იძლევა — „სპარტაკის" ვიცე-პრეზიდენტად ხომ ახლო წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელი **მურთაზ შელია** დაინიშნა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მთავარ მწვრთნელად გამოცდილი სპეციალისტის, **ვლადიმერ ხაჩიძის** მოწვევაც. მოკლედ, უნდა ვივარაუდოთ, რომ წინა სეზონისგან განსხვავებით, XXI ჩემპიონატში „სპარტაკს" აბსოლუტურად განსხვავებული მიზნები ექნება. და კიდევ ერთ არცთუ უმნიშვნელო ნიუანსზეც — კვლავაც „სპარტაკში" გააგრძელებს ნაყოფიერ საქმიანობას კლუბის დირექტორატის წევრი **ჯემალ ჭიპაშვილი.** არადა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამ გამოცდილ მენეჯერს უამრავი შეთავაზება ჰქონდა (მათ შორის — უცხოეთიდანაც), თუმცა ქართულ ფეხბურთში „ჭიპმოჭრილმა" კაცმა კვლავაც „სპარტაკში" დარჩენა გადაწყვიტა!..



ვლადიმერ ხაჩიძე

### ოლიმპი

სეზონი არ დაწყებულა და გუნდში იმდენი საკადრო ცვლილება მოხდა, სხვაგან... სამი-ოთხი წლის განმავლობაში რომ ვერც „გაიფიქრებდნენ"! ჰო, დაარსების დღიდან უცნაურობები „დაებედა" ამ გუნდს და ასე გრძელდება დღემდე. შორს წაგვიყვანს „ოლიმპის" ხანმოკლე ისტორიაში მომხდარი „უცნაურობების" გახსენება; თუმცა, ის კი ფაქტია, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე ფაქტობრივად ორი კვირით ადრე დაკომპლექტებულ გუნდს, თავდაპირველად ალბათ ერთმანეთთან შეთამაშების პრობლემა ექნება. ახალი მწვრთნელი (**ოთარ კორღალიძე**), ახალი ფეხბურთელები (ამათგან — ხუთი ბრაზილიელი), ოღონდ ძველი ამბიცია — „ოლიმპისგან" ხომ ყველა მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას ითხოვს. ამბიცია შემთხვევით არ გვიხსენებია — კლუბის ხელმძღვანელებს იმდენად უყვართ თავიანთი გუნდი და საერთოდ, ფეხბურთი, რომ ხშირ შემთხვევაში, ლამის არის... მწვრთნელობაც „შეითავსონ"...

**...ფრაგა, ჩოკო, ჟერონიმო, აკინო** და **ჟონატასი** — ბრაზილიური „ატლეტიკო პარანენსედან" ჩამოყვანილმა ხუთმა ფეხბურთელმა ჩვენს ჩემპიონატს გარკვეული ხიბლი უნდა შემატოს. რაღა თქმა უნდა, სოლიდურ შენაძენად უნდა მივიჩნიოთ ორი უაღრესად გამოცდილი ფეხბურთელის (**გრიგოლ ჭანტურია, სევასტი თოდუა**) დამატებაც. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ნამდვილად არ იქნება იოლი **გიორგი მეგრელაძის, თეიმურაზ ღონღაძისა** და **გიორგი სეთურიძის** სრულფასოვანი შემცვლელების მოძებნა. მოკლედ, ოთარ კორღალიძეს ერთობ რთულ პირობებში მოუწევს საკუთარი ამბიციის დამტკიცება; მით უფრო, რომ რუსთავის სტადიონზე მიმდინარე სამუშაოების გამო, გარკვეული პერიოდი „ოლიმპს" საშინაო მატჩების ჩატარება სხვა ქალაქში მოუწევს...



ოლიმპის ბრაზილიელები

გვერდები მოამზადა **გია ტუხაშვილმა**

# ქართული ფეხბურთი

## კალენდარი. I-II წრე

| I ტური. 1-ელი აგვისტო | |
|---|---|
| სიონი | სპარტაკი |
| ვიტ ჯორჯია | სამტრედია |
| ბაია | ოლიმპი |
| **2 აგვისტო** | |
| ზესტაფონი | ლოკომოტივი |

### I წრე 2009 წელი

**II ტური**

**8 აგვისტო, შაბათი**

სპარტაკი-ბაია
ლოკომოტივი-ოლიმპი
სამტრედია-ზესტაფონი
გაგრა-ვიტ ჯორჯია
სიონი-დინამო

**III ტური**

**15 აგვისტო, შაბათი**

დინამო-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-სიონი
ზესტაფონი-გაგრა
ოლიმპი-სამტრედია.
ბაია-ლოკომოტივი

**IV ტური**

**22 აგვისტო, შაბათი**

სპარტაკი-ლოკომოტივი
სამტრედია-ბაია
გაგრა-ოლიმპი
სიონი-ზესტაფონი
დინამო-ვიტ ჯორჯია

**25-26 აგვისტო**

დ. ყიფიანის სახელობის
საქართველოს თასი
1/16 ფინალი

**V ტური**

**29 აგვისტო, შაბათი**

ზესტაფონი-დინამო

**30 აგვისტო, კვირა**

ბაია-გაგრა
ოლიმპი-სიონი
ვიტ ჯორჯია-სპარტაკი
ლოკომოტივი-სამტრედია

**VI ტური**

**12 სექტემბერი, შაბათი**

დინამო-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი
გაგრა-ლოკომოტივი
სპარტაკი-სამტრედია
სიონი-ბაია

**VII ტური**

**19 სექტემბერი, შაბათი**

ზესტაფონი-სპარტაკი
ოლიმპი-ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი-სიონი

**20 სექტემბერი, კვირა**

ბაია-დინამო
სამტრედია-გაგრა

**VIII ტური**

**25 სექტემბერი, პარასკევი**

დინამო-ლოკომოტივი
ზესტაფონი-ოლიმპი

**26 სექტემბერი, შაბათი**

სპარტაკი-გაგრა
სიონი-სამტრედია
ვიტ ჯორჯია-ბაია

**IX ტური**

**29 სექტემბერი, სამშაბათი**

ბაია-ზესტაფონი
ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია

**30 სექტემბერი ოთხშაბათი**

ოლიმპი-სპარტაკი
სამტრედია-დინამო
გაგრა-სიონი

### II წრე 2009 წელი

**X ტური**

**3 ოქტომბერი, შაბათი**

ლოკომოტივი-ზესტაფონი

**4 ოქტომბერი, კვირა**

სპარტაკი-სიონი
სამტრედია-ვიტ ჯორჯია
ბაია-ოლიმპი
გაგრა-დინამო

**XI ტური**

**17 ოქტომბერი, შაბათი**

ბაია-სპარტაკი
ოლიმპი-ლოკომოტივი
ზესტაფონი-სამტრედია
ვიტ ჯორჯია-გაგრა
დინამო-სიონი

**20-21 ოქტომბერი**

დ. ყიფიანის სახელობის
საქართველოს თასი
1/8 ფინალი

**XII ტური**

**24 ოქტომბერი, შაბათი**

ლოკომოტივი-ბაია

**25 ოქტომბერი, კვირა**

სპარტაკი-დინამო
სიონი-ვიტ ჯორჯია
გაგრა-ზესტაფონი
სამტრედია-ოლიმპი

**XIII ტური**

**30 ოქტომბერი, პარასკევი**

ვიტ ჯორჯია-დინამო
ზესტაფონი-სიონი
ბაია-სამტრედია
ლოკომოტივი-სპარტაკი

**31 ოქტომბერი, შაბათი**

ოლიმპი-გაგრა

**3-4 ნოემბერი**

დ. ყიფიანის სახელობის
საქართველოს თასი
1/4 ფინალი, პირველი მატჩები

**XIV ტური**

**7 ნოემბერი, შაბათი**

დინამო-ზესტაფონი

**8 ნოემბერი, კვირა**

სპარტაკი-ვიტ ჯორჯია
გაგრა-ბაია
სამტრედია-ლოკომოტივი
სიონი-ოლიმპი

**XV ტური**

**21 ნოემბერი, შაბათი**

ლოკომოტივი-გაგრა
ოლიმპი-დინამო
ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია
სამტრედია-სპარტაკი
ბაია-სიონი

**XVI ტური**

**27 ნოემბერი, პარასკევი**

სპარტაკი-ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია-ოლიმპი
სიონი-ლოკომოტივი
გაგრა-სამტრედია

**28 ნოემბერი, შაბათი**

დინამო-ბაია

**1-2 დეკემბერი**

დ. ყიფიანის სახელობის
საქართველოს თასი
1/4 ფინალის საპასუხო შეხვედრა

**XVII ტური**

**5 დეკემბერი, შაბათი**

ოლიმპი-ზესტაფონი

**6 დეკემბერი, კვირა**

ბაია-ვიტ ჯორჯია
გაგრა-სპარტაკი
სამტრედია-სიონი
ლოკომოტივი-დინამო

**XVIII ტური**

**12 დეკემბერი, შაბათი**

ზესტაფონი-ბაია
სპარტაკი-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი
დინამო-სამტრედია
სიონი-გაგრა

ვიტ ჯორჯია | ინტერვიუ რამაზ მუმლაძესთან

# რატომ მხოლოდ ჩემპიონობა? თასისთვისაც ვიბრძოლებთ



**დღეს 21-ე ეროვნული ჩემპიონატი აილებს სტარტს და მოქმედი ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია" ჩემპიონატს ლიგის დებიუტანტ „სამტრედიასთან" საშინაო შეხვედრით დაიწყებს.**

**ვნახოთ, როგორ ხვდებიან ახალ სეზონს მოქმედი ჩემპიონები, რა მიზნები აქვთ, როგორ აფასებენ ეროვნული ჩემპიონატის ახალ ფორმატს... ამ და სხვა საკითხებზე „ვიტ ჯორჯიას" მთავარ მწვრთნელ რამაზ მუმლაძეს დავუკავშირდით.**

**- ბატონო რამაზ, საუბარი მოსამზადებელი ეტაპის შეჯამებით დავიწყოთ. რამდენად ნაყოფიერად გამოიყენეთ მზადების პერიოდი?**

- ნორმალურად. ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „მარიბორთან" განცდილ დასანან მარცხს თუ არ ჩავთვლით. მართლაც გულდასაწყვეტი იყო, ნამდვილად შეგვეძლო სლოვენიელთა ბარიერის გადალახვა, მაგრამ... უკრაინაში ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ. საკონტროლო მატჩები კარგ მეტოქეებთან გავმართეთ. გარდა ამისა, გუნდის შეთამაშებას და გამოცდილების გამდიდრებას „მარიბორთან" ორმა მატჩმაც შეუწყო ხელი. ასე რომ, სლოვენიელებთან ეს ორი შეხვედრა შედეგის გამო ცუდად კი გვახსენდება, მაგრამ მასაც თავისი დადებითი მხარე ჰქონდა.

**- „ვიტ ჯორჯია" ყოველთვის თავისივე აღზრდილებით ძლიერდება და სატრანსფერო პერიოდისას დიდი აქტიურობით არასდროს გამოირჩევა. ამ ზაფხულს მხოლოდ ნახევარმცველი გიორგი კახელიშვილი დაიმატეთ „ლოკომოტივიდან". განვლილი მატჩების შემდეგ უკეთ შეგიძლიათ ამ ახალწვეულის შეფასება?**

- კახელიშვილი კარგი ფეხბურთელია, ჩვენს გემოვნებას და მოთხოვნებს ნამდვილად აკმაყოფილებს და ამიტომაც დავიმატეთ. მასზე კარგის მეტს ვერაფერს ვიტყოდი... თუმცა, ერთი მინდა დავამატო: გიორგის დიდი პოტენციალი აქვს, როგორც დღეს თამაშობს, უკეთაც შეუძლია და მჯერა, ახალ სეზონში მას სწორედ ასეთს ვიხილავთ.

**- კახელიშვილის გარდა, დუბლებიდან ადამაძე, კასრაძე, ჯანელიძე, ვასაძე, ზაქრაძე, როსტიაშვილი არაერთხელ გამოჩნდნენ „ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობაში... მათ ალბათ ამ სეზონში უფრო მეტი დრო მიეცემათ მთავარ გუნდში დასამკვიდრებლად...**

- ამ ახალგაზრდა ფეხბურთელებიდან რამდენიმეს წინა სეზონშიც მოუწია თამაშმა. მართალია, მცირე დროით, მაგრამ ესეც კარგი გაკვეთილი იყო მათთვის. ახალ ფეხბურთელებთან ჩვეხეული მიდგომა გვაქვს, ამ საკითხში აჩქარება გამართლებული არ უნდა იყოს, პირიქით, სიფრთხილეა საჭირო. ახლებს ნელ-ნელა ვაჩვევთ მთავარ გუნდში თამაშს. ეს ეტაპობრივად უნდა მოხდეს. ვფრთხილობთ, რადგან არ გვინდა, ახალბედა ფსიქოლოგიურად დაიჩაგროს, დაითრგუნოს. ახალგაზრდა მოთამაშე ფიზიკურ კონდიციებთან ერთად, ფსიქოლოგიურადაც მზად უნდა იყოს მთავარ გუნდში დასამკვიდრებლად. იმ კონკურენციაში ჩასართავად, რომელიც „ვიტ ჯორჯიაშია".

**- ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორ ფეხბურთელს შეელიეთ...**

- დიახ, ვასილ ლუჭაშვილი ლატვიაში გავუშვით, გიორგი კვალინიძე კი გავანათხოვრეთ (სავარაუდოდ, თბილისის „ლოკომოტივში" გააგრძელებს კარიერას - ავტ.)

**- „მარიბორის" ბარიერის გადალახვა მართლაც შეიძლებოდაო, თქვით და გეთანხმებით. მაინც რით ახსნით მომდევნო ეტაპზე ვერგასვლას?**

- სლოვენიის ჩემპიონი ნამდვილად არ იყო იმ დონის გუნდი, გათამაშებიდან რომ გამოვეთიშეთ. ამ ბარიერის გადალახვა ჩვენს შესაძლებლობებს ნამდვილად არ აღემატებოდა. მსაჯობაზე ლაპარაკი არ მჩვევია, მაგრამ თბილისში სლოვენიელებთან თამაშისას რა დონის არაობიექტური მსაჯობაც იყო, ალბათ ბევრმა ნახა. არბიტრმა არ მოგვცა იმ მატჩის მოგების შესაძლებლობა. პენალტს ორჯერ ვიმსახურებდით, მაგრამ არც ერთხელ არ მოგვცა თერთმეტმეტრიანი. არადა, თბილისში თამაშს მოვიგებდით. ეს კი საკმარისი ბაზისი იქნებოდა საიმისოდ, რათა საპასუხო შეხვედრაში სასურველ შედეგზე გვეთამაშა და მომდევნო ეტაპზე გავსულიყავით...

**- სლოვენიაში უკვე ნორმალური მსაჯობა იყო და იქაც შეგეძლოთ მოგება...**

- დიახ, იქაც შეიძლებოდა, ჩვენთვის სასარგებლო ანგარიშით დაგვემთავრებინა ის შეხვედრა. თუმცა ორი დასანანი შეცდომა დავუშვით და, როგორც იტყვიან, მეტოქეს ორი გოლი ვაჩუქეთ. ამ დონის თამაშში ასეთი საჩუქარი, მით უმეტეს მის სტადიონზე, ჩინებული სიურპრიზია... ასეთ შანსს თითქმის ყველა გუნდი გამოიყენებდა და, სამწუხაროდ, ასეც მოხდა. მარიბორში ჩემმა ფეხბურთელებმა ბოლომდე იბრძოლეს, მეორე ტაიმი მთლიანად ჩვენი კარნახით წარიმართა. სტუმრად ასე თამაში ბევრ გუნდს უჭირს... მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მივაღწიეთ.

**- მოქმედი ჩემპიონი ახალ სეზონში, ბუნებრივია, ტიტულის შესანარჩუნებლად იბრძოლებს...**

- დიახ, „ვიტ ჯორჯია" ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი, ჩემი ხელმძღვანელობით გუნდმა ეს ტიტული პირველად მოიპოვა. ერთხელ თუ შევძელით, ესე იგი, კიდევ შეგვიძლია ოქროს მედლების მოპოვება და სწორედ საამისოდ ვიბრძოლებთ.

**- თასის გათამაშებაზეც მაქსიმუმი იქნება თქვენი მიზანი?**

- დიახ, ჩვენს გუნდს ქვეყნის თასი ჯერ არ მოუპოვებია და გვინდა, ამ ტიტულსაც დავეუფლოთ. ასე რომ, ახალ სეზონში ორივე გათამაშებაში მაქსიმალური მიზნისთვის ვიბრძოლებთ.

**- ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტად შარშანდელ სამეულს მიიჩნევთ თუ სხვა გუნდებსაც დაამატებდით?**

- მართალი გითხრათ, ახალი ჩემპიონატი ახალი ფორმატით ტარდება და ამ კითხვაზე გადაჭრით რაიმეს თქმა მართლაც მიჭირს. ძნელია, გამოჰყო, თუ რომელი გუნდები შემორჩებიან ბოლომდე ოქროსთვის ბრძოლას და ვის რა შანსი ექნება საამისოდ.

**- ჩემპიონატის ახალი ფორმატი რამდენად მოგწონთ და რისი თქმა შეგიძლიათ?**

- ეს ფეხბურთის ფედერაციისა და პროფლიგის პრეროგატივაა, მაგრამ, რადგან მკითხეთ, ჩემს აზრს გეტყვით. ვფიქრობ, ჩემპიონატი 4 წრედ გადამლელი იქნება. რთულია, როცა ერთსა და იმავე გუნდს სეზონის განმავლობაში 4-ჯერ ეთამაშები. ყველაზე იდეალური მაინც ორწრიანი პირველობაა, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში გუნდების რაოდენობა ათზე მეტი უნდა იყოს.

**დავით ცაბაძე**

I ტურის წინ

# დინამოს თამაშები გადაუდეს

თბილისის "დინამომ" პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელობას ეროვნულ ჩემპიონატში დაგეგმილი პირველი ორი ტურის შეხვედრების გადადება სთხოვა.

ევროსარბიელს საქართველოდან მხოლოდ თბილისის "დინამო" შემორჩა. ევროლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ქვეყნის თასის მფლობელი ბელგრადის "ცრვენა ზვეზდასთან" ერთი კვირის განმავლობაში ორი რაუნდი უწევდა (30 ივლისს და 6 აგვისტოს), 2 და 8 აგვისტოს კი ჩემპიონატის მატჩები ელოდა.

მჭიდრო კალენდარში თავისუფალი დროის მოსაძებნად, პროფლიგამ მოსაფიქრებელი დრო ითხოვა. გუშინ კი ლიგის პრესსამსახურმა ეს ინფორმაცია გაავრცელა:

*"საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის, პირველი ტურის კალენდარული მატჩი თბილისის "დინამოსა" და "გაგრას" შორის, რომელიც 2 აგვისტოს უნდა გამართულიყო, გადაიდო. ასევე გადადებულია 8 აგვისტოს გასამართი შეხვედრა ბოლნისის "სიონსა" და თბილისის "დინამოს" შორის.*

*თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგას, შეეცვალა მატჩების ჩატარების თარიღები. მოგეხსენებათ, თბილისის "დინამომ" წარმატებით დაძლია ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი და 6 აგვისტოს ბელგრადში, სერბეთის "ცრვენა ზვეზდასთან", მესამე რაუნდის თამაშს ატარებს.*

*საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა თბილისის "დინამოს" ულოცავს პირველ შეხვედრაში გამარჯვებას და მომდევნო ეტაპზე გასვლას უსურვებს"*, - იუწყება პროფლიგის პრესსამსახური.

ლიგის გენერალური მდივნის, **პაატა ბურჯალიანის** თქმით, თამაშების ჩატარების დრო მოგვიანებით გაირკვევა.

**მერაბ მამულაშვილი**

ოლიმპი

# რუსთაველები ეროვნულ სტადიონზე

რუსთავის "ოლიმპი" საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეს, ან მის ნაწილს საშინო არენაზე ვერ გამართავს. ამის თაობაზე მკითხველი უკვე ინფორმირებულია.

რუსთავში ფედერაციის გრანტით ხელოვნურსაფრიანი მოედანი დაიგება. ამას გარდა, შეკეთდება ორი წლის წინ დამონტაჟებული განათების სისტემა და უეფას სტანდარტებს შეუსაბამებენ. როგორც გაირკვა, მისი დამონტაჟების დროს მცირე უზუსტობა მოხდა და პროჟექტორები მოედანს კარგად ვერ ანათებდა.

ახალი სისტემა 1200-ლუქსიანი იქნება და უეფას მოთხოვნებს სრულად დააკმაყოფილებს. ახალი პროჟექტორები უკვე ჩამოტანილია, ფედერაციას კი ხალიჩის დასაგები თანხა უეფამ ანგარიშზე დაუსვა. თუმცა, აღნიშნული სამუშაოებისათვის გარკვეული დრო არის საჭირო და უცნობი იყო, ამასობაში „ოლიმპი" მეტოქეებს სად უმასპინძლებდა.

კლუბის დირექტორმა **ბადრი ქარქაშაძემ** ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად თბილისის „მერანის" სტადიონი დაასახელა. არ აგერიოთ ავჭალაში მდებარე „სინათლის" სტადიონში, სადაც წლების წინ „მერანი-91" თამაშობდა. რუსთაველთა შესაძლო არენა, **დილარ ხაბულიანის** აშენებული „მერანის" სტადიონი 31-ე ქარხნის დასახლებაში მდებარეობს.

თუმცა, საბოლოოდ გადაწყდა, რომ კლუბი ქვეყნის მთავარ საფეხბურთო არენაზე ითამაშებს.

*„რუსთავის სტადიონის რეკონსტრუქცია, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დასრულდეს. საამისოდ ქვემო ქართლის ადმინისტრაცია ყველა ღონეს იხმარს. უკვე გადაწყვეტილია, სად მივიღებთ მეტოქეებს. გუნდი ეროვნულ სტადიონზე ითამაშებს და საამისოდ, თადარიგი უკვე დავიჭირეთ"*, - გვითხრა ქვემო ქართლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **დავით კირკიტაძემ**.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

## ირაკლი დოლიძე

# ყოველთვის დინამოში მოხვედრაზე ვოცნებობდი

თბილისის „ამერიდან“ ზაქათალის „სიმურგში“ ტრანსფერით, ირაკლი (გრიგოლ) დოლიძემ ამოისუნთქა. შარშან ამ დროს „ამერის“ კრიზისი დაიწყო და ფეხბურთელი აზერბაიჯანის ერთ-ერთ ყველაზე ამბიციურ კლუბს მიაშურა. თუმცა, მის იმედები არ გამართლდა და კარიერა სახარბიელოდ ვერ აეწყო. ეროვნულის კანდიდატი ნაკრებიდან უცებ ჩამოწერეს, რადგან აზერბაიჯანში მოთამაშე ფეხბურთელი არ სჭირდებოდათ, შემდეგ მძიმე ტრავმაც მიიღო და ამ ყველაფრის გვირგვინი „სიმურგიდან“ მისი გამოშვება გახდა.

სწორედ ტრავმის გამო გამოუშვეს და არა დაბალი კლასის ან სხვა მიზეზით. არადა, ის ჩამოწერას არ იმსახურებდა, რასაც დოლიძის თბილისის „დინამოში“ ჩარიცხვა ადასტიურებს.

ორიოდე კვირის წინ, ირაკლი დოლიძე თბილისის „დინამოში“ ჩაირიცხა და დარწმუნებულია, ყველაზე ტიტულოვანი ქართული კლუბიდან ნაკრების მწვრთნელებსაც შეახსენებს თავს და გულშემატკივრებსაც.

**- ირაკლი, „დინამოსთან“ ხანმოკლე კონტრაქტი გააფორმე. ეს შენი სურვილი იყო თუ კლუბის?**

- ჯერჯერობით, ზამთრამდე დავრჩები და მერე ვნახოთ. ეს ორმხრივი სურვილი გახლდათ. თბილისის „დინამო“ საქართველოში ყველაზე წარმატებული კლუბია, აქ დამკვიდრება რთულია და ბევრ ძლიერ ფეხბურთელს გასჭირვებია. ალბათ, ნახავენ კლუბს როგორ შევეწყობი და გადაწყვეტილებას ზამთარში ამის მიხედვით მიიღებენ.

თუმცა, გუნდში ისეთი მონდომებული მივედი, იმედია, ბიჭებს და გარემოს იოლად შევეწყობი. ბოლოს და ბოლოს, ყველას ახლოს ვიცნობ და ბევრთან ვმეგობრობ. „დინამოში“ თამაში ყველა ქართველი ბიჭის ოცნებაა და რადგან ეს შანსი მომეცა, აუცილებლად უნდა გამოვიყენო.

**- მართალია, რომ „დინამო“ ადრეც გიწვევდა?**

- ყოველ შემთხვევაში, მეუბნებოდნენ და მიხაროდა. „დინამო“ სხვა სახელია, უფრო თამამად ხარ და უფრო თავდაჯერებული თამაშობ. ისტორია და ტრადიცია ბევრს ნიშნავს.

**- ზაქათალის „სიმურგიდან“ გამოგიშვეს. გულახდილად რომ ვთქვათ, ეს ფეხბურთელისთვის სილის გაწნის ტოლფასია.**

- ცუდი ფეხბურთელობის გამო არ გამომიშვეს, ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ მოსწონდათ. სამედიცინო შემოწმების შემდეგ მიმტკიცებდნენ, მენისკის ოპერაცია ცუდად გაიკეთე და შესაძლოა, თავიდან სამკურნალო გახდეო. ანუ მე სამომავლოდ პრობლემა რომ არ შემქმნოდა, ამისთვის უნდა მემკურნალა. ტყუილად რომ გამეკეთებინა, მერე სად მივდიოდი? მიულებელს მეუბნებოდნენ, ახალი კონტარქტიც არ გამიფორმეს და წამოვედი. ამ დროს გუნდთან ერთად ორი შეკრება მქონდა გავლილი, შეხვედრებიც ჩავატარე და ყოველდღე უკეთესად ვთამაშობდი.

თუმცა, ზოგი ჭირი მარგებელია, ასე რომ არ მომხდარიყო, „სიმურგზე“ შეუდარებლად სახელოვან „დინამოში“ ვერც ჩავირიცხებოდი. ერთადერთი, გული იმაზე მწყდება, რომ ევროპის ლიგაზე „სიმურგში“ რომ ვითამაშე და „დინამოში“ გამოსვლის შანსი არ მაქვს ევროთასებზე.

**- საერთოდ, „დინამოში“ ნაკრებში მოხვედრის იმედადაც გადადიან.**

- რა თქმა უნდა, მეც ამ იმედით ვცხოვრობ. დინამოელობა მეტი შანსს მომცემს და იმედია, გულშემატკივრებსაც გავახსენებ თავს. აზერბაიჯანში წასულები მაინც დაგვივიწყეს.

**- შენი აზრით, „დინამო“ „ცრვენა ზვეზდას“ გაივლის?**

- რა თქმა უნდა, გაივლის. მე ის გამიხარდა, „დინამომ“ თავისი ფეხბურთი რომ ითამაშა და სერბებს გასაქანი არ მისცა. ჩვენები იმდენად დამაჯერებლები იყვნენ, სტუმრებიდან ერთი კაცის გამოყოფაც შეუძლებელია. შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს „დინამო“ არა ევროპის ერთ-ერთ ავტორიტეტს, არამედ საქართველოს ჩემპიონატის საშუალო კლუბს ეთამაშებოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# მენთეშაშვილი კმაყოფილია

ლატვიასა და რუსეთში გატარებული ექვსი სეზონის შემდეგ, **ზურაბ მენთეშაშვილი** ახალ ქვეყანაში ითამაშებს. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს, რიგის „სკონტოს“, ვლადიკავკაზის „ალანიას“, იაროსლავლის „შინიკისა“ და „ვენტსპილსის“ შემადგენლობაში უასპარეზია.

ახლა ორიოდე კვირის წინ თელავივის "ჰაპოელში" გადავიდა. ცნობილი გერმანული ვებგვერდის, "ტრანსფერმაკტის" ინფორმაციით, ლატვიურმა კლუბმა ქართველი ლეგიონერის ტრანსფერში 311 500 ევრო მიიღო. მანამდე კი "ალანიამ" "სკონტოს" 178 ათასი ევრო გადაუხადა, ლატვიელებს კი ქართველში დაბრუნება 111 250 ევრო დაუჯდათ.

*"ისრაელში პირდაპირ კონტრაქტი შემომთავაზეს და ერთწლიანი გავაფორმე. ხუთშაბათს "აპოელში" მეორე შეხვედრა ჩავატარე, გასვლაზე შვედეთის „გიოტებორგს“ შევხვდით და 3:1 მოვუგეთ. მე მხოლოდ ბოლო წუთები ვითამაშე. ვფიქრობ, ცუდად არ მითამაშია.*

*ახალი კლუბი მომწონს. ის ისრაელში საკმაოდ პოპულარულია. ლატვიაში ბოლო დროს ფინანსური პრობლემები შეიქმნა, მე ისედაც წასვლა მსურდა და „ჰაპოელში“ გადასვლაზე ბევრი არც მიფიქრია. სხვა თუ არაფერი, ისრაელში ლატვიაზე ბევრად უფრო ძლიერი ჩემპიონატია“,* – გვითხრა **ზურაბ მენთეშაშვილმა.**

დაბოლოს: იმ დროს, როდესაც საქართველოს ნაკრებში მუშა და შედარებით კვალიფიციური ფეხბურთელების პრობლემა აშკარაა, **ექტორ რაულ კუპერის** გადაწყვეტილება გაგვიკვირდა – 12 მალტის ეროვნულ ნაკრებთან დანიშნულ ამხანაგურ შეხვედრაში არგენტინელმა სპეციალისტმა ზურაბ მენთეშაშვილი არ მიიწვია. მწვრთნელის გადაწყვეტილება ჩვენი შესაფასებელი არაა, მაგრამ გაოცების უფლებას არავის დავეკითხებით.

მენთეშაშვილი ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ ნაკრებში უგულოდ არასდროს უთამაშია და რიგ შეხვედრებში, საკმაოდ კარგადაც გამოიყურებოდა. თუმცა, კაცია და გუნება. ზურამ დაგვიდასტურა, რომ არ მიუწვევიათ, თუმცა მიზეზი ვერ დაასახელა – ის არც ტრავმირებულია და არც უთამაშებელი.

**მერაბ მამულაშვილი**

ახალი ლეგიონერი

# ფანცხავა მეტალისტში, კობახიძე კრივბასში

„ლე მანის“ ახალგაზრდული შემადგენლობის ფორვარდი **ვახტანგ ფანცხავა** ხარკოვის „მეტალისტში“ ითამაშებს. უკრაინულმა კლუბმა ის იჯარის წესით აიყვანა, გამოსყოდვის უფლებით. ეს ცნობა გუშინ უკრაინულ მედიაში ფრანგულ „ფიგაროზე“ დაყრდნობით გავრცელდა და ჯერ „მეტალისტის“ ოფიციალურ საიტს არ დაუდასტურებია. ფანცხავა „მეტალისტში“ სინჯებზე იყო, ის გუნდის თავკაც **მირონ მარკევიჩს** მოსწონდა, მაგრამ ტესტებზე თავის გამოჩენა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელმა ტრავმის გამო ვერ შეძლო. რამდენიმე დღე კი მის შესახებ არაფერი ისმოდა.

თუკი ფანცხავას ტრანსფერი ოფიციალურად ჯერ არ დაუდასტურებიათ, ინფორმაცია **სანდრო კობახიძის** კრივოი როგის „კრივბასის“ გადასვლის შესახებ „დნიპროს“ ოფიციალურმა საიტმა გაავრცელა. კობახიძე „კრივბასში“ იჯარით ახალ წლამდე ითამაშებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფელეტონი

# ფერდინანდი საოცრებათა ქვეყანაში

მიმდინარე სატრანსფერო ზაფხული მოულოდნელობებს გვთავაზობს. ივლისის ბოლოს გაჩარხული გარიგებების ფონზე ივნისის დასაწყისში ლეო მესის „ბარსლონადან“ „კადისში“ 1,3 მილიონ პესოდ გადასვლა ყველაზე უკბილო ამბად ჩანს. მართლაცდა, რაა გასაკვირი იმაში, რომ 35 წლის არგენტინელი ვეტერანი ესპანეთს გარეთ ვერ გაიყიდა? ერთადერთი, რაც ამ ისტორიაში ყურადღებას იპყრობს მისი „ბარსადან“ წასვლაა — ბევრი ნამდვილად არ ელოდა, რომ მესი ოდესმე დასტოვებდა თავისი კარიერის მთავარ გუნდს — თორემ ექსპერტების შეფასებით კატალონიელებმა სარფიანადაც კი ივაჭრეს.

თუმცა, წარსულის აჩრდილებს თავი დავანებოთ. ბოლო ორი კვირის მოვლენებმა ხომ აშკარად გამოაჩინა ზაფხულის მთავარი თემა, რომელიც საფეხბურთო ევროპაში გამალებული მსჯელობის საგნად იქცა: ხომ არ არღვევს საბაზრო ეკონომიკის ყველა ნორმასა და კანონს გურჯაანის „ალაზანი“? აი, საკითხი, რომელსაც „სანდი ტაიმსი“ დღევანდელ ნომერში ვრცელ წერილს უძღვნის. რამდენად სწორია და სამართლიანი, როდესაც უმსხვილესი მეპატრონის, კონცერნ „რქაწითელის“ ულევი სახსრების დახმარებით, „ალაზანმა“ ერთბაშად სამი მსოფლიო დონის ვარსკვლავი იყიდა: მარსელინიუ რონალდუ ადრიანუ, ფლავიო სანტუშ მენდეშ სუარეში და ხუანდე ხუან ხორხე ხერარდი. ღირს მარსელინიუ 231 მილიონი ევრო (100 მილიონი ლარი), სანტუშ მენდეშ სუარეში 231 მილიონი ევრო (100,4 მილიონი ლარი), ხოლო ხუანდე ხუან ხერარდი 300 მილიონი ევრო (129,8 მილიონი ლარი)? მიმომხილველთა თქმით, რასაკვირველია, ეს ფასები სულ ცოტა გაორმაგებულია, მაგრამ რა გინდა ქნა, როდესაც საქმე საქართველოს საფეხბურთო ლიგის შეუქცევად გამდიდრებასა და ევროპის სტაბილური და ცოტა მიძინებული საფეხბურთო სქემის დარღვევასთან გვაქვს?

გაზეთ „კორიერე დელო სპორტის“ კორესპონდენტმა ატილიო დი როსიმ (ან იგივე დე როსიმ, რადგან სადაც **დე**, იქაც **დი**) საკითხის შესასწავლად საქართველოში იმოგზაურა (მატარებლით ჩავიდა ფოთიდან დედოფლისწყარომდე, საიდანაც უკან ორდონიანი ავტობანით დაბრუნდა) და სტატიაში „პერკე?“ მრავალი უპასუხო კითხვა დასვა. მაგალითად, ჟურნალისტისთვის გაუგებარი დარჩა რატომ ჩანს საავტომობილო თუ სარკინიგზო გზის ორთავ მხარეს ამდენი გადაბიბინებული, ლამაზად გაკრეჭილი, თანამედროვე სარწყავი სისტემებით აღჭურვილი, დახაზული, სულ მცირე ორი ტრიბუნით გარშემოტყმული საფეხბურთო თანაც სავარჯიშო მოედანი. (ორი ტრიბუნა, ალბათ, იმიტომ დასჭირდათ, რომ რომელიმეს მხარეს საძოვრები ან სხვა სასოფლო სამეურნეო შემადგენლები არ გამოჩნდეს. ამბობენ საქართველოს საფეხბურთო აღორძინება სწორედ ფეხბურთის საძოვრებისგან გამიჯვნით დაიწყოო) რად უნდა პატარა ქვეყანას ამდენი? რა საჭიროა? პერკე? დი ან დე როსიმ ეს ადგილობრივ ხალხსაც ჰკითხა და პასუხად ყველგან, ყველა სოფელში ერთი და იგივე მიიღო: ის შეიპატიჟეს (ზოგმა ფაცხაში, ზოგმა მარანში, ზოგმაც ლორის ქელეხში), ჩაურთეს ინტერნეტი და ეკრანზე ქართული და იტალიური კლუბების ბოლო რვანახევარი წლის შეხვედრათა სტატისტიკა ამოუგდეს. სტატისტიკა კი, უნდა ვაღიაროთ, შთამბეჭდავია. მთელი ამ რვანახევარი წლის განმავლობაში იტალიურმა გუნდმა ერთადერთხელ მოახერხა ქართული წინააღმდეგობის დაძლევა. ეს გახლდათ „იუვენტუსი“, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ჭიათურის „ნაგუთს“ (ყოფილი „მაღაროელი“) მატჩისშემდგომი პენალტების სერიაში მოუგო.

გაკვირვებულ დი ან დე (სულერთია) როსის იმავე სტატიაში კიდევ ერთი კითხვა აწვალებს. რაც SkyItalia-ს, BBC-ს, Chanal+ თუ სხვა არხები ევროპის ქვეყნებში საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს გადასცემენ, ყველა კარგად ხედავს, რომ საქართველოში ერთი ლიპიანი მსაჯიც არ არის. ეს საოცრებაა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ქვეყანაში მოგზაურობისას იგი უშუალოდ გაეცნო პროგრამა „ანტილიპს“, რომლითაც წლების წინ დაწყებულა კიდეც ქართული საფეხბურთო რეფორმა. (თუ რეფორმა საძოვრებისგან გამიჯვნით დაიწყო?) ასეა თუ ისე, ლიპი რა შუაშია? ასეთი იდეა თავში ვის ან რატომ მოუვიდა? პერკეო? კითხულობს როსი დი თუ დე.

კიდევ უფრო საინტერესო რამ შეამჩნია Daily Mirror-ის მესვეტემ ბრაიან ო'მაკფერსონმა. მისი შთაბეჭდილებები მაყურებლის საოცარმა ფერადოვნებამ და სილაღემ მიიპყრო, მაგრამ... აქ, ქართულ ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებულ მიმომხილველს, ფერდინანდ კუთხურსკის (აზნაური კუთხურეიშვილების ჩამომავალს) გაელვიძა, მიხვდა, რომ ეს ყველაფერი „დინამოს“ მიერ „ცრვენა ზვეზდას“ (თითქმის „ჩერვონა რუდას“) ძლევის შემდეგ დასიზმრებია, ამოიოხრა, ეჰ, რა ცოტა სდომებია ადამიანსო და თავისი ნაბოდვარი რედაქციაში გაატანა

**ილია ბაბუნაშვილი**

ლეგიონი

# SOS!!!

## ანანიძე მალტაზე არ ჩავა?

### ჯანოს სპარტაკი ნაკრებზე უარს ურჩევს...

დიახ, შესაძლოა, ასეთი რეალობის წინაშე მართლაც აღმოვჩნდეთ. ყოველ შემთხვევაში, მოსკოვის „სპარტაკი“ **ჯანო ანანიძეს** მალტაზე ნაკრებში სათამაშოდ ჩასვლისგან თავის შეკავებას ურჩევს. ერთ-ერთ ვებგვერდზე (liveinternet.ru) ჯანო ანანიძის ინტერვიუ მოვიძიეთ რომელშიც ეროვნულ ნაკრებთან მიმართებაში საგულისხმო ერთი კითხვა-პასუხია.

**- თავის დაზღვევის მიზნით, საქართველოში ეროვნულ ნაკრებში გამოგიძახეს. ალბათ, თბილისიდანაც დაგიკავშირდნენ...**

- დიახ, დამირეკეს და მაცნობეს, რომ ეროვნულ ნაკრებში ვარ გამოძახებული. არჩევანი უკვე გავაკეთე და ამაზე ნერვიულობა არ ღირს - მხოლოდ საქართველოს ნაკრებში ვითამაშებ. რაც შეეხება ჩემს ჩასვლას მალტაზე... „სპარტაკის“ ვიცე-პრეზიდენტმა ევგენი სმოლენცევმა მითხრა, რომ თუ ამჯერად ეროვნულ ნაკრებს შეკრებაზე შევუერთდები, ეს ჩემთვის რუსული პასპორტის მიღების პროცედურას შეაფერხებს. უკვე წელიწადია, რაც ამ პასპორტს ველოდები, პროცედურა დროში იმიტომ გაიწელა, რომ ქართველი ვარ.... სმოლენცევმა მითხრა, უახლოეს 2 თვეში შენი პასპორტის პრობლემა მოგვარდება, მერე კი თავად აირჩიე და რომელ ნაკრებშიც გინდა იქ ითამაშეო.

როგორც ხედავთ, „სპარტაკი“ ანანიძეს ღიად ურჩევს მალტასთან ამხანაგური მატჩისთვის კუნძულზე ჩასვლისგან თავი შეიკავოს. კლუბს არ აქვს უფლება ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელს გათავისუფლებაზე უარი უთხრას. ასეთ შემთხვევაში ამ კლუბის ფიფასგან სანქცია (და არა მარტო ფინანსური) არ ასცდება. ასე რომ, რუსები ეშმაკურად ცდილობენ ჯანო ანანიძე საქართველოს ნაკრებს ცხვირწინ ააცალონ. საინტერესოა, რას გადაწყვეტს თავად ჯანო (გუშინ მასთან დაკავშირება ვერაფრით შევძელით - ავტ.), ჩავა თუ არა მაინც მალტაზე და საერთოდ როგორი იქნება ქართული მხარის პოზიცია...




მანამდე sport.ru-მ ჯანოზე საინტერესო მასალა გამოაქვეყნა. აღსანიშნავია, რუსი მიმომხილველის შეფასებები. აქედანაც ნათლად ჩანს თუ რა დიდ პოტენციალს ხედავენ რუსეთში ანანიძეში. ასეთ ტალანტს კი, როგორც იტყვიან, იოლად არავინ თმობს...

*„16 წლის ქართველმა ვუნდერკინდმა „სპარტაკის“ დუბლებში, 13 მატჩში 7 გოლი გაიტანა. ანანიძეს მთავარ გუნდში სათასო შეხვედრაში ჰქონდა დებიუტი. „კრასნოდართან“ ქართველი მარცხენა ინსაიდად ათამაშეს და მთავარ გუნდში დებიუტი გოლით აღნიშნა. ჯანო ცსკა-სთან შეხვედრაში მთავარი გუნდის სათადარიგოთა შორისაც იყო, მაგრამ თამაში არ მოუწია. თუმცა დღეს ბევრი ფიქრობს, რომ რუსულ პრემიერლიგაში დებიუტამდე ანანიძეს დიდი დრო აღარ დარჩა...*

*მაგრამ ერთი ფაქტორი საგულისხმოა - ანანიძე ფიზიკურად მოისუსტებს. პრემიერლიგაში მწვავე ბრძოლებია და იმისი საფრთხეც საკმაოა, რომ მეტოქის უხეშობით გამოწვეულმა ტრავმამ, ჯანოს კარიერა მნიშვნელოვნად შეაფერხოს ან უკიდურეს შემთხვევაში სულაც ჯვარი დაუსვას... არადა უმცროსი ასაკისთვის შეუფერებელი, გამართული მსჯელობითა და სწრაფი აზროვნებით მოედანზე, საოცარი ტექნიკურობით, ანანიძე მხოლოდ და მხოლოდ აღფრთოვანებას იმსახურებს, ეს უბრალოდ შთამბეჭდავია. მას გარკვეულ წრეებში ახალ მესისაც კი უწოდებენ“.*

**დავით ცაბაძე**

# ივანიშვილის დუბლი, ჯანოს მერვე

რუსეთის ჩემპიონატის მორიგი ტური „რუბინისა“ და ნალჩიკის „სპარტაკის“ მატჩით დაიწყო. ჩემპიონმა და ერთპიროვნულმა ლიდერმა 2:0 მოიგო, მაგრამ უქართველოდ. **ლაშა სალუქვაძე** სათადარიგო იყო, ხოლო **დავით კვირკველია** - დისკვალიფიცირებული. სამაგიეროდ „სპარტაკის“ რიგებში ორივე ჩვენებური იყო, **ალექსანდრე ამისულაშვილმა** 90 წუთი ითამაშა, ხოლო **გოგიტა გოგუა** 59-ე წუთზე შეცვალეს. championat.ru-მ გოგუას 6 ბალი დაუწერა, ამისულაშვილს - 5. „რუბინი“ 31 ქულით პირველია, „სპარტაკს“ ჩემპიონზე 20 ქულით ნაკლები აქვს და ბოლოსწინა ადგილზეა.

დუბლების ჩემპიონატში თავი **ჯანო ანანიძემ** გამოიჩინა, მოსკოვის „სპარტაკის“ ახალგაზრდულმა შემადგენლობამ 4:1 გაანადგურა „ყუბანი“. ჯანო მოედანზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა და 57-ე წუთზე ანგარიში 3:1 გახადა. ეს მისი მე-8 გოლია დუბლების ჩემპიონატში. თუ რუსეთის თასის მატჩს დავუმატებთ, ზედიზედ ხუთი შეხვედრაა ანანიძე მოედანს უგოლოდ არ ტოვებს.

უკრაინის ვიშალიგას მე-3 ტურში „ტავრიამ“ 2:1 მოუგო „ჩერნომორეცს“, **ვასილ გიგიაძემ** გამარჯვებულთა რიგებში ბოლო ხუთი წუთი ითამაშა. უნგრული შოპრონილიგა მოგებით დაიწყო „დიორი ეტომ“, რომელმაც სტუმრად „ვაშაში“ დაამარცხა - 2:0. **რატი ალექსიძე** ტრავმირებულია.

19 წლის **გიორგი ივანიშვილმა** წუხელ ახალ კლუბ „ვოლენში“ გამოიჩინა თავი, შვეიცარიის ჩელენჯლიგის მეორე ტურში „ვოლენმა“ სტუმრად 5:1 გაანადგურა „ლე მონი“. ქართველმა ფორვარდმა დუბლი შეასრულა, მან 26-ე და 31-ე წუთებზე გამოიჩინა თავი. 64-ე წუთზე ჩვენებური შეცვალეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

იუვენტუსი



ჰასან სალიჰამიჯიჩი დიეგოს ტურინული კარიერის პირველ გოლს ულოცავს

# დიეგომანია ტურინში

## ბრაზილიელმა ბებერი ქალბატონის ტიფოზები აღაფრთოვანა

„იუვენტუსმა" დიეგოს სანაცვლოდ დიდი ფული გადაიხადა. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ „ბებერი ქალბატონის" ხელმძღვანელები და გულშემატკივრები ბრაზილიელი გამთამაშებლისგან ბევრს მოელიან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიეგოს ტურინული თავგადასავალი ძალიან კარგად დაიწყო.

მოგეხსენებათ, სევილიაში Peace Cup-ი იმართება. დიეგოს ტურინული დებიუტიც სწორედ ამ ტურნირზე შედგა: პირველ მატჩში „ბიანკონერიმ" სამხრეთკორეული კლუბი „სეუნგნამი" 3:0 გაანადგურა და 24 წლის ბრაზილიელმა ტურინული გრანდის მაისურით ჩატარებულ პირველსავე შეხვედრაში გოლის გატანა მოახერხა. „შესანიშნავი საღამო გამოვიდა. შემიძლია ვთქვა, რომ „იუვენტუსში" სრულყოფილი დებიუტი გამომივიდა. მიხარია, რომ გოლის გატანა შევძელი," - განაცხადა დიეგომ მატჩის შემდეგ.

ბრაზილიელს იმედი აქვს, რომ „იუვეს" გოლებით მომავალშიც არაერთხელ შეეწევა და რასაკვირველია, ამას იმედოვნებენ „იუვენტუსის" ოჯახშიც. მცირე ტრავმის გამო დიეგოს დებიუტი არაერთხელ გადაიდო, არადა, „იუვეს" ქომაგები მოუთმენლად ელოდნენ იმ დღეს, როცა მათი საყვარელი გუნდის ბრაზილიელი ახალწვეული პირველად მოირგებდა შავ-თეთრ ფორმას. იტალიურ პრესას თუ ვენდობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტურინში დიეგომანიაა.

„მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს გუნდთან ერთად არ ვარჯიშობდა და ინდივიდუალური პროგრამით ემზადებოდა, არაჩვეულებრივი დებიუტი გამოუვიდა. მთელი მატჩის განმავლობაში მაქსიმალურად კონცენტრირებული იყო და კარგად მოქმედებდა როგორც შეტევაში, ისე დაცვაშიც. იტალიაში პლეიმეიკერებს მეტოქე გუნდის შეტევების ჩაშლასაც ავალებენ ხოლმე და დიეგომ ნელ-ნელა უნდა ისწავლოს დაცვითი ფუნქციების შესრულებაც. ამ შეხვედრაში მას სწორედ ეს მოვთხოვე და მანაც დასახულ ამოცანას საკმაოდ კარგად გაართვა თავი," - ეს სიტყვები „იუვენტუსის" თავკაც **ჩირო ფერარას** ეკუთვნის.

ფერარამ სპეციალურად დიეგოსთვის „იუვენტუსის" ტაქტიკა შეცვალა. ბოლო წლებში „ბებერი ქალბატონი" მუდმივად სუფთა 4-4-2-ით თამაშობდა ხოლმე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ **ზინედინ ზიდანის** შემდეგ, „იუვეს" სხვა სქემით აღარ უთამაშია. ახლა კი ფერარამ გუნდი 4-3-1-2-ზე გადაიყვანა, რაც მხოლოდ და მხოლოდ დიეგოს გამო გააკეთა. ბრაზილიელი თავდამსხმელების უკან ითამაშებს, ოღონდ მთელ რიგ შემთხვევებში საყრდენების დახმარებაც დაევალება. სწორედ ამ ტაქტიკით თამაშობდა ხოლმე „იუვე" იმ დროს, როცა ტურინული კლუბის ღირსებას ზიდანი იცავდა. მას მერე კი „ბიანკონერის" ტიპური პლეიმეიკერი აღარ ჰყოლია.

„დიეგო არაჩვეულებრივი ფეხბურთელია, რაც ამ თამაშშიც გამოჩნდა. ჩვენ ყველანი აღფრთოვანებულები ვართ მისი შესაძლებლობებით და ვიცით, რომ მისი ტექნიკა „იუვეს" ძალიან წაადგება," - ამბობს „ბებერი ქალბატონის" მცველი **ნიკოლა ლეგროტალიე**.

„ჩვენთვის, თავდამსხმელებისთვის ასეთი ფეხბურთელის შეძენა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მიხარია, რომ უკვე გვყავს პლეიმეიკერი, რომელიც იდეალური პასებით მოგვამარაგებს," - ეს სიტყვები კი „იუვეს" გოლეადორ **კარვალიო ამაურის** ეკუთვნის.

ტურინული კლუბის ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც დიეგომანიას არ აჰყვა და ფრთხილ, მოზომილ განცხადებებს აკეთებს, **ჯანლუიჯი ბუფონია**, რომელიც ამბობს: „დიეგოს აქვს შანსი, რომ „იუვენტუსის" მთავარი იარაღი გახდეს. ახლა მთავარია, რომ ჩვენ ყველანი მხარში ამოვუდგეთ და დავეხმაროთ იმაში, რომ რაც შეიძლება სწრაფად და უმტკივნეულოდ გადალახოს აკლიმატიზაციის პერიოდი."

„იუვენტუსმა" „ვერდერს" დიეგოს სანაცვლოდ 24.5 მილიონი ევრო გადაუხადა, რაც ბრაზილიელ „დირიჟორს" წნეხის ქვეშ აქცევს, მაგრამ თვითონ დიეგო ზეწოლას არ გრძნობს: „ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ. რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი გადაიხადა „იუვემ" ჩემში, 30, 50 თუ ექვსი მილიონი. მთავარი ის არის, რომ ვიცი, კარგად უნდა ვითამაშო და გუნდმა ყველა ტიტულის მოსაგებად უნდა იბრძოლოს."

დიეგო დარწმუნებულია, რომ „იუვენტუსში" გადასვლა გაცილებით ზრდის იმის შანსს, რომ ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კარლოს დუნგამ ის მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანოს. „ეს ჩემი ოცნებაა და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ სამუნდიალო განაცხადს მიღმა არ აღმოვჩნდე," - ამბობს დიეგო.

ბრაზილიელის გარშემო ატეხილი ეიფორია იმდენად დიდია, რომ თვით **ალესანდრო დელ პიეროც** კი ჩრდილში მოექცა. დიეგო: „რა სისულელეა, დელ პიერო „იუვენტუსის" ცოცხალი ლეგენდაა და მე მას ვერ შევედრები. ის ერთ-ერთი საუკეთესო, განსაკუთრებული ფეხბურთელია."

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ბაიერნი

# გაიზარდე დიდი ბიჭი!

## დიდ მიულერს პატარა მიულერი ძალიან მოსწონს

მას მერე, რაც **ლუის ვან გაალი** მიუნხენის „ბაიერნს" წვრთნის, რეკორდმაისტერის რიგებში ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა, რომლებსაც ჰოლანდიელი მწვრთნელი რეგულარულად ენდობა და მათზე უდიდეს იმედებს ამყარებს. პირველი 19 წლის მცველი **ჰოლგერ ბადშტუბერია**, მეორე კი იმავე ასაკის თავდამსხმელი **თომას მიულერი**. ბადშტუბერზე უკვე ბევრი დავწერეთ, ახლა კი მიულერის ჯერია.

ახალგაზრდა ფორვარდმა, რომელსაც პლეიმეიკერის პოზიციაზე თამაშიც შეუძლია, „აუდის თასის" ნახევარფინალში „მილანს" ორი გოლი გაუტანა და ყურადღების ცენტრში მოექცა. როცა „ბაიერნში" თამაშობ, თანაც თავდამსხმელის პოზიციაზე და გვარად მიულერი ხარ, უნდა შეეგუო იმ ფაქტს, რომ ყველა სხვანაირად შემოგხედავს, რადგან გერმანიაში მიულერობა და ამავე დროს თავდამსხმელობა, განსაკუთრებული შემთხვევაა - ალბათ მიხვდით, ლეგენდარული გოლეადორის, ნაციის ბომბარდირად წოდებული **გერდ მიულერის** გამო. ამიტომაც იყო, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა „მილანთან" მატჩის შემდეგ, შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებული თომას მიულერის შესახებ აზრის გამოთქმა დიდ გერდ მიულერს რომ სთხოვეს:

„თომასს ძალიან დიდი ხანია, ვიცნობ. ღმერთმა მას უდიდესი ნიჭი უბოძა, რომელიც აუცილებლად უნდა გამოიყენოს. მე მას ბავშვობიდან ვაკვირდები და ყოველთვის ძალიან მომწონდა. ჯერ კიდევ ძალიან პატარაა, მაგრამ დიდი ნიჭის პატრონია, სწრაფია და შესანიშნავი საგოლე ალღო აქვს. დარწმუნებული ვარ, ერთხელაც დიდი ფეხბურთელი გახდება. თომასს არაფრისგან შეუძლია გოლების გატანა," - განაცხადა 63 წლის გერდმა.

თომასმა „მილანის" კარი მე-12 და 90-ე წუთებზე დალაშქრა. მატჩის შემდეგ ვან გაალმა თქვა: „მიულერის თამაშით კმაყოფილი ვარ. მიყვარს თავდამსხმელები, რომლებიც ცენტრალური ფორვარდები არიან და ამავე დროს, გამთამაშებლის ფუნქციების შესრულებაც ეხერხებათ. ასეთი იყო თავის დროზე პატრიკ კლუივერტიც და მასაც ძალიან ვაფასებდი."

მიულერს „ბაიერნთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს. „როდესაც გერდ მიულერი ჩემზე ასეთ რამეს ამბობს, ეს ჩემთვის უდიდესი პატივია. იმედი მაქვს, რომ იმის ნახევარს მაინც შევძლებ, რაც გერდმა შეძლო. ეს ჩემი ოცნებაა!" - ეს კი თვითონ თომასის სიტყვებია.



გერდ მიულერი თომას მიულერს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს




მიხაელ რენზინგს კარგი თამაში კონკურენტმა ჰანს-იორგ ბუტმაც მიულოცა

# რენზინგმა ბუტს დუელი მოუგო?

## ვან გაალმა დღეს უნდა გადაწყვიტოს

„ბაიერნმა" „აუდის" თასის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედი" პენალტების სერიაში დაამარცხა (7:6). უშუალოდ მატჩში გუნდებს თავი არ მოუკლავთ – ორივე გუნდმა ძალიან ულიმღამო ფეხბურთი ითამაშა. „მანჩესტერს" რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი ჰქონდა, უფრო მეტი, ვიდრე „ბაიერნს" და ის, რომ მატჩის ძირითადი დრო 0:0 დასრულდა, მხოლოდ და მხოლოდ რეკორდმაისტერის მეკარის, **მიხაელ რენზინგის** დამსახურებაა. მეტიც: 25 წლის მეკარე მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს! ნახევარფინალში, „მილანთან" (4:1 მიუნხენელთა სასარგებლოდ) „ბაიერნის" კარი **ჰანს-იორგ ბუტმა** დაიცვა და ძალიან უაზრო შეცდომები დაუშვა.

62-ე წუთზე რენზომ **მაიკლ ოუენს** აუღო, 69-ეზე კი **პოლ სქოულზს**. პენალტების სერიაში კი **ევრასა** და **ევანსის** თერთმეტმეტრიანები მოიგერია. „დღეს რენზინგმა დაამტკიცა, რომ მაღალ დონეზე თამაში შეუძლია. თითქოს ყველას უთხრა, ჯერ კიდევ აქ ვარ და ასე იოლად ვერ დამამარცხებთო," - ამბობს **ოლივერ კანი**.

„ეს მატჩი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და მიხარია, რომ უშეცდომოდ ვითამაშე," - ეს კი თვითონ რენზინგის სიტყვებია. ჩვენი გერმანელი კოლეგები აქამდე განუწყვეტლივ იმეორებდნენ, პირველობისთვის ბრძოლაში ბუტს რენზინგთან შედარებით უპირატესობა აქვსო. ამ ოთხთა ტურნირის შემდეგ კი, როგორც მინიმუმ, შანსები თანაბარია. ამ უქმეებზე „ბაიერნს" გერმანიის თასის პირველი რაუნდის მატჩი აქვს და მეკარე, რომელიც ამ შეხვედრაში რეკორდმაისტერის კარს დაიცავს, მთელი სეზონის განმავლობაში პირველი ნომერი იქნება.



მარიო ბასლერს დორტმუნდის თავკაცი იურგენ კლოპი ესიმპათიურება

ბუნდესლიგა მარიო ბასლერის სამიზნეში



## SUPER MARIO gibt Gas

# კლოპის ახალი პაციენტი

## ფარმაცევტები პაპა იუპის ჯანმრთელობაზე ზრუნავენ

ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი **მარიო ბასლერი** ყოველი სეზონის წინ ბუნდესლიგურ კლუბებში არსებულ ვითარებას მიმოიხილავს. მის წინასასეზონო მიმოხილვებს „ლელოს" მკითხველებიც კარგად იცნობენ, რადგან სუპერმარიოს სტატიებს ჩვენც ყოველ ზაფხულს წარმოგიდგენთ ხოლმე. ტრადიციის დარღვევას არც ამჯერად ვაპირებთ. მაშ ასე: საუკეთესო და ჩვენთვის საინტერესო გერმანული კლუბები მარიო ბასლერის სამიზნეში. დღეს: ლევერკუზენის „ბაიერი" და დორტმუნდის „ბორუსია"...

მარიო ბასლერი, ბილდი

„ბაბუაშენს მოკითხვა გადაეცი. ის ჩემი კლასელი იყო..." - აბა, გამოიცანით, რომელი მწვრთნელი ესაუბრება ასე თავის შეგირდებს? სწორია: **იუპ ჰაინკესი!**

„ლევერკუზენის" შეფმა **რუდი ფიოლერმა** ქაოტური **ბრუნო ლაბადიას** „ჰამბურგში" გაქცევის შემდეგ, მთავარ მწვრთნელად სწორედ ჰაინკესი დანიშნა და ამ გადაწყვეტილებით ბუნდესლიგის სამწვრთნელო პოლიტიკა თავდაყირა დააყენა, რადგან გერმანული კლუბები ბოლო წლებში საერთოდ უარს ამბობდნენ ასაკოვან სპეციალისტებზე, „დონ იუპი" კი, არც მეტი, არც ნაკლები, 64 წლისაა. თანაც, რუდიმ იუპს ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა და მე ამ გარიგებას ჯანმრთელ პენსიონერულ პოლიტიკას ვუწოდებდი. იმისათვის, რომ ბებერმა იუპმა დიდხანს და ჯანმრთელად იცოცხლოს, ლევერკუზენელებმა ახალგარემონტებულ „ბაი-არენაზე" მოწევა აკრძალეს. პირადად ჩემთვის ეს გადაწყვეტილება გაუგებარი და მიუღებელია. არ მესმის, რატომ უნდა აუკრძალო გულშემატკივარს მოწევა. მართალია, მე ნამეტანს ვაკეთებდი, როცა ფეხბურთელებსაც კი ვაძლევდი იმის საშუალებას, რომ გასახდელში გაებოლებინათ და თავის დროზე მეც ვეწეოდი ხოლმე შესვენებისას, მაგრამ ამ შემთხვევაში, „ლევერკუზენის" შეფების ამ ინიციატივას სხვა ახსნას ვერ ვუძებნი – გარდა იმისა, რომ ისინი ჰაინკესის ჯანმრთელობას უფრთხილდებიან. არ გამორიცხოთ, რომ მალე სტადიონზე ტაში და ოვაციებიც აკრძალონ – ჰაინკესმა ინფარქტი რომ არ მიიღოს...

საერთო ჯამში, სწორ გადაწყვეტილებად მივიჩნევ იმას, რომ „ფარმაცევტებმა" ჰაინკესი დანიშნეს. იუპი ის კაცია, ვინც სამწვრთნელო საქმე ძალიან კარგად იცის, მაგრამ ჩემი აზრით, „ლევერკუზენი" მომავალ სეზონში მერვე ადგილს დაიკავებს, სამაგიეროდ, ორი წლის შემდეგ უკვე ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. დამაინც: საიდან მოუვიდა ფიოლერს აზრად ჰაინკესის დანიშვნა? ჩემი თეორია: მას **ჰიონესმა** დაურეკა მიუნხენიდან და სასარგებლო რჩევა მისცა.

ული: *„ჰალო, რუდი! რას შვები, შენც პრობლემები გაქვს ხომ მაგ დამწყებ მწვრთნელთან? გაათავისუფლე ლაბადია. აქ, მიუნხენში ბებერი კურდღელი მყავს, რომელიც გამოგადგება. იუპი „ლევერკუზენისთვის" ზედგამოჭრილია, დამიჯერე. ჰა? ფული? პრობლემა არ არის, ბევრს არ ითხოვს. თანაც, ჩვენი ძველი მეგობრობის აღსანიშნავად, შემიძლია, მეც... აჰ, რისი მადლობა, არ გრცხვენია? ჩვენ ხომ ძმაკაცები ვართ..."*

მოკლედ, „ლევერკუზენში" ეიფორიაა. ჰაინკესის პირველ ვარჯიშს 700 ქომაგი დაესწრო, დიახ, 700! ეს კი „ლევერკუზენისთვის" უკვე სასწაულია. არადა, „დორტმუნდში" მინიმუმ 700 ფანი მაშინ იკრიბება, როცა მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** დილის 7 საათზე ფუნთუშების საყიდლად გამოდის...

ერთადერთი რამ, რითაც ფიოლერმა იმედები გამიცრუა, „ლივერპულიდან" **სამი ჰიიპიას** ყიდვა იყო. რატომ, რუდი, რატომ? რაში გჭირდება ბებერი ფინელი? მართალია, თავის დროზე დიდი მცველი იყო, მაგრამ ოქტომბერში 36 წლის ხდება და მომავალ სეზონში ყავარჯნებით ვერც ერთ ბურთს ვერ მოიგერიებს. ან იქნებ მალე **კრისტიან ვიორნსიც** დააბრუნო პენსიიდან და ლიბეროთი ითამაშო?!

კარდინალურად განსხვავებული სიტუაციაა დორტმუნდში: ახალგაზრდა მწვრთნელი, ახალგაზრდა გუნდი. **იურგენ კლოპმა** „ბორუსია" გააახალგაზრდავა და რაც დრო გადის, უფრო და უფრო აახალგაზრდავებს. „კლოპო" ვერასდროს იტანდა **ალექსანდერ ფრაის** და გაუშვა კიდეც. 30 წლის შვეიცარიელის ნაცვლად მან 24 წლის **ლუკას ბარიოსი** იყიდა „კოლო კოლოდან" - 4.3 მილიონ ევროდ. ამ ტიპმა 2008 წელს ჩილეში 38 მატჩში 37 გოლი გაიტანა და „მსოფლიო გოლეადორი" გახდა. მივულოცოთ დორტმუნდელებს?

კიდევ კარგი, რომ წავიდა დრო, როცა „ბორუსიას" შეფად **გერდ ნიბაუმი** ჰყავდა, რომელიც ფულს წყალში ყრიდა და **ამოროზოსა და ევანილსონს** ყოველი თამაშის შემდეგ ეკითხებოდა. ხომ არაფერი გიჭირთ, ფული პრობლემა არ არისო. ბარიოსი კი კლოპის ახალი პაციენტია. არგენტინელი ისეთი ტიპი ჩანს, რომელსაც დღე და ღამე ფერება სჭირდება - ისევე, როგორც **მოჰამედ ზიდანს.** უყვარს კლოპს ასეთი ფეხბურთელები. ეს იქიდან დავასკვენი, რომ ბარიოსს არგენტინაში ხუთი წლის შვილი ჰყავს, რომელიც უკვე ენატრება...

მე კი, გულახდილად გეტყვით, იმედი მაქვს, რომ ეს ბიჭი გოლებს გაიტანს. „ბორუსიას" ერთგული ფანები და სიმპატიური მწვრთნელი ამას ნამდვილად იმსახურებენ. იმედი მაქვს, რომ „ფრეების მეფე" „დორტმუნდი" ბოლოს და ბოლოს მოგებებს მიეჩვევა. თუმცა მაინც არა მგონია, რომ კლოპმა „ბორუსია" წელს საუკეთესო ხუთეულში მოახვედროს. მგონია, რომ „შავ-ყვითლები" ისევ მეექვსე ადგილზე გავლენ. მიხარია, რომ **ნური შაჰინი** ბოლოს და ბოლოს იმედებს ამართლებს. ახლა კლოპმა ეს თურქი ბიჭი სულაც გუნდის ერთ-ერთ ლიდერად გამოაცხადა. შაჰინს კი, **სებასტიან კელთან** შედარებით ერთი ძალიან მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს: ის ყოველ მეორე დღეს ბუცებზე თასმების შეკვრისას ტრავმას არ იღებს...

გოტფრიდ ლენცი

ბასლერის თვალით

### ლევერკუზენის ძირითადი შემადგენლობა

რენე ადლერი – გონსალო კასტრო, მანუელ ფრიდრიხი, სამი ჰიიპია, მიხალ კადლეცი – სიმონ როლფესი – ტონი კროოსი, რენატო ავგუსტო, ტრაკუილიო ბარნეტა – შტეფან კისლინგი, ერენ დერდიოკი.

ბასლერის თვალით

### დორტმუნდის ძირითადი შემადგენლობა

რომან ვაიდენფელერი – პატრიკ ოვომოიელა, მატს ჰუმელსი, ნევენ სუბოტიჩი, დედე – სებასტიან კელი – იაკუბ ბლაშჩიკოვსკი, ნური შაჰინი – ტამაშ ჰაინალი – ნელსონ ვალდესი, ლუკას ბარიოსი.

ესპანეთი

# ალვარო არბელოა: მინდა კიდევ მოვუგო ბარსას



არბელოა უკვე ბარსას ემუქრება

მადრიდის „რეალის" ახალი შენაძენი **ალვარო არბელოა** „გოლთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში მადლობას უხდის ყოფილ კლუბ „ლივერპულს" და უკვე „ბარსელონას" დამარცხებაზე ფიქრობს...

2007 წელს ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში, „ლივერპულმა" „ბარსელონა" „კამპ ნოუზე" დაამარცხა, მაშინ „წითლებს" გამარჯვებაში ალვაროც დაეხმარა. *„ბარსელონასთან შეხვედრა ჩემთვის პირველი იყო „ლივერპულის" სასტარტო შემადგენლობაში, ეს იყო ჩემი დებიუტი ინგლისურ კლუბში ევროთასებზე. მოკლედ, ამ მატჩს რა დამავიწყებს. „ბარსა" თასის მფლობელი იყო, ჩვენ კი 0:1-ს ვაგებდით, მაგრამ ბოლოს 2:1 გავიმარჯვეთ. ვერც კი აღვწერთ ისეთი გრძნობა დამეუფლა თამაშის შემდეგ. ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო ეს მოგება, მე ხომ „ლივერპულამდე" „რეალის" წევრი ვიყავი"*, - იხსენებს ალვარო. სწორედ ამიტომაც არბელოა მიიჩნევს, რომ სხვებზე იოლად შეელევა ახალ კლუბს, ის ხომ მისთვის კარგად დავიწყებული ძველია: *„ჩემთვის „რეალში" თამაში ძალიან ბუნებრივი მოვლენაა, მე აქ ხუთი წელიწადი გავატარე და ბევრი რამ ვისწავლე".*

ახლა ბევრს ბჭობენ თუ რა პოზიციაზე ათამაშებს **პელეგრინი** არბელოას „რეალში". არბელოა მარჯვენა ფეხით თამაშობს და მისთვის მარჯვენა მცველის პოზიცია უფრო მისაღებია, თუმცა „სამეფო გუნდში" მას უფრო მარცხენა მცველის პოზიციაზე ელიან: *„ახლა ამაზე ფიქრით თავს არ ვიღლი. მთავარია, ბევრი ვიშრომო და ვივარჯიშო, რომ „რეალის" დაცვის ხაზში ადგილი დავიმკვიდრო. მადრიდულ კლუბში იმდენი კარგი ფეხბურთელია, რომ ჩვენ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია. ნებისმიერ პოზიციაზე ვითამაშებ, ოღონდ, რაც შეიძლება მეტი ტიტული მოვიპოვოთ".*

არბელოას წარსულში „ნისლიანი ალბიონი" და შესანიშნავი მოგონებები დარჩა: *„ენფილდზე" თამაში ერთი სიამოვნება იყო ჩემთვის. მეტოქეებზე საოცრად მოქმედებდა ჩვენი გულშემატკივარი, რომელიც ყველაზე გამორჩეულია მსოფლიოში. „ლივერპულს" უდიდესი ისტორია აქვს და შესანიშნავი ფანები ჰყავს"*, - ამბობს „რეალის" ახალწვეული.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ამბები



დერეკ ბოატენგი (მარჯვნივ)

## ბოატენგი ხეტაფეში

განელმა ნახევარმცველმა **დერეკ ბოატენგმა** ბუნდესლიგის „კიოლნი" დატოვა და კარიერას ესპანურ „ხეტაფეში" გააგრძელებს. ამის შესახებ „ხეტაფეს" ოფიციალური საიტი იუწყება. დაახლოებით ერთი კვირის წინათ, „კიოლნში" პორტუგალიელი **მანიშე** გადავიდა, რის შემდეგაც ბოატენგის ადგილი სასტარტო შემადგენლობაში საეჭვო გახდა. „ხეტაფეს" ბოატენგის შეძენა 500 ათასი ევრო დაუჯდა. *„ხეტაფე" და „კიოლნი", ორივე კარგი გუნდია, მაგრამ მე ხელიდან ვერ გავუშვებდი ესპანეთში თამაშის შანსს. ჩემი ოცნება ხომ პრიმერაში ასპარეზობა იყო"*, - განაცხადა 26 წლის აფრიკელმა.

## აგენტი: ფაბიანო იყიდება

„სევილიის" ბრაზილიელი ვარსკვლავის, **ლუის ფაბიანოს** პირადი აგენტი **ხოსე ფუენტესი** აცხადებს, რომ ანდალუსიური კლუბი ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ფორვარდის გაყიდვას აპირებს. *„ახლახან ვესაუბრე „სევილიის" ხელმძღვანელობას და მათი სურვილიცაა ლუის ფაბიანო გაიყიდოს"*. ბრაზილიის ნაკრების ფორვარდის შეძენა ყველაზე მეტად „მილანს" სურს. იტალიელებმა 14 მილიონი ევრო შესთავაზეს ესპანელებს, თუმცა „სევილია" ფაბიანოსთან განშორებას 20 მილიონზე ნაკლებად არ აპირებს.

## გუისამ ფენერს უერთგულა

ესპანეთის ნაკრების ფორვარდის **დავიდ გუისას** თითქმის გადაწყვეტილი ტრანსფერი „ფენერბაჰჩედან" ფრანგულ „ლიონში" (12 მილიონ ევროდ)... თავად გუისამ ჩაშალა. სულ ბოლო მომენტში ევროპის ჩემპიონმა განაცხადა, რომ თურქეთში თავს კარგად გრძნობს და წასვლას არ აპირებს: *„აქ თავს კარგად ვგრძნობ, „ფენერბაჰჩესთან" 3-წლიანი კონტრაქტი მაქვს და დავრჩები. მწვრთნელი კრისტოფ დაუმიც უზომოდ მენდობა".*

ნიკოლოზ ნეფარიძე



დავიდ გუისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სეზონისწინა სამზადისი



# არსენი და ტრანსფერი

„არსენალის“ მწვრთნელმა, **არსენ ვენგერმა** თქვა, რომ „მანჩესტერ სიტისთვის“ **კოლო ტურესა** და **ემანუელ ადებაიორის** მიყიდვით გამორჩენილ ფულს ჯერ არ დახარჯავს - არავის შეძენა არ მეჩქარებაო. მოგეხსენებათ, ლონდონის გუნდს მაინცდამაინც დალხენილი დროება არ უდგას, დღევანდელ საკლუბო ფეხბურთში კი გამარჯვებას ფეხბურთელების გაყიდვა არ შველის, ყიდვა უნდა. ამ ზაფხულს ვენგერმა თავისი მოთამაშეებით 40 მილიონი ფუნტისა ივაჭრა, დახარჯვით კი მხოლოდ 10 მილიონი დახარჯა. „არსენალის“ ერთადერთი ახალშენაძენი გახლავთ **თომას ვერმაელენი** „აიაქსიდან“, რომელიც შესაძლოა კარგი ფეხბურთელია, მაგრამ იმ დონის ვარსკვლავი, „მეთოფეებს“ ჩემპიონატის ბედი რომ გადაუწყვიტოს, ნამდვილად არ არის.

*„ვფიქრობ, ისედაც საკმაოდ ძლიერები ვართ, - იხტიბარი არ გაიტეხა ვენგერმა „არსენალის“ ოფიციალურ ვებგვერდზე, - თუმცა, თუ შესაფერისი ფეხბურთელის ყიდვის საშუალება მოგვეცემა, აუცილებლად ვიყიდით. რატომღაც, ინგლისში ხალხს ჰგონია, რომ ყველანაირი პრობლემა მოთამაშეების შეძენით წყდება. ამ წუთისთვის ჩვენთვის სატრანსფერო ბაზარი დახურულია“.*

არადა, ზაფხული რომ იწყებოდა, „არსენალთან“ უამრავ ფეხბურთელს აკავშირებდნენ. ამბობდნენ, რომ „ემირატ სტედიუმზე“ „ფულემის“ მცველი **ბრედე ჰანგელანდი**, ნიუკასლელი **სებასტიენ ბასონგი**, „რეალის“ **კლაას-იან ჰუნტელაარი** და „ბორდოს“ **მარუან შამაკი** უნდა გადასულიყვნენ. მთლად გუშინ-გუშინწინ კი დაირხა ხმა, რომ ვენგერს „ინტერიდან“ „არსენალის“ ძველი ლეგენდა, **პატრიკ ვიეირა** მოჰყავს.

*„საჭირო ტრანსფერებისთვის საკმარისი ფული გვაქვს. თუმცა, როგორც გითხარით, მის ხარჯვას ჯერ არ ვაპირებთ და ვფიქრობთ, ამ ეტაპზე ყველაფერზე მნიშვნელოვანი სწორად ვარჯიში და ჩვენს ხელთ არსებული შემადგენლობის დახვეწა და განვითარება იქნება. მე ჩემს ფეხბურთელებს ვენდობი“* - უთხრა ვენგერმა ჟურნალისტებს გერმანულ „ჰანოვერთან“ ამხანაგურ შეხვედრაში 1:0 გამარჯვების შემდეგ.

და მაინც, რატომ გახდა ასე საგანგებოდ მნიშვნელოვანი ის, თუ რას იზამს „არსენალი“ მიმდინარე სატრანსფერო პერიოდში? პასუხი მარტივია: გაიყიდნენ ზემოხსენებული ტურე და ადებაიორი, ხოლო **სამირ ნასრი** სერიოზულად დაშავდა. არც „ფიორენტინასგან“ **ფელიპე მელოს** ყიდვიდან გამოვიდა რამე - საკუთრივ ფეხბურთელმა „იუვენტუსში“ გადასვლა ამჯობინა.

საერთოდ, მარტივი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მას მერე, რაც „არსენალი“ „ენფილდ როუდიდან“ „ემირატ სტედიუმზე“ გადავიდა, ვენგერმა გამოცდილი ფეხბურთელების ძებნას თავი დაანება და თითქმის უწვერული მოთამაშეების აღზრდას მიჰყო ხელი. **მეტიუ ფლამინი, ალექსანდრ გლები** და **ჟილბერტო სილვა** „არსენალიდან“ წავიდნენ, სამაგიეროდ შემადგენლობაში დამკვიდრდნენ **თეო უოლკოტი, აარონ რამსი** და **ჯეკ უილშერი**.

თუმცა, პედაგოგიკა კარგია, მაგრამ გუნდს 2005 წლის მერე ფეხბურთის ასოციაციის თასიც რომ არ აქვს მოგებული, ძალიან ცუდი. შეგახსენებთ, რომ მაისში კლუბის მეწილეებმა თათბირი მოიწვიეს და იმ თათბირზე ვენგერი გვარიანად აკრიტიკეს. სატრანსფერო ზაფხულის დღეები კი გადის.




დერბის ამბები

# ფერგიუსონი და იუმორის გრძნობა

„მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელმა, **მარკ ჰიუზმა** განაცხადა, **ალექს ფერგიუსონის** აგრესიულ სიტყვათა ნიაღვარი ვერ წამლეკავსო. პრესასთან ინგლისის ჩემპიონთა მწვრთნელზე სალაპარაკოდ ისტლენდელთა თავკაცმა **კოლო ტურეს** პრეზენტაციაზე მოიცალა - მოგეხსენებათ, „სიტიმ“ ტურე „არსენალისგან“ 14 მილიონ ფუნტად იყიდა. საზოგადოდ ცნობილია, რომ ფერგიუსონს მეტოქეებისთვის ფსიქოლოგიური ხაფანგების დაგება უყვარს. კერძოდ, რაიმე მწარეს იტყვის, წყობიდან გამოიყვანს, შეცდომას დააშვებინებს. თუ გახსოვთ, ამაში მას თავის დროზე „ჩელსის“ ყოფილი თავკაცი, **ჟოზე მოურინიუ** აჰყვა დიდებულად და ხსენებული ორი სპეციალისტის „გადაძახილ-გადმოძახილისთვის“ თვალის მიდევნება ჩემპიონატთან ერთად, ერთ რამედ ღირდა. თუმცა, ჰიუზი, რომელიც ფეხბურთელობის წლებში თავად გახლდათ ფერგიუსონის შეგირდი, ვინაიდან „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობდა, აცხადებს, რომ ყოფილ მასწავლებელს სიტყვებით ფარიკაობაში არ აჰყვება.



სპარკიმ (ჰიუზის მეტსახელია) თქვა: *„ვცდილობ ეს გამონათქვამები გულთან არ მივიტანო, არ ავყვე. რასაკვირველია, ხანდახან იძულებული ვხდები, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ, თავდასხმებს მაინც გავცე პასუხი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხმა შეიძლება სწორად ვერ გამიგოს, მაგრამ დაძაბულობის შენარჩუნება და მისი სულ უფრო მაღალ და მაღალ ხარისხში აყვანა არ ივარგებს. ფერგიუსონი ჩვენმა სარეკლამო კამპანიამ გააღიზიანა, თუმცა ქალაქში ერთადერთი ბილბორდის აღმართვას რამდენად შეიძლება კამპანია ერქვას, კიდევ საკითხავია. ბოლოს და ბოლოს, ის პლაკატიც ერთი ქალაქის მცხოვრებთა ორ ჯგუფს შორის ხუმრობა იყო და მეტი არაფერი. ყველამ ასეც აღიქვა. ასეთ შაყირებს პირადად მე დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, მაგრამ სერ ალექსი, როგორც ხედავთ, მათზე ბრაზდება“.*

რა შეხსენება უნდა, რომ ლაპარაკია „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ „მანჩესტერ სიტიში“ გადასული არგენტინელი თავდამსხმელის, **კარლოს ტევესის** დიდ პლაკატზე, რომელიც ისტლენდელებმა ქალაქის ცენტრში აღმართეს და მიაწერეს: „კეთილი იყოს შენი მობრძანება მანჩესტერში“ - აქაოდა, მანჩესტერი „სიტია“, „იუნაიტედი“ კი ყარტაყურტაო. ამის დანახვამ „იუნაიტედის“ შეფი, ფერგიუსონი გადარია და „სიტი“ განმაქიქებელი კომენტარებით დაბომბა. მან თანაქალაქელ მოქიშპეებს სატრანსფერო ზაფხულის ლამის ყველა შენაძენი დაუწუნა, თუმცა ჰიუზი ყოფილი მენტორის მოსაზრებას არ იზიარებს:

*„ჩვენ პირიქით, ვგრძნობთ, რომ ყველა შენაძენი სწორად გავაკეთეთ“* - თქვა მან.

სატრანსფერო ამბები

# საბრალო ბენტის ლანძღვა-გინება



პრესის კანონს თავი დავანებოთ, ზრდილობის ამბავია - იმ სიტყვებს, რომლებიც **დარენ ბენტმა** ამ დღეებში ინგლისური „ოდნოკლასნიკის“ მაგვარ საიტზე იძახა, „ლელოს“ ფურცლებზე ვერ გავიმეორებთ, თუმცა ინგლისურ ტაბლოიდებს მათი სამწერტილიანი ფორმით გადაწერა არ მორიდებიათ. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია პრემიერლიგის ქართველ გულშემატკივარს ზუსტად მოვუთხროთ, თუ რა გადახდა ამ ინგლისელ ფეხბურთელს მას მერე, რაც ჩინეთში გასაფრენად დაქოქილი თვითმფრინავიდან ჩამოსვეს და გამოუცხადეს, ამიერიდან „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ წევრი აღარ ხარ, „სანდერლენდთან“ გარიგება შედგა და შეგიძლია ახალ გუნდს შეუერთდეო. შეგახსენებთ: ჩინეთს „სფურზი“ მიემგზავრებოდა.

ერთი სიტყვით, „სანდერლენდმა“ და „ტოტენჰემმა“ 15 მილიონ ფუნტზე ხელი ხელს დაჰკრეს და, თითქოს ბენტის ტრანსფერიც რაღას უნდა დაებრკოლებინა, მაგრამ წურას უკაცრავად, საქმეში მოულოდნელად „ჰალი“ და „სტოკ სიტი“ ჩაერთნენ და ტოტენჰემელთა თავმჯდომარეს, **დენიელ ლივისაც** ნერწყვი მოადგა, იფიქრა, ახლა კი ამ სამ გუნდში ნაღდ აუქციონს მოვაწყობო და 25 წლის თავდამსხმელი შეაყოვნა. ლივის იმთავითვე ოცნებად ჰქონდა, ბენტი იმდენად გაეყიდა, რამდენადაც 2007-ში „ჩარლტონ ატლეტიკიდან“ იყიდა. ეს თანხა 16,5 მილიონი ფუნტი გახლავთ. და სწორედ ამან გადარია ფეხბურთელი:

*„კი მაგრამ, მინდა „ჰალ სიტიში“ გადასვლა? არა! მინდა „სტოკ სიტიში“ გადასვლა? არა! აბა, სად მინდა, „სანდერლენდში“? დიახ! ასე რომ, ლივი, გარშემო ყველას მოტყუებას (სინამდვილეში ეს გაცილებით უხეშად ითქვა) თავი დაანებე“.*

ამ განრისხებამდე ერთი-ორი დღით ადრე ბენტი არანაკლებ უხეშად წერდა:

*„გამაგებინეთ, რატომ არ შეიძლება ყველაფერი მარტივად მოგვარდეს? იცით, რა საშინელი შეგრძნებაა, როდესაც თავს მოტყუებულად, ლაფში ამოთხვრილად გრძნობ? ამ ისტორიაში ერთადერთი, ვინც პატიოსნად იქცევა, „სანდერლენდია“.*

გასულ სეზონში ბენტმა 17 გოლი გაიტანა და „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მაგრამ ლონდონელთა მწვრთნელს, **ჰარი რედნაპს** ის მაინც აღარ სჭირდება, რადგან გული აქვს აცრუებული. გასული სეზონის ერთ-ერთ შეხვედრაში ბენტმა ისეთი პოზიციიდან ააცილა, რომ რედნაპმა ვერ აპატია. მაშინ მწვრთნელმა, მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე დაცინვით განაცხადა, ამ გოლს ჩემი ცოლი **სანდრაც** კი გაიტანდაო. ცნობისთვის: ქალბატონი სანდრა, რომელიც იმ გოლს გაიტანდა, „ჩელსის“ ვარსკვლავის, **ფრენკ ლამპარდის** ალალი დეიდა და „ლივერპულის“ ყოფილი მოთამაშის, **ჯეიმი რედნაპის** დედაა.

საინტერესოა, რომ „სფურზის“ წარმომადგენლებმა გამოძიება წამოიწყეს. სურთ გამოიკვლიონ, მართლა ბენტმა დაწერა ეს სიტყვები თუ არა. ლონდონელებს სწამთ, რომ გუნდის შიდა ამბები გარეთ არავის უნდა გაჰქონდეს. ამასობაში კი ბენტის სპონსორის, Umbro-ს პრესწარმომადგენელმა დაადასტურა, რომ გინებით ნამდვილად ბენტმა იგინა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ტრანსფერი

# გადაწყდა: მარტინსი მგელია!

მაშ ასე, გერმანიის მოქმედმა ჩემპიონმა „ვოლფსბურგმა" **ედინ ჯეკოს** და ბრაზილიელ **გრაფიტეს** გვერდში მესამე მაღალი კლასის თავდამსხმელი ამოუყენა: „ნიუკასლის" ნიგერიელი ფორვარდი **ობაფემი მარტინსი** კარიერას „მგლებში"გააგრძელებს. 24 წლის მარტინსი „ვოლფსბურგთან" კონტრაქტს 2013 წლამდე აფორმებს.

*„მარტინსი ზუსტად ის ფეხბურთელია, რომელიც გვჭირდებოდა. ჩვენ ვეძებდით თავდამსხმელს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, ჯეკოს და გრაფიტეს შეცვლიდა ანაც ამ დუეტს შეავსებდა. ობა ძალიან სწრაფი და ტექნიკური ფორვარდია. გარდა ამისა, ჩინებული საგოლე ალღოც აქვს, რაც არაერთხელ დაუმტკიცებია,* - აცხადებს „მგლების" დამრიგებელი **არმინ ფეე** და იქვე დასძენს, - *ამიერიდან, შეგვიძლია, სამი თავდამსხმელითაც ვითამაშოთ. ყველაზე მეტად ის ფაქტი მახარებს, რომ მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, მარტინსი გამოცდილი ფეხბურთელია, რაც ჩემპიონთა ლიგაში გამოგვადგება."*

ობა მარტინსი „ნიუკასლში" 2006 წლიდან თამაშობდა და პრემიერლიგაში 88 მატჩში 28 გოლის გატანა შეძლო. *„მიხარია, რომ ტრანსფერი განხორციელდა. ბუნდესლიგა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ლიგაა და ჩემთვის გერმანიის ჩემპიონის მაისურის მორგება დიდი პატივია,"* - უთხრა მარტინსმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

**გოტფრიდ ლენცი**



მარტინსი კარიერას „ვოლფსბურგში" გააგრძელებს

ამბები

## შტუტგარტი პოგრებნიაკს მოურიგდაო

**ალიაქსანდრ ჰლების** ტრანსფერის განხორციელების შემდეგ „შტუტგარტმა", როგორც იქნა, **მარიო გომესის** შემცვლელიც იპოვა. გუშინ საღამოს გერმანულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, შვაბები „ზენიტის" რუს ფორვარდ **პაველ პოგრებნიაკს** მოურიგდნენ. გერმანული კლუბი 25 წლის პოგრებნიაკში 10 მილიონ ევროს გადაიხდის და თავდამსხმელი ოთხწლიან კონტრაქტს მიიღებს. მხარეები გარიგებას ოფიციალურად ჯერ არ ადასტურებენ, მაგრამ აბსოლუტურად ყველა გერმანული გამოცემა წერს, რომ ტრანსფერი გადაწყვეტილია. პოგრებნიაკი გომესის სტილის თავდამსხმელია და 2007/2008 წლების სეზონში ის უეფას თასის საუკეთესო ბომბარდირი გახდა – 10 გოლით. რუსეთის ნაკრებში მას დებიუტი 2006 წელს ჰქონდა და მას მერე რვა მატჩი ჩაატარა (3 გოლი). „შტუტგარტის" ტრანსფერები ამით არ ამოწურულა. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, შვაბები ლიეჟის „სტანდარდის" ნახევარმცველ **მილან იოვანოვიჩსაც** უმიზნებენ.

## ვერდერს მაქსი ლოპესის შეძენა სურს

ცნობილი ამბავია, რომ ბრემენის „ვერდერი" თავდამსხმელს ეძებს და საუკეთესო შემთხვევაში **კლაუდიო პისაროს** შენარჩუნება უნდა, მაგრამ ტრანსფერი არ გამოდის. „ჩელსი" პერუელს იაფად არ თმობს. ჩვენი გერმანელი კოლეგების მტკიცებით, ბრემენელთათვის პისაროს პირველი ალტერნატივა **მაქსი ლოპესია**. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი 2005 წელს „ბარსელონას" ღირსებას იცავდა, მერე კი „მოსკვაში" ამოყო თავი, საიდანაც „გრემიოში" გაანათხოვრეს და ახლა სწორედ ბრაზილიური კლუბის ღირსებას იცავს. 25 წლის ლოპესი 3 მილიონი ღირს.

**გოტფრიდ ლენცი**

ფეხბურთი გლოვობს



## ისტორიას შეუერთდა

ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ლეგენდარული **სერ ბობი რობსონი** 75 წლის ასაკში სიმსივნით გარდაიცვალა.

რით დაამახსოვრდება ბობი რობსონი ყველაზე მეტად გულშემატკივარს? ალბათ, ყველაზე მეტად მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე ინგლისელთა მშვენიერი ნაკრების ნახევარფინალში გაყვანით. ოთხი წლით ადრე, მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატზე კი, რობსონის ინგლისი მეოთხედფინალში არგენტინამ **დიეგო მარადონას** თაღლითური და გენიალური გოლების წყალობით დაამარცხა, 2:1.

საკლუბო დონეზე, მწვრთნელის პროფესიას „ფულემში" ეზიარა, საიდანაც 13 წლით „იფსვიჩ თაუნში" გადავიდა და გუნდს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისა და უეფას თასები მოაპოვებინა. შემდეგ, სერ ბობიმ მოიარა „პსვ ეინდჰოვენი", ლისაბონის „სპორტინგი", „პორტუ", „ბარსელონა", ისევ პსვ და ბოლოს „ნიუკასლი". 2006-2007 წლიბში კი ირლანდიის ნაკრების საგანგებო კონსულტანტად მუშაობდა.

კატალონიურმა „ბარსელონამ" მისი ხელმძღვანელობით 1997 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგო.

სერ ბობი სახალხოდ უკანასკნელად გასულ კვირას გამოჩნდა. ეს გახლდათ საქველმოქმედო მატჩი, რომელიც ნიუკასლის „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" გაიმართა და რომელშიც **ალან შირერმა, პიტერ შილტონმა** და თვით **პოლ გესქოინმა** მიიღეს მონაწილეობა. 30 ათასი მაყურებლის თვალწინ ინგლისელმა ვეტერანებმა გერმანელებს 3:2 მოუგეს.

*„ცხოვრებაში არ ვყოფილვარ ისე ამაყი, როდესაც მაშინ, ბობი რობსონს რჩევას რომ ვეკითხებოდი და მასაც ცხოვრებაში არასდროს დაუდია სიტყვისთვის ფასი"* - განაცხადა გუშინ **სერ ალექს ფერგიუსონმა**.

**ილია ბაბუნაშვილი**




სატრანსფერო ამბები

## გაქცევა რაფასგან

**ჩაბი ალონსო** ორშაბათს „ლივერპულიდან" მადრიდის „რეალში" გადასვლას ელოდება. სატრანსფერო თანხა 28 მილიონი ფუნტი გახლავთ.

ესპანელი ნახევარმცველის საქციელმა ლივერპულში ბევრს გაოცებისგან პირი დააღებინა - კლუბის ოფისში წერილობითი თხოვნა შეიტანა, გემუდარებით, გამათავისუფლეთო. „რეალს" გამოცხადებული ჰქონდა, რომ ალონსო მიმდინარე ზაფხულის ბოლო ძვირიანი შენაძენი იქნებოდა და თავდაპირველად მერსისაიდელებს 24 მილიონი ფუნტი შესთავაზა. თავისი ყოფილი გუნდის წინადადებაზე ლივერპულელთა თავკაცმა, **რაფა ბენიტესმა** უარი თქვა, რადგან თავიდან ფეხბურთელის შენარჩუნება სცადა, მერე კი, რომ შეატყო ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა, საკუთარი ფასი, 30 მილიონი ფუნტი დაასახელა - ვაჭრობა დაიწყო. გაზეთ „სანისთვის" მადრიდული წყაროებიდან დანამდვილებით გახდა ცნობილი, რომ მოლაპარაკებები უკვე გადამწყვეტ სტადიაზეა და წერტილის დასმას ორიოდ დღეღა უნდა.

რასაკვირველია, ალონსოს დაკარგვა ბენიტესისთვის დიდი დარტყმა იქნება, მაგრამ დარტყმას ფულიც მოჰყვება, რომლითაც მწვრთნელმა შესაძლოა „უიგანიდან" **ლი კეტერმოლი** იყიდოს. კეტერმოლი ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი გახლავთ და სავარაუდოდ, 12 მილიონი ფუნტი ღირს. ალსანიშნავია, რომ გასულ კვირაში უიგანელებმა კეტერმოლზე „სანდერლენდს" სასტიკი უარი შეუთვალეს, მაგრამ, აბა, სად „სანდერლენდი" და სად „ლივერპული". მერსისაიდელთა ხსენებაზე შესაძლოა თავად ბიჭი გადაირიოს და თან ისე, რომ „უიგანში" ვერანაირი ჯაჭვით ველარ დააბან. გარდა კეტერმოლისა, ალონსოს შესაძლო შემცვლელები არიან „რომას" ნახევარმცველი **ალბერტო აკუილანი** და ბილბაოს „ატლეტიკის" მოთამაშე **ხავიერ მარტინესი.**

და კიდევ, მართალია, ეს უკვე ნახევარდაცვას აღარ ეხება, მაგრამ შესაძლოა ბენიტესმა ერთი ლაშქრობა ესპანეთის ნაკრების ვარსკვლავ-ფორვარდზე, **დავიდ ვილიაზეც** გაილაშქროს. შეგახსენებთ, რომ ვილიამ ამას წინათ კატეგორიულად განაცხადა, „ვალენსიადან" ფეხის მომცვლელი არ ვარო, მაგრამ ბენიტესი რას კარგავს?

ერთი სიტყვით, ალონსოს „ლივერპულიდან" „რეალში" გადასვლას სულ „ხუთი წუთი" აკლია და ფეხბურთელს დიდი იმედი აქვს, რომ ეს „ხუთი წუთი" ძალიან მალე გავა. ამასობაში კი მცველმა **ალვარო არბეოლამ**, რომელსაც ალონსოს საოცნებო გზა უკვე გავლილი აქვს, მადრიდში გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა:



*„ჩემთვის „ლივერპულიდან" წამოსვლა უძნელესი საქმე გამოდგა, რადგან რაფა თავის ინტერესებს კბილებით იცავს, ოღონდ, შევამჩნიე, რომ დღეს უკვე მომდევნო სეზონისთვის გუნდის მზადებაზე გადაერთო და ტრანსფერებზე მუშაობისთვის იმდენად აღარ სცალია. რაც შეეხება ჩაბის, მინდა ის მალე ჩამოვიდეს „რეალში", რადგან ძალიან კარგი ფეხბურთელი და ჩემი დიდი მეგობარია".*

„ლივერპულმა" არბეოლა „რეალს" 3,5 მილიონ გირვანქად მიჰყიდა.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



პარმა




# პანუჩი პარმამ გაიფორმა

როგორც მოსალოდნელი იყო, **კრისტიან პანუჩიმ** "პარმასთან" გააფორმა ხელშეკრულება და მომავალ სეზონში სწორედ ამ გუნდში იასპარეზებს. კონტრაქტი ერთ წელიწადზეა გათვლილი, რაც ბუნებრივიც გახლავთ, რადგან პანუჩი უკვე 36 წლის არის და კარიერას სულ მალე დაასრულებს. კრისტიანი უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში "რომას" შემადგენლობაში თამაშობდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. თუმცა, გასულ სეზონში დროის უდიდეს ნაწილს სათადარიგოთა სკამზე ატარებდა და "ჯალოროსისთან" გამოთხოვება ამადაც გადაწყვიტა.

პანუჩის გადაბირება "ჯენოასაც" სურდა, თუმცა ფეხბურთელმა არჩევანი სწორედ "პარმაზე" გააკეთა. თუ ჟურნალისტებს ვენდობით, გადამწყვეტი პარმეზანული კლუბის პრეზიდენტთან შეხვედრა გამოდგა, რომლის შემდეგაც კრისტიანმა "ჯალობლუში" გადასვლა მყარად გადაწყვიტა. როგორც ჩანს, **ტომაზო გირარდიმ** დაარწმუნა გამოცდილი უკანახაზელი, რომ "პარმა" მომავალ სეზონში მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. აი, რა განაცხადა პრესასთან საუბარში პანუჩიმ: "სხვა არაერთი წინადადება მქონდა, მაგრამ ჩემი არჩევანი "პარმაზე" შეჩერდა. ამ გუნდის მიმართ სიმპათიები ყოველთვის მქონდა და მიხარია, რომ სწორედ "ჯალობლუში" ალმოვჩნდი. ხელშეკრულება ერთწლიანია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სეზონის ბოლოს ბუცებს ლურსმანზე ჩამოვკიდებ. თავს კარგად ვგრძნობ და ჯერჯერობით კარიერის დასრულებაზე ფიქრი არ მინდა. ვნახოთ, ყველაფერს მომავალი სეზონი გვიჩვენებს, თუ შევატყვე, რომ ფეხბურთის თამაში კიდევ შემიძლია, "პარმასთან" ხელშეკრულებას სიამოვნებით გავახანგრძლივებ".

პანუჩისთვის "პარმა" მერვე გუნდი იქნება კარიერაში, აქამდე მას შემდეგი კლუბების ღირსება დაუცავს: "ჯენოა", "მილანი", "რეალი", "ინტერი", "ჩელსი", "მონაკო", "რომა".

იუვენტუსი

# იუვენტუსში მატებაა

შესაძლოა, როდესაც თქვენ ამ ინფორმაციას გაეცნობით, **მარტინ კასერესი** უკვე "იუვენტუსის" ფეხბურთელი იყოს. დიახ, ურუგვაელი გუშინ ჩაფრინდა ტურინში და სამედიცინო შემოწმებაც გაიარა. ეს ამბავი მოულოდნელად მოხდა და ბევრიც გააკვირვა. კასერესის "იუვეში" შესაძლო გადასვლაზე მასმედია არაფერს ამბობდა და ტრანსფერს მოულოდნელობის ეფექტი ამადაც აქვს. თუმცა, სიტყვა ტრანსფერი ამ შემთხვევაში სჯობია არენდით ჩავანაცვლოთ. დიახ, სამხრეთამერიკელი სწორედ ერთწლიანი იჯარით იასპარეზებს "ვეკია სენიორაში". აქვე დავძენთ, რომ ტურინელებს ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლება ექნებათ და სურვილის შემთხვევაში, 12 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ.

შეგახსენებთ, რომ კასერესი შარშან ზაფხულს "ბარსელონამ" "ვილიარეალიდან" გადაიბირა და მასში 15 მილიონი ევრო გადაიხადა. "იუვენტუსის" საწვრთნელ ბაზაზე გამოცხადებულმა კასერესმა ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: "ჩემი ოცნება სულ მალე ახდება და მე იმ გუნდის ფეხბურთელი გავხდები, რომელსაც ბავშვობიდან ვგულშემატკივრობ. "ვეკია სენიორაში" თამაში ყოველთვის მინდოდა და თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ. ტურინში უდიდესი მოტივაციით ჩამოვედი და იმედია, იტალიაში თავს საუკეთესო კუთხით წარმოვაჩენ. "იუვენტუსს" გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს, რაც მე ყოველთვის მხიბლავდა. "ბარსელონაში" თამაშმა ამ მხრივ მეც გამზარდა და დარწმუნებული ვარ, "ვეკია სენიორაში" კარგად ჩავეწერები. წინაალმდეგი არ ვიქნები, თუ სეზონის ბოლოს "იუვენტუსი" გამომისყიდის და გუნდის სრულფასოვანი წევრი გავხდები".

**გვერდი მოამზადა**
**ლაშა ჭიკლაურმა**



ფიორენტინა

# ფიორენტინა მცველებს უმიზნებს

როგორც ჩანს, "ფიორენტინას" მესვეურები დაცვის ხაზის გაძლიერებას სერიოზულად გეგმავენ. "ვიოლაში" გადასვლასთან ძალიან ახლოს არის **ემანუელ ებუე** და ეს ყველამ კარგად იცით. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი, ფლორენციელები **ლუიზაოსთანაც** აწარმოებენ მოლაპარაკებებს. "ბენფიკას" ბრაზილიელი უკანახაზელი საიმედო თამაშით გამოირჩევა და მისი პერსონისადმი ევროპული გრანდები ყოველთვის იჩენდნენ ინტერესს.

თუ "გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, "ფიორენტინას" ხელმძღვანელები უკვე მოურიგდნენ ლუიზაოს და ფეხბურთელი მზად არის ფლორენციაში გადასაბარგებლად. თურმე, მხარეები ფინანსურ პირობებზე შეთანხმებულან და თუ ტრანსფერი შედგა, სამხრეთამერიკელი წელიწადში 1.5 მილიონ ევროს მიიღებს. მოკლედ, ლუიზაოს იტალიაში სურს კარიერის გაგრძელება, მაგრამ კლუბები სატრანსფერო ფასზე ვერ თანხმდებიან. აი, რას ამბობს "ვიოლას" სპორტული დირექტორი **პანტალეო კორვინო**: "ლუიზაოსთან მოსალაპარაკებელი არაფერია, რადგან ჩვენ ყველაფერზე შეთანხმებულნი ვართ. ბრაზილიის ნაკრების მცველს ძალიან უნდა ჩვენთან გადმოსვლა და ეს ალბათ ასეც მოხდება. ტრანსფერი აქამდეც გაიჩარხებოდა, მაგრამ "ბენფიკა" დათმობაზე არაფრით არ მოდის. ჩვენ მზად ვართ ფეხბურთელში რვა მილიონი ევრო გადავიხადოთ, პორტუგალიელები კი ათ მილიონს ითხოვენ. უახლოეს დღეებში "ბენფიკას" მესვეურებთან შეხვედრა გვექნება და ყველაფერი იქ გაირკვევა. დარწმუნებული ვარ, რომ კომპრომისულ ვარიანტამდე მივალთ და ლუიზაო "ფიორენტინაში" გააგრძელებს კარიერას".

ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ ლუიზაო "ბენფიკაში" 2003 წლიდან თამაშობს. ამ ხნის განმავლობაში მან პორტუგალიური კლუბის რიგებში 132 შეხვედრა ჩაატარა და 16 გოლი გაიტანა. ამასთან, სისტემატურად იძახებენ ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში. ყვითელი მაისურით 34 პაექრობაში მიიღო მონაწილეობა და ორჯერ გატანილი გოლის ავტორად მოგვევლინა.



ლაციო

# ლაციოს ორი ახალწვეული

## კრუსი და ბენგტონასი




გუშინ „ლაციოს" საწვრთნელ ბაზაზე ხალხმრავლობა იყო. რომაულმა კლუბმა მასმედიას ორი ახალწვეული წარუდგინა. ჯერჯერობით კონტრაქტი არ გაუფორმებიათ, მაგრამ ორივე მათგანი რომ „ბიანკოჩელესტეში" იასპარეზებს, გადაწყვეტილი ამბავია. მოკლედ, სიტყვა გაგვიგრძელდა და დროა გაცნობოთ, რომ ლაპარაკია **რასმუს ბენგტონაზე** და **ხულიო კრუსზე**. ამ უკანასკნელის სახელი ყველასთვის კარგად არის ცნობილი, აი ბენგტონასი კი ევროპული საფეხბურთო სამყაროსთვის ჯერჯერობით უცნობი გვარია. რასმუსი შვედია და აქამდე მოკრძალებულ კლუბ „ტრელებორგში" ასპარეზობდა. თურმე, „ლაციოს" სკაუტები მას ჯერ კიდევ ორი წლის წინ, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე აკვირდებოდნენ. რასმუსი ამჟამად 23 წლის არის და ამპლუით მცველი გახლავთ.

რაც შეეხება კრუსს, როგორც იქნა მას საშველი დაადგა და ახალი ნავსაყუდელი მოძებნა. საგულისხმოა, რომ რიკარდო „რომაში" აპირებდა გადასვლას, თუმცა ბოლო მომენტში ტრანსფერი ჩაიშალა. „ჯალოროსის" მესვეურებმა არგენტინელი ფორვარდის მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს და მას ორწლიანის ნაცვლად, ერთ სეზონზე გათვლილი ხელშეკრულება შესთავაზეს. „ლაციო" ამ ნაბიჯზე წავიდა და კრუსს ერთს პლუს ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. თუ რიკარდო 2010-11 წლებშიც „ლაციოში" მოინდომებს ასპარეზობას, ხელშეკრულება ავტომატურად გახანგრძლივდება. არგენტინელი თავდამსხმელი ყველა ფორმალობას უახლოეს საათებში მოაგვარებს და შემდეგ პეკინში გაემგზავრება, სადაც იტალიის სუპერთასის შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას. როგორც იცით, იტალიის ჩემპიონი „ინტერი" და თასის მფლობელი „ლაციო" სუპერთასს ერთმანეთს ჩინეთის დედაქალაქში შეეცილებიან. პეკინში არ გაემგზავრება რასმუს ბენგტონასი, მას ჯერ იტალიურ ფეხბურთთან ადაპტაცია სჭირდება და ასე უცებ საპასუხისმგებლო პაექრობაში ვერ დაეყრდნობიან.

სულ ბოლოს, ხულიო კრუსს მოვუსმინოთ, რომელიც მასმედიას საკმაოდ ვრცლად ესაუბრა: „როგორც იქნა, ყველაფერი მოგვარდა და ვიცი, სად გავაგრძელებ კარიერას. ახალი კლუბის ძიება საკმაოდ უსიამოვნო პროცესი იყო, რომელიც უკვე წარსულს ჩაბარდა. „ლაციომ" ყველანაირი პირობა შემიქმნა საიმისოდ, რომ არჩევანი სწორედ ამ კლუბზე შემეჩერებინა. „ბიანკოჩელესტეში" ბევრი მეგობარი მყავს და მიხარია, რომ მათთან ერთად მომიწევს ასპარეზობა. ვფიქრობ, მომავალ სეზონში მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. ჩემი მხრივ, ვეცდები, გუნდისთვის მაქსიმუმი გავიღო".

სამწვრთნელო საკითხი

# საკიმ ლეონარდოს რჩევები მისცა

## მწვრთნელობა მხოლოდ შემადგენლობის შერჩევა არ არის

"მილანის" კრიზისი იტალიურ საფეხბურთო სამყაროში ნომერი პირველი სასაუბრო თემაა. სეზონი ჯერ არ დაწყებულა და თითქოს კრიზისზე ლაპარაკი აბსურდულია, მაგრამ ფაქტია, რომ "როსონერი" ძალიან ცუდ ფორმაშია და თუ პროგრესი არ განიცადა, მომავალ სეზონში კვლავ უტიტულოდ დარჩება. "ბაიერნთან" განადგურების შემდეგ, მილანელები "ბოკა ხუნიორსს" შეხვდნენ და ვერც ამ პაექრობაში იმარჯვეს. მატჩი ფრედ დასრულდა (1:1), თერთმეტმეტრიანების სერიაში კი არგენტინელებმა იძალეს, 4:3. "მილანი" "ბოკასთან" შედარებით უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ პროგრესსა და ალმავლობაზე ლაპარაკი რომ ძალიან ადრეა, ეს ცხადზე ცხადია.

გუშინ MILAN CANNEL-ის სტუდიაში თავის ყოფილ გუნდზე **არიგო საკიმ** საკმაოდ საინტერესო განცხადებები გააკეთა. მოვუსმინოთ სენიორ არიგოს: "დასამალი არაფერია, ასეთი სუსტი "მილანი" პირადად მე არ მახსოვს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გუნდს პოტენციალი არ გააჩნია. მთავარია, ყინული გალღვეს და გუნდი აღმავლობის გზას დაადგეს. კლუბის ხელმძღვანელებმა რამდენიმე ფეხბურთელი უნდა დაიმატონ და რგოლები გააძლიერონ. ჩემი აზრით, თავდასხმა კარგად არის დაკომპლექტებული, დაცვას და ნახევარდაცვას კი გაძლიერება სჭირდება. ძალიან მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ფაქტორი - რატომღაც მეჩვენება, რომ "მილანის" ფეხბურთელები ცხვირჩამოშვებულები არიან და მომავლის არ სჯერათ. ეს ყოვლად დაუშვებელია და ამაზე ლეონარდომ ყურადღება უნდა გაამახვილოს. აქვე, ლეონარდოს მივცემ რამდენიმე რჩევას და იმედია, არ მიწყენს. მან კარგად უნდა გააცნობიეროს, თუ რასთან არის დაკავშირებული სამწვრთნელო საქმიანობა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ზედაპირულად უდგება საქმეს. არადა, მწვრთნელის ფუნქცია მხოლოდ შემადგენლობის და მარტივი სქემის შერჩევა არ არის. მთავარი სტრატეგიაა, თამაშის ხედვა. გუნდი ერთი ორგანიზმი უნდა იყოს, წინაალმდეგ შემთხვევაში, შედეგი ყოველთვის უარყოფითი იქნება".



ეროვნული ბიბლიოთეკა


საწყლოსნო სახეობები

# დადგა პრობლემათა გადაჭრის დრო


ალექსანდრე ბითაძე

იტალიის დედაქალაქი რამდენიმე დღეა, მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს საწყლოსნო სახეობებში. რომშივე ამ შეჯიბრების ორგანიზატორი ორგანიზაციის - ფინას გენერალური კონგრესი გაიმართა, რომელსაც საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, სეოკ-ის გენერალური მდივანი **ალექსანდრე ბითაძეც** ესწრებოდა. აი, რა გვითხრა მან: - რომში ჩვენი საერთაშორისო ფედერაციის ახალი თავკაცი ავირჩიეთ, ურუგვაელი **ჯულიო მალიონე**, რომელიც მანამდე ვიცე-პრეზიდენტი იყო. საინტერესო და საქმიანი შეხვედრები გვქონდა ფინას ხელმძღვანელებთან, რომლებიც ჩვენდამი მეგობრულად არიან განწყობილი და სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაში დახმარება აღგვითქვეს.

რომში წყალბურთელთა და წყალმხტომელთა შეჯიბრებებს დავესწარი. ჩვენგან ჭოლა ჭანტურია და შოთა კორახაშვილი მონაწილეობდნენ როგორც ინდივიდუალურ, ისე სინქრონულ ხტომებში. დებიუტანტებმა საბოლოოდ მე-17 ადგილი დაიკავეს. მეტი საშეჯიბრო გამოცდილება რომ ჰქონოდათ, სინქრონულ ხტომებში შეეძლოთ 12 საუკეთესოს შორის მოხვედრილიყვნენ. პირველი სამი ხტომა სუსტად შეასრულეს, რთული კოეფიციენტის ხტომებში კი შეუდარებლად მაღალი ქულები დაიმსახურეს მას შემდეგ, რაც სასტარტო მღელვარება დაძლიეს. 18-19 წლისანი არიან, 8-12 წლით უფროსებს ეჯიბრებოდნენ, რომლებსაც კოლოსალური გამოცდილება აქვთ. ჩვენს ბიჭებს მეტი პრაქტიკა სჭირდებათ და, დარწმუნებული ვარ, ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიას უპრობლემოდ მოიპოვებენ.

გაცილებით რთულად გვაქვს საქმე ცურვაში. ირაკლი რევიშვილისა და გიორგი მთვრალაშვილის შედეგები გვიჩვენებს, რომ ევროპას საგრძნობლად ჩამოვრჩებით. აუცილებელია სწორი სელექცია და, რაც მთავარია, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება. სასურველი იქნებოდა, რამდენიმე მწვრთნელის უცხოეთში სტაჟირებაზე გაგზავნა, მაგრამ ეს დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, რისი შესაძლებლობაც ჩვენს ფედერაციას ჯერჯერობით არ გააჩნია, ამიტომ უფრო უპრიანია, ევროპიდან ჩამოვიყვანოთ წამყვანი სპეციალისტი და მწვრთნელებს ადგილზე ჩავუტაროთ სემინარები. წვრთნის სისტემაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

ერთხელ მოცურავეებმა მისაყვედურეს, ყურადღებას არ გვაქცევო, რასაც ვერ დავეთანხმები. ბიუჯეტის შესაბამისად, უარს არაფერზე ვეუბნები, წინა წლებთან შედარებით, სავარჯიშო პირობებიც გაუმჯობესდა. მართალია, აუზების უმეტესობა კერძოა და ჭირს მოცურავეებისთვის ხელშეწყობა, თუმცა ჯერჯერობით რა მდგომარეობაც გვაქვს, ის უნდა გამოვიყენოთ მაქსიმალურად. მომავალი წლიდან ფედერაციას საკუთარი 50-მეტრიანი აუზი ექნება და პირობებიც გაუუმჯობესდებათ როგორც მოცურავეებს, ისე წყალბურთელებს, რომლებმაც მთელი წელიწადი არასტანდარტულ 25-მეტრიან აუზში ივარჯიშეს, სადაც ერთ მხარეს წყალი ისე პატარაა, რომ მეკარე ფეხზე იდგა(!). ორი თვეა, რაც საქართველოს ნაკრებმა „ლაგუნა ვერეს" აუზში გადაინაცვლა და მონდომებით ემზადება ევროპის B ჩემპიონატისთვის, რომელსაც 5 სექტემბრიდან შვეიცარიული ლუგანო უმასპინძლებს. ჩვენს ჯგუფში იასპარეზებენ პოლონელები, ბრიტანელები, მალტელები, ჰოლანდიელები და მასპინძლები. მათგან სამი ნაკრების თამაში მინახავს და ვიცი, რის შემძლენი არიან. ძლიერი გუნდი ჰყავთ ჰოლანდიელებს, რომლებიც უწინ ევროპის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში გამოდიოდნენ. სელექციის პრობლემაც არ აწუხებთ, რადგან ეროვნულ ჩემპიონატში 4 ლიგის პირველობას ატარებენ. ბრიტანელები მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძლები არიან და ბოლო ორი წელიწადია, ძლიერი ნაკრების ჩამოსაყალიბებლად არაფერს იშურებენ. ყოველი მეორე თვე საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობენ. ძალიან მიქეს პოლონეთის ნაკრებიც. შვეიცარიასთან და მალტასთან გამკლავება შეიძლება.

მეორე ჯგუფში საფრანგეთი, სლოვენია, თურქეთი, ბელარუსი, უკრაინა და დანია ითამაშებენ. პირველ ადგილებზე გასული გუნდები ნახევარფინალში გადის, მეორე-მესამეადგილოსნები კი კიდევ ორი ნახევარფინალისტის გამოსავლენად იბრძოლებენ. ქვეჯგუფის პირველ სამეულში მოხვედრა საშუალებას მოგვცემს, გაისად ევროპის A ჩემპიონატის გადასასვლელი მატჩები ვითამაშოთ. ამ დროისთვის, შესაძლოა, ნატურალიზებული წყალბურთელებიც დაგვემატონ და მაშინ მართლაც კონკურენტუნარიანი გუნდი გვეყოლება.

როგორც გითხარით, ამჟამად ჩვენი ნაკრები „ლაგუნა-ვერეზე" ვარჯიშობს, 22 აგვისტოს მარსელში გაემგზავრება და საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან ერთობლივ საწვრთნელ შეკრებას გაივლის. სამფეროვნებს ელიტაში მოხვედრის პრეტენზია აქვთ და მათთან ვარჯიში ჩვენს ბიჭებს ოსტატობის ამაღლებაში დაეხმარება. 2 სექტემბერს მარსელიდან ლუგანოში ჩავალთ, 5 სექტემბრიდან კი ევროპის ჩემპიონატში ჩავებმებით.

**- ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ თქვით, რომ თურქეთის ან სლოვენიის ტურნირშიც ითამაშებდით...**

- დიახ, მაგრამ ჯერ კიდევ მალტის საკვალიფიკაციო შეჯიბრებამდე ორივე ქვეყანამ უარი გვითხრა. ახლა რომში მათი ფედერაციების პრეზიდენტებს რომ შევხვდი, მომიბოდიშეს - ვერ წარმოვიდგენდით, საკვალიფიკაციო ეტაპს თუ დაძლევდით, ამიტომ უპერსპექტივო გუნდის მიწვევა არ გვინდოდაო.

ახლა ერთი სული მაქვს ქვეჯგუფში პირველ სამეულში მოვხვდეთ და თურქეთს ან სლოვენიას დავუპირისპირდეთ, რომ ვაჩვენოთ, ვინ ვინ არის. ჩვენს ბიჭებს არ აკლიათ აზარტი, მონდომებმა და ფიზიკური მომზადება. სწორედ ამ კომპონენტებით უნდა გადალახონ სათამაშო პრაქტიკის უქონლობით გამოწვეული ხარვეზები. ლუგანოში სწორედ ეს გვეიმედება.

**- ალბათ, ნაკრების ღირსეული ცვლის მომზადებაზეც იზრუნებთ...**

- რა თქმა უნდა. ამ მიზნით წლეულს დიდი ხნის იძულებითი შესვენების შემდეგ სამ ასაკობრივ ჯგუფში საქართველოს პირველობა ჩავატარეთ. არიან პერსპექტიული ბიჭები 1991-1994 წლებში დაბადებულთა შორის. განსაკუთრებით კი 13-14-წლიანები მომეწონა. დაძაბული ფინალური ორთაბრძოლა ჰქონდათ „ივერიას" (მწვრთნელები -ბორის მეგედი, კობა კინწურაშვილი და ზურაბ ქოიავა) და „ლიგამუსს" (მწვრთნელი ნოდარ ჩხარტიშვილი). ორივე გუნდში ისეთი ბიჭები თამაშობდნენ, რომ გადავწყვიტეთ, ამ ასაკში საქართველოს ნაკრები ჩამოვაყალიბოთ და, არ არის გამორიცხული, მწვრთნელად უცხოელი სპეციალისტი დავუნიშნოთ. წვრთნის სათანადო პირობების შექმნითა და თანამედროვე მეთოდებით ვარჯიშით ამ მოზარდებისგან უმაღლესი დონის მოთამაშეების გაზრდა შეიძლება.

უნდა ვაღიაროთ, რომ მოწინავე ქვეყნებს საგრძნობლად ჩამოვრჩებით, რაშიც რომის მსოფლიოს ჩემპიონატმაც დაგვარწმუნა. ფედერაციის გადაწყვეტილებით, შემოდგომაზე თბილისში წყალბურთის მწვრთნელთა სემინარებს გავმართავთ - ცნობილ იტალიელ სპეციალისტს - მარკო პირის მოვიწვევთ. იგი ლეწის წყალბურთის მენეჯერია, რომელიც 2010 წლიდან ევროპაში მწვრთნელთა სტაჟირებისა და სერთიფიცირების პროგრამას იწყებს. იმედია, იტალიელის გამოცდილება საქართველოში წყალბურთის უწინდელი ტრადიციების აღორძინებაში დაგვეხმარება.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ზარი ჩემპიონთან

ქეთევან ლოსაბერიძე



*როგორც დაგპირდით, „ლელოს" ახალი რუბრიკით დღეს ოლიმპიურ ჩემპიონს მშვილდოსნობაში ქეთევან ლოსაბერიძეს შეგახვედრებთ. ქალბატონი ქეთევანი 1980 წელს დაეუფლა უმაღლეს ოლიმპიურ ჯილდოს და მეორე ოლიმპიური ჩემპიონი ქალი გახდა საქართველოდან მზია ჯუღელის შემდეგ. მაშ ასე, სატელეფონო ხაზზეა ქეთევან ლოსაბერიძე. მოკლე საუბარი გუშინ საღამოს შედგა.*

**- გამარჯობათ, ქალბატონო ქეთევან, 1 აგვისტოს თქვენი დაბადების დღეა, თანაც საიუბილეო თარიღია, გილოცავთ.**

- დიდი მადლობა.

**- უკვე იღებთ მოლოცვებს?**

- ჯერ, ერთი დღით ადრე, თქვენ გარდა არავინ შემხმიანებია. დაბადების დღე დაბადების დღეა, დილიდან ველოდები მოლოცვებს.

**- ყველაზე ადრე ვინ გილოცავთ ხოლმე...**

- მზია ჯუღელს ვერავინ დაასწრებს. ორივე დაბადებულები ვართ 1 აგვისტოს. რამდენჯერ მოვინდომე, ჯერ მე მიმელოცა, ყოველთვის დამასწრო, ვიცი, ერთ-ერთი პირველი დარეკავს რაფაელ ჩიმიშკიანი.

**- როგორ აღნიშნავთ საიუბილეო თარიღს?**

- მხოლოდ შინაურულ წრეში, პატარა რესტორანში.

**- თქვენ იყავით მშვილდოსანობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, ახლა თუ გაქვთ ურთიერთობა?**

- როგორ არა, საპატიო პრეზიდენტი ვარ.

**- რისი გაკეთება ვერ შეძელით თქვენი პრეზიდენტობის დროს?**

- ძალიან მინდოდა, ოლიმპიადისთვის ქალთა გუნდი მოგვემზადებინა, მაგრამ ვერ შევძელით. გუნდურ შეჯიბრებაში პირველობას არა, მაგრამ, ვფიქრობ, საპრიზო ადგილს დავიკავებდით.

**- თქვენი ყოფილი სტუდენტი ლალი ლარიბაშვილი გეკითხებათ: ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისევ კითხულობთ თუ არა ლექციებს?**

- არა.

**- უყურადღებობას ხომ არ გრძნობთ სპორტული სამყაროდან?**

- ნამდვილად არა. ვახსოვართ ვეტერანები, გვიწვევენ შეხვედრებზე, სოლიდურ სტიპენდიას ვიღებთ.

**- თქვენი გაჩემპიონების შემდეგ ბევრმა ქართველმა ქალიშვილმა აიღო ხელში მშვილ-ისარი, მაგრამ მაღალ ოლიმპიურ ჯილდოს ვერავინ შეწვდა, როგორ ფიქრობთ, კიდევ დიდხანს მოგვიწევს ლოდინი?**

- ძნელია პროგნოზირება, ურთულესია გზის გაკვლევა ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ.

**- როგორია საიუბილეო წელიწადი თქვენთვის?**

- ბედნიერების მომტანი. ქალიშვილი გათხოვდა.

**- მოგვილოცავს.**

- დიდი მადლობა.

**- მადლობა მიიღეთ ჩვენგანაც, რომ დრო დაგვითმეთ...**

- რაც თავი მახსოვს, „ლელო" ჩემი უსაყვარლესი გაზეთია. ახალ წარმატებებს გისურვებთ...

ესაუბრა

**თენგიზ თომაშვილი**

*P.S. მკითხველებს შესაძლებლობა ეძლევათ დაუსვან ჩემპიონებს შეკითხვები, რასაც აუცილებლად გავაცნობთ რესპონდენტს, როცა ის ჩვენი რუბრიკის სტუმარი იქნება.*

*დაგვიკავშირდით „ლელოს" მეორე გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული საკონტაქტო საშუალებებით. შემდეგ შეხვედრას ნინო სალუქვაძესთან ვგეგმავთ.*

# მილოცვა

## ოლიმპიურ ჩემპიონებს, ქალბატონებს მზია ჯუღელს, ქეთევან ლოსაბერიძეს!

დღეს, პირველ აგვისტოს თქვენი დაბადების დღეა. ქართული სპორტის ისტორიაში ქალბატონო მზია თქვენ ბრძანდებით პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალთა შორის. 28 წლის შემდეგ კი 1980 წელს ეს წარმატება, ქალბატონო ქეთევან, თქვენ გაიმეორეთ. ორივე თქვენგანის მიღწევამ სტიმული მისცა და თავ-თავის დროზე ახალ სიმაღლეზე აიყვანა ოლიმპიური მოძრაობა საქართველოში. დღეს თუ ჩვენი სამშობლო ოლიმპიური ჩემპიონებით და პრიზიორებით თავს იწონებს მსოფლიოს ყველაზე სპორტული ქვეყნების თანავარსკვლავედში, ამაში უდავოდ დიდია თქვენი ღვაწლი. საქართველო ამაყობს და მუდამ იამაყებს თქვენით. თქვენი დამსახურება სამშობლოს წინაშე მარადიულია, რადგან თვით ოლიმპიური ჩემპიონობაა მარადიული. თქვენ ბრძანდებით მისაბაძი თაობებისთვის, როგორც სპორტული, ისე საზოგადოებრივი საქმიანობით.

ჩემი და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სახელით, გულითადად გილოცავთ დღევანდელ დღეს. მხნეობა, კეთილდღეობა და კვლავაც ხალხის უშრეტი სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამდევი.

ღრმა პატივისცემით **გიორგი ნაცვლიშვილი.**

*საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი*

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს პირველ ოლიმპიურ ჩემპიონ ქალს საქართველოდან, სპორტულ ტანვარჯიშში 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადის ოქროს და ვერცხლის მფლობელს, მსოფლიო სტუდენტური თამაშების ოთხგზის ჩემპიონს, სსრ კავშირის რვაგზის ჩემპიონს, საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენების კავალერს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს მედეა (მზია) ჯუღელს.**

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავს მშვილდოსნობაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ევროპის აბსოლუტურ და ორგზის ჩემპიონს, სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონს და თასის მფლობელს, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულს, საქართველოს 1980 წლის საუკეთესო სპორტსმენს, მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერს ქეთევან ლოსაბერიძეს.**

ოლიმპიზმი

საქართველო

GEORGIA

# კონკურსმა მთელი საქართველო მოიცვა

ოლიმპიურ თემატიკაზე 12 და 18 წლამდელ მოზარდთა შორის, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ტრადიციულად ტარდება ლიტერატურული კონკურსი, რომელშიაც საქართველო ასევე ტრადიციულად მონაწილეობს. ერთხელ, 2001 წელს მსოფლიო კონკურსში ორივე ასაკში გამარჯვებული ქართველი ბავშვები იყვნენ — ძმები **თორნიკე** (14 წლის) და **ცოტნე** (12 წლის) **გაჩეჩილაძეები**. მხოლოდ თავის ქვეყანაში გამარჯვებულს წარადგენს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მსოფლიოს კონკურსზე. ასეთია მოთხოვნა.

სეოკ-ის ახალი ხელმძღვანელობა წლეულს შემოქმედებითად მიუდგა ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას. სეოკ-ის პრეზიდენტის **გია ნაცვლიშვილის** და პირველი ვიცე-პრეზიდენტის **რამაზ გოგლიძის** თაოსნობით, მთელს ჩვენს ქვეყანაში კონკურსის მაღალ დონეზე ორგანიზებაში ჩაერთო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ამასთან, საქართველოში კონკურსის პროგრამას დაემატა ნამუშევრები პოეზიასა და მხატვრობაში ოლიმპიურ თემაზე.

კონკურსის გამოცხადებისთანავე ერთობლივი პრესკონფერენცია ჩაატარა გია ნაცვლიშვილმა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **ნიკა გვარამიამ,** რამაც დიდი სტიმული მისცა კონკურსის მასშტაბურობას. კონკურსმა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა სკოლა მოიცვა. წარმდგენელი ათასობით ნამუშევრიდან შეირჩა ათეულობით საუკეთესო. ჟიურიმ კი საბოლოოდ 18-წლამდელთა შორის გამარჯვებულად სცნო ორი მონაწილე — თბილისის 51-ე საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე **ანანო გაბელაია** („ფიდიპიდეს გმირობა") და თბილისის 106-ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე **ნიკო სარალიძე** („საქართველოს სპორტსმენები პეკინის ოლიმპიადაზე"). მეორე ადგილზე გავიდა ნიკო სარალიძის თანაკლასელი **მარიამ კახიძე** („მოუხმე შვილებს, ჩემო ქვეყანავ"), მესამე ადგილიც ორ კონკურსანტს მიენიჭა: **მელდა შონიას** — ზემო ქვალონის საბაზო სკოლის VIII კლასის მოსწავლეს და **ევა ბოლქვაძეს** — თბილისის 51-ე საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეს (ორივეს — ნაშრომში საკუთარის მეს საუკეთესოდ წარმოჩენისათვის).

12-წლამდელთა შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. **ნიკა ტატალაშვილი** — ადიგენის რაიონის სოფ. არალის სკოლის II კლასის მოსწავლე („მე მიყვარს სპორტი"), 2. **ლუკა ხაფავა** — ზუგდიდის რაიონის რუხის საჯარო სკოლის II კლასის მოსწავლე („მეგობარი"), 3. **გიორგი ცუხიშვილი** — საჩხერის რაიონის სოფ. ჩიხის VI კლასის მოსწავლე („მეგობრობა").

*„გაოცებული დავრჩით ნომინაციებში ნაშრომების სიმრავლით და, საერთოდ, გამოძახილით, რაც ამ კონკურსმა გამოიწვია მთელს ჩვენს ქვეყანაში. სკოლები ღირსების საქმედ მიიჩნევდნენ კონკურსში მონაწილეობას და წარმატების მოლოდინს. დიდი მადლობა ბატონ ნიკა გვარამიას, რომ კონკურსისმა ასეთი ფართო მასშტაბი შეიძინა",* — გვითხრა რამაზ გოგლიძემ.

საუკეთესო ნაშრომები უკვე გადაიგზავნა ლოზანაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბბინაში.

**თენგიზ თომაშვილი**

კალათბურთი

საქართველოს ნაკრები. საკონტროლო მატჩი



# ორით მეტნი იყვნენ და მოგვიგეს...

საქართველოს ეროვნული გუნდი საერთაშორისო სარბიელზე პირველად 1994 წელს გავიდა, მაგრამ 2009 წლის 31 ივლისამდე ჰოლანდიის ნაკრებს არ შეხვედრია.

საქართველო-ჰოლანდიის საკალათბურთო ისტორიას საფუძველი გუშინ ჩაეყარა. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ დასაწყისი კარგია – უტრეხტში გამართულ მატჩში 26 ქულის სხვაობით დავმარცხდით - 63:79. ეს გახლდათ ჰოლანდიელთა 299-ე გამარჯვება და თუ დღესაც იმავე შედეგს აჩვენებენ, მოგებათა რაოდენობას დაამრგვალებენ – 300.

საწყის სამ პერიოდში მეტოქემ აშკარად გვაჯობა და გადამწყვეტი მეოთხედის წინ სოლიდური ფორა დაიბევა – 74:48. 26-ქულიანი უპირატესობის მოპოვების შემდეგ მასპინძელთა მწვრთნელმა თავის გამოჩენის საშუალება სათადარიგოებს მისცა, ქართველებმა კი თეთრი პირსახოცი არ ააფრიალეს და მეოთხე რაუნდში ჰოლანდიელებს ოდენ 5 ქულა ჩააგდებინეს, თავად კი 15 ქულა მიითვალეს. თუმცა 15:5 მოგება საბოლოო გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

**ზაზა ფაჩულიას** არყოფნაში მეტოქემ ფარქვეშ გვაჯობა – ჩვენ 28-ჯერ მოვხსენით, მასპინძლებმა – 37-ჯერ. როცა მეფარეებზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ ერთადერთი ნომინალური ცენტრი გვყავდა – **გიორგი შერმადინი**, ხოლო ჰოლანდიის ნაკრებში „მილუოკი ბაქსის" მეფარე **ფრანსისკო ელსონი** (9 ქულა), „ხუვენტუდის" ცენტრი **ჰენკ ნორელი** და „ამსტერდამის" ტანმაღალი ლიდერი **ვან პაასენი** (5 ქულა) ირჯებოდნენ. სხვათა შორის, პაასენი 2007 წელს თბილისში „ამსტერდამს" ჩამოჰყვა და „ენერჯის" წინააღმდეგ დამაჯერებლადაც ითამაშა.

მეტოქეთა ქულები კი ჩამოგინერეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი გუნდის მონაგარი ვერანაირად ვერ შევიტყვეთ...

შეიძლება იკითხოთ, რამ განაპირობა საქართველოს ნაკრების 16-ქულიანი მარცხი? მოგახსენებთ: მაშინ, როცა ჩვენი გუნდი ჯერაც სრულად ვერ შეკრებილა, ჰოლანდიელებმა სამი მატჩის ჩატარება უკვე მოასწრეს. უნგრეთის ტურნირზე ფინეთთან 75:88 წააგეს, ჩვენს მომავალ მეტოქეს, შვედეთს 92:91 მოუგეს, ხოლო უნგრელებთან 72:78 დათმეს.

საქართველოს ნაკრებში სამი ლიდერი ჯერაც არ ჩამოსულა – ზაზა ფაჩულია, **ნიკა ცქიტიშვილი** და **ტაირონ ელისი**. ნარინჯისფრებთან მატჩისას ქართველთა განაცხადში სულაც 10 კალათბურთელი იყო...

ასეთ პირობებში მოგვიწევს ჰოლანდიასთან მეორე მატჩის გამართვა, რომელიც დღეს, თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ინტერვიუ კოტე ტუღუშთან

# 10 ქართველი 12 ჰოლანდიელის წინააღმდეგ

საქართველოს ნაკრების უკანახაზელ კოტე ტუღუშს ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტში შევეხმიანეთ. მან საკუთარ ამბებზეც ისაუბრა და ნაკრების მზადებაზეც. ინტერვიუ ჰოლანდიასთან მატჩამდეა ჩაწერილი...

**- რამდენად მომზადებულები ჩახვედით უტრეხტში?**

- მზადება 20 ივლისს დავიწყეთ და 10 დღეში ოპტიმალურ ფორმაში ვერ ვიქნებით, თუმცა კარგი ვარჯიშები გვაქვს და კონდიციებს ნელ-ნელა ვიუმჯობესებთ. რამდენად მზად ვართ, ამას ჰოლანდიასთან მატჩები გვიჩვენებს.

**- შენ როგორ ფორმაში ხარ?**

- როგორც ყველა, მეც ნელ-ნელა შევდივარ ფორმაში...

**-ჰოლანდიელები როგორ დაგხვდნენ?**

- აქ ყველა პირობა გვაქვს თამაშებისთვის მოსამზადებლად. სასტუმროც შესანიშნავია და დარბაზიც.

- თუ ჰოლანდიელებთან ორივე მატჩი წააგეთ, ნარინჯისფრებს 300 მოგება დაუგროვდებათ, თუ ორივე მოიგეთ – 400 წაგება...

- მეორე ვარიანტი უფრო მაწყობს, მაგრამ წინასწარ შემიძლია ვთქვა, რომ ორივე მატჩის მოგება გაგვიჭირდება. ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე კალათბურთელი გვაკლია, აქ ათი მოთამაშე ჩამოვედით... თან ახალგაზრდული ნაკრების ორი წევრი ახლახან შემოგვიერთდა. მათ შეთამაშების პრობლემა არ ექნებათ, თუმცა ამისთვის მცირე დროა საჭირო.

**- მინდა, საკლუბო ამბებზე გკითხო...**

- ამ მხრივ ახალი ჯერ არაფერია. ამჟამად უკლუბოდ ვარ. კარიერას სად გავაგრძელებ, ამას მომავალში გავარკვევ. სადღეისოდ მხოლოდ ნაკრებზე ვფიქრობ.



**ვაჟა სიმონიშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# სანიკიძეს იტალიაში სამედიცინო შემოწმებისთვის ელიან



**ვიქტორ სანიკიძე** საქართველოს ნაკრებთან ერთად ჰოლანდიაშია. მისი აგენტი კი სატრანსფერო საკითხებს აგვარებს.

ადრეც ვწერდით, რომ სანიკიძის გადაბირება იტალიურ კლუბებს სურდათ. სხვებზე მეტად „ბიელა" აქტიურობდა. დღევანდელი ინფორმაციით, სანიკიძის გადასვლა ყველაზე რეალური სწორედ ამ იტალიურ გუნდშია. ამას აპენინური პრესაც ადასტურებს. ინტერნეტგამოცემა „ბასკეტნეტში" გამოქვეყნდა ინფორმაცია „ბიელას" სამომავლო გეგმების შესახებ, სადაც ერთი აბზაცი ვიქტორ სანიკიძეს ეთმობა.

ნათქვამია, რომ გუნდის ხელმძღვანელობას ვიქტორის დამატება სურს. მოლაპარაკებები დაწყებულია და მწვრთნელი **ალესანდრო ჯულიანი** ქართველ ფორვარდს ბიელაში ელის:

- სანიკიძის საკითხი მას შემდეგ გაირკვევა, რაც იტალიაში ჩამოვა და სამედიცინო შემოწმებას გაივლის, - აცხადებს მწვრთნელი.

კონკრეტულად როდის გაივლის ვიქტორი შემოწმებას, ამას იტალიელები არ აზუსტებენ. სანიკიძე კი ახლა საქართველოს ნაკრებთან ერთად ჰოლანდიაშია, ერთი საკონტროლო მატჩი გუშინ გამართა, მეორეს დღეს ჩაატარებს.

მომწიფდა თუ არა „ბიელასთან" კონტრაქტი, ამ კითხვით ვიქტორ სანიკიძეს მივმართეთ.

*- მომწიფდა, მაგრამ ხელშეკრულება ჯერ არ გაფორმებულა. მალე ყველაფერს გავარკვევ,* - გვითხრა კალათბურთელმა.

ამასობაში ესტონურმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომლის თანახმად, სანიკიძის გადაბირება იტალიური კლუბების პარალელურად ბერძნებსა და ფრანგებს სურთ. ესტონელების მიერ დასახელებულ ბერძნულ კლუბ აეკ-ზე ვიქტორმა ეს გვითხრა:

*- ამ გუნდიდან წინადადება შარშან მივიღე, წლეულს საუბარი არ ყოფილა. აეკ-ში გადასვლა გამორიცხულია.*

ქართველი ფორვარდით დაინტერესებული ფრანგული კლუბი კი „დიჟონია", რომელშიც სანიკიძე 2004-დან 2006 წლამდე თამაშობდა. თუმცა, როგორც გითხარით, რიგში პირველი „ბიელაა". დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ტრანსფერი

# ბერიშვილი კანარებზე

ახალგაზრდა ქართველი ფორვარდი **მიხეილ ბერიშვილი** ესპანეთში ბრუნდება. გუშინ მისმა აგენტმა **ხუან კარლოს სებრიანმა** გვითხრა - მიშა მომავალ სეზონს „არიდანეში" დაიწყებსო.

*- ახალ სეზონს ესპანურ „არიდანეში" ჩავატარებ. ება-ს ლიგის გუნდია და ვიმედოვნებ, რომ იქ თამაში ჩემს კარიერას წაადგება. ოღონდ, ესპანეთში როდის გავემგზავრები, ჯერ არ ვიცი,* - გვითხრა მიხეილ ბერიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ იგი გასულ სეზონში ჯერ „სასოფლოში" თამაშობდა, შემდეგ NBA-ს განვითარების ლიგის „ოკლაჰომაში" წავიდა, საიდანაც ისევ საქართველოში დაბრუნდა. თუმცა სუპერლიგაში დიდი ხნით მაინც არ დარჩენილა – თებერვალში ესპანეთს მიაშურა, სადაც „ხუვენტუდის" დუბლშემადგენლობაში თამაშობდა. გაზაფხულზე მიშამ დროებით „ვალიადოლიდის" მაისურა მოირგო და გუნდს ერთკვირიან ტურნირზე დაეხმარა. სამშობლოში დაბრუნებულმა ბერიშვილმა „სასოფლოსთან" ერთად სუპერლიგის ფინალური სერია ითამაშა და ვერცხლის მედალი მიიღო.

20 ივლისს იგი ეროვნულ ნაკრებს უნდა შეერთებოდა, მაგრამ ფედერაციის მიერ გაკეთებული ვიზა ამოწურული ჰქონდა და გუნდს ავსტრიაში ვერ გაჰყვა.

ახლა მიშას ახალ კლუბზე ვთქვათ. „არიდანე" კანარის კუნძულებზე მდებარე ამავე სახელწოდების ქალაქის გუნდია. შარშან აქ ქართველი **გრიგოლ შვანგირაძე** ირიცხებოდა. „არიდანე" ება-ს ლიგაში თამაშობს, რომელიც ერთგვარი დუბლების ჩემპიონატია - მონაწილეთა ასაკი შეუზღუდავია.

**ვაჟა სიმონიშვილი**

პლაჟბურთი

მსოფლიო ტური

# საქა-რთველო კლაგენფურტს გამოეთხოვა



ავსტრიის ქალაქ კლაგენფურტში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე, პლეი ოფის პირველივე რაუნდში დაასრულა ასპარეზობა პლაჟბურთის ქართულმა ქალთა წყვილმა **საქა-რთველომ.**

ჩვენი ფრენბურთელების მეტოქე ტურნირის ფავორიტი, მეორე ნომრად განთესილი ამერიკული დუეტი **კესი-როსი** იყო. წინააღმდეგობა საქა-რთველომ მეტოქეს მხოლოდ პირველ სეტში გაუწია, რომელიც ორი ქულით წააგო - 19:21. მერე კი ამერიკელთა უპირატესობა თვალსაჩინო გახდა. მეორე სეტი მათ 21:14 მოიგეს.

ამრიგად, საქა-რთველომ ტურნირზე მე-12 ადგილი დაიკავა და 320 სარეიტინგო ქულა ირგუნა.

ვაჟთა შორის ქართულმა დუეტმა **გეორ-გიამ** ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრა 32-ე ნომრად განთესილ შვეიცარიულ დუეტ **გაბატჰულერ-შნიდერთან** სამ სეტში წააგო - 18:21, 21:19, 12:15. მიუხედავად ამისა, ჩვენმა ფრენბურთელებმა ჯგუფში მაინც მეორე ადგილი დაიკავეს და პლეი ოფში გააღწიეს.

აქ კი პირველ რაუნდში გეორ-გიას მეტოქე 27-ე ნომრად განთესილი პოლონური წყვილი **ფიჟალეკი-პრუდელი** იყო. პირველი სეტი ჩვენმა ფრენბურთელებმა გაჭირვებით მოიგეს - 24:22. მეორე სეტი კი მთლიანად პოლონელი ფრენბურთელების უპირატესობით წარიმართა და მათ სეტებში ანგარიშის გათანაბრება შეძლეს - 21:16.

ტაიბრეიკში გეორ-გია უკეთ გაისარჯა, მეტოქეს ორი ქულით მეტი აართვა - 15:13 და პლეი ოფის მეორე რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა. აქ ჩვენი ფრენბურთელების მორიგი მეტოქე შეჯიბრებაში მე-12 ნომრად განთესილი ბრაზილიური დუეტი **მარსიო-მაგალიაეში** იქნება, რომელთანაც აქამდე მხოლოდ ერთხელ, სამი წლის წინ უთამაშიათ. მაშინ ჩინეთში გამარჯვება სამ სეტში ბრაზილიელებს დარჩათ.

მეორე რაუნდის შეხვედრები დღეს გაიმართება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



## ოქსანა კალაშნიკოვა: ტიტული გუშინ, ტიტული დღეს?

18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** (228) აღარ ხუმრობს - მას ძალზე წარმატებული სეზონი აქვს. გუშინ კალაშნიკოვამ მე-12 ტიტული მოიპოვა კარიერაში, დღეს კი მე-13-ისთვის იბრძოლებს. ჩვენებური ყაზახეთშია, სადაც ალმათის საერთაშორისო ტურნირში ყოჩაღობს, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. ოქსანა ერთეულთა თანრიგში ტურნირის მესამე ჩოგანია, წყვილებში კი რუს **ელენა ჩალოვასთან** (223) ერთად ტურნირის ორგანიზატორებმა პირველ ნომრად განთესეს. კალაშნიკოვამ ფავორიტობა „გორკის პარკის" კორტებზე კარგი თამაშით დაამტკიცა. წყვილების ფინალში ოქსანა და ელენა მე-2 ნომრად განთესილ დუეტს (**ნინა ბრატჩიკოვა** (რუსეთი, 250) და **აგნეშ სატმარი** (რუმინეთი, 275) დაუპირისპირდნენ. კალაშნიკოვამ და მისმა მეწყვილემ ისე აჯობეს მეტოქეებს, თითქოს გამოუცდელ ბავშვებს ეთამაშებოდნენ - 6:1, 6:0. ოქსანამ წლეულს მე-5 ტიტული მოიპოვა, წყვილთა თანრიგში ეს მისი მესამე ზეობაა სეზონში. საერთოდ კი, 12 ტიტულიდან 9 ოქსანამ წყვილთა თანრიგში ასპარეზობით მოიგო.

დღეს მას შეუძლია კიდევ უფრო გაიმდიდროს პრიზების კოლექცია, ამისთვის კი ალმათიში ერთეულთა თანრიგის ფინალში თავისივე მეწყვილე, ლენა ჩალოვა უნდა დაამარცხოს. რუსი ჩოგბურთელი მე-4 ნომრად არის განთესილი. ნახევარფინალში ჩალოვამ თანამემამულე ნინა ბრატჩიკოვას მოუგო - 6:4, 3:6, 6:1. სხვათა შორის, ოქსანა შარშან ეგვიპტეში შეხვდა რუს ჩოგბურთელს, რომელმაც პირველ სეტში, 2:5-ზე შეწყვიტა წინააღმდეგობის გაწევა. ჩალოვა 21 წლისაა, ის სულ 5 საფეხურით უსწრებს ოქსანას მსოფლიო კლასიფიკაციაში. არ გვითქვამს, როგორ გაალწია ფინალში თავად ოქსანა კალაშნიკოვამ, რომელსაც მე-2 ნომრად განთესილი ავსტრიელი **ნიკოლა ჰოფმანოვა** (215) შეხვდა. ქართველმა 7:5, 6:4 მოიგო, ანუ ფინალამდე ისე გაალწია, სეტი არ დაუთმია.

წყვილთა მსოფლიო კლასიფიკაციაში ოქსანა 206-ე ჩოგანია, ამ ტიტულით კი იგი მეორე ასეულის შუისკენ დამკვიდრდება. თუმცა მთავარი მაინც ერთეულთა თანრიგია და იქ მიღწეული წარმატებები. ერთეულებში კალაშნიკოვა მსოფლიოს 228-ე ჩოგანია 235 სარეიტინგო ქულით: ოქსანას ჯერ ხარკოვის ტურნირის მეოთხედფინალში გასვლისთვის კუთვნილი 14 ქულა არ დარიცხვია (ეს ორშაბათს მოხდება), ალმათიში თამაშისთვის კი ის 50 ან 34 ქულას მიიღებს, გააჩნია, როგორ ითამაშებს ფინალში. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს საკმარისი იქნება, ერთი კვირის შემდეგ ოქსანა კალაშნიკოვა მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა მეორე ასეულში რომ შევიდეს.

ალმათის ტურნირში მონაწილე ჩოგბურთელებმა ყაზახეთის ახალ დედაქალაქში გადაინაცვლეს, ასტანა 50-ათასიან ტურნირს მასპინძლობს. შეჯიბრების ძირითად ბადეში ოქსანა კალაშნიკოვა და **სოფიო შაფათავა** (285) ითამაშებენ, ხოლო საკვალიფიკაციოში ძალებს **ეკა გორგოძე** (510), **სოფიო ქვაცაბაია** (523), **თათია მიქაძე** და **სოფიკო შარანგია** მოსინჯავენ. გორგოძე მე-2 ნომრად არის განთესილი, ქვაცაბაია - მესამედ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მშვილდოსნობა

## მთავარია, ფული არის

მშვილდოსან ქალთა ნაკრები აგრძელებს მზადებას მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, თუმცა დასკვნითი შეკრების ადგილი ჯერ არაა გარკვეული. ყველაზე რეალურ ვარიანტად ბათუმია მიჩნეული, თუმცა ნაკრების თავკაც **თამაზ ფუტკარაძეს** თბილისში გამართვა სურს. ბოლო ოცწლეულში ბათუმი ქართული მშვილდოსნობის ლამის ერთადერთ კერად იქცა და დიდი ტურნირებისთვის იქ მომზადება თუ შეკრების გავლა ნაკრებისთვის უცხო ნამდვილად არაა, მაგრამ ახლა ფუტკარაძეს ურჩევნია, შეგირდები სახლს გაარიდოს. მსოფლიოსთვის ოთხი მსროლელი ემზადება - **ხათუნა ნარიმანიძე**, მისივე აღზრდილი **ნათია ცინცაძე, ქრისტინე ესებუა, ასმათ დიასამიძე**. ესებუას გარდა, ყველა იქაურია. ამიტომ ურჩევნია, სხვაგან გაიაროს შეკრება. ეს საკითხი კვირის დასაწყისში ფუტკარაძის თბილისში ჩამოსვლისას გადაწყდება. მთავარია, საჭირო თანხა ოლიმპიურმა კომიტეტმა უკვე გამოყო და ადგილის შერჩევა ნამდვილად არ იქნება გადაუჭრელი პრობლემა.

მსოფლიოს ჩემპიონატი 1-9 სექტემბერს კორეულ ულსანში ტარდება, დასახელებული კვარტეტიდან კი იქ სამი სპორტსმენი იასპარეზებს. მათი ვინაობა სწორედ ამ შეკრებაზე გაირკვევა. ბათუმელი მსროლელები სეზონისთვის აქამდეც მშობლიურ ქალაქში ემზადებოდნენ, აი, ესებუას მდგომარეობა კი ცოტა რთულადაა. ბოლო თვეები მან უკრაინაში გატარა, თუმცა ოჯახური პრობლემების გამო - უვარჯიშებლად. მას დედა იმდენად მძიმედ დაუშავდა, საწოლს მიეჯაჭვა და ქრისტინე უვლიდა, ამ პირობებში კი ვარჯიში გამორიცხული იყო. ფუტკარაძის თქმით, უვარჯიშებლობა აშკარად ეტყობა, მაგრამ მწვრთნელი იმედოვნებს, რომ ძველი კონდიციების აღდგენას და საკუთარი შედეგების ჩვენებას შეძლებს, რაც ნაკრებს დიდად წაადგება.

მსოფლიოს ჩემპიონატამდე ჩვენები შეჯიბრებაში არ გამოვლენ, 1-5 ოქტომბერს კი ბათუმშივე, ანგისას სასროლეთზე საერთაშორისო ტურნირი გაიმართება. წინასწარი ინფორმაციით, მასში იტალიის, თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და კიდევ რამდენიმე ქვეყნის ნაკრებები გამოვლენ. ამათგან ყველაზე მეტად იტალიელთა ჩამოსვლა გვესიამოვნა, როგორც ძლიერი გუნდისა. თურმე ჩვენებისთვის ამის პირობა მშვილდოსნობის ევროპული ფედერაციის პრეზიდენტს, იტალიელ **მარიო სკარბილას** მიუცია, იქნებ, მთლად უძლიერესი ნაკრები ვერ გამოვაგზავნოთ, მაგრამ აუცილებლად გესტუმრებითო. ცხადია, დავინტერესდით, მოლდოვიდან იტალიაში გათხოვილი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **ნატალია ვალეევა** თუ გვეწვეოდა, მაგრამ ჯერ კონკრეტულად ვერაფერი გვითხრეს.

**ირაკლი თავაძე**

თავისუფალი ჭიდაობა

## მეტოქეს თავი შეუცვალეს

**სპორტის ნებისმიერ სახეობას მსოფლიოში ჰყავს ფავორიტი ქვეყნები და სპორტსმენები. ასეა ჭიდაობაშიც, სადაც საქართველო და ჩვენი ფალავნები ლიდერთა კოჰორტაში არიან. მიგვაჩნია, რომ ძალზე მნიშვნელოვანია, თუ რა ხდება მეტოქეთა ბანაკში. თუკი რაიმე ინფორმაციაზე ხელი მიგვიწვდება, მზად ვართ, საჯაროდ გამოვიტანოთ, რაც გარკვეულწილად, ვფიქრობთ, ჩვენს მწვრთნელებსა და სპორტსმენებსაც გამოადგებათ გასათვალისწინებლად.**

მოსახლეენი მოხდა - აზერბაიჯანის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს მწვრთნელი შეეცვალა. 21-27 სექტემბერს დანიურ ჰერნინგში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენს ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტებს მოსკოვის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონისა და მსოფლიოს ჩემპიონის, დაღესტნელი **მაგომედხან არაცილოვის** ნაცვლად მისივე თანამემამულე, მოსკოვისავე ოლიმპიადის გამარჯვებული, მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონი **საიპულა აბსაიდოვი** ჩაიყვანს.

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ არაცილოვი აზერბაიჯანიდან გაიქცა. იგი ქვეყნიდან „ოქროს დიდი პრიზის" ფინალური ტურნირის დამთავრებისთანავე წავიდა, რაზეც ინფორმაცია ინტერნეტში მყისვე გაჩნდა, მაგრამ მეტისმეტად ორაზროვანი. იქაური პრესა პირდაპირ წერდა, რომ არაცილოვმა ქვეყანა დატოვა, თუმცა არ აკონკრეტებდნენ, დატოვებაში გაქცევა იგულისხმებოდა თუ უბრალოდ, წასვლა. ძალზე ბუნდოვანი განმარტება გააკეთა აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის ინკოგნიტო წარმომადგენელმაც. *„არაცილოვი აგრძელებს მუშაობას მთავარი მწვრთნელის პოსტზე. უბრალოდ, ის შინ წავიდა, სადაც შეუძლია წყნარად დაისვენოს. მის შეცვლაზე არანაირი ლაპარაკი არ ყოფილა"* - განაცხადა მან, თუმცა ისიც დასძინა, რომ არაცილოვს ფედერაციასთან არც ეს დაუგეგმავი შვებულება შეუთანხმებია.

მოკლედ, ქირმა თავი არ დამალა და დღეს უკვე აშკარაა, რომ არაცილოვი გაიქცა აზერბაიჯანიდან. მართალია, ეს ინფორმაცია ოფიციალურად არც ახლა დაუდასტურებია ვინმეს, მაგრამ მისი შემცვლელი დაინიშნა და უკვე არცაა საჭირო.

არაცილოვის მოულოდნელი გაუჩინარება მით უფრო საკვირველი იყო წლევანდელი ჩინებული სტარტის ფონზე - სეზონის დასაწყისში გუნდმა თეირანში მსოფლიო თასი მოიგო, როცა ფინალში მასპინძლები 3:2 დაამარცხა, მერე ტრიუმფით იასპარეზა ლიტვაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე - 4 ოქრო და თითო ვერცხლ-ბრინჯაო მოიპოვა, ზემოაღნიშნულ „ოქროს დიდ პრიზზე" კი 2-2 ოქრო-ვერცხლი და 3 ბრინჯაო მოიპოვა. ისიც სათქმელია, რომ ამ წარმატებებს არაცილოვმა ჩრდილო კავკასიიდან გადაყვანილი ფალავნების ხარჯზე მიაღწია. მაგალითად, ვილნიუსში 6 მედალოსნიდან 5 ნატურალიზებულია. უცხოელთა მასობრივი გადაბირებაც არაცილოვმა დაიწყო, თუმცა რაღა უცხოელთა - ნიჭიერ ფალავანთა მოსაძიებლად შორს არ წასულა და მშობლიური ჩრდილო კავკასიიდან ბაქოში მთელი დესანტი ჩაიყვანა. ამ პროცესის მართებულობაზე იქაურებმა იკამათონ, ფაქტი კი ისაა, რომ ამ გზით მწვრთნელმა ჩინებულ შედეგებს მიაღწია. თუმცა, მას რომ სკამი საკმაოდ მოერყა და ფედერაციასთან ურთიერთობაც დაეძაბა, აქამდეც ვიცოდით. ამის ერთ-ერთ მიზეზად ფინანსური საკითხი დაგვისახელეს. იმავე არაოფიციალური წყაროს ცნობით, მასპინძლები მას თვეში 15 ათას დოლარს უხდიდნენ!!! წესით, წლევანდელი მაჩვენებლების ფონზე არაცილოვთან საპრეტენზიოც რა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ, შესაძლოა, პეკინის ოლიმპიადაზე ჩავარდნა არ აპატიეს - იქ ნაკრებმა მხოლოდ ერთი ბრინჯაო მოიპოვა და ისიც ნატურალიზებულმა ლეკმა **ხეთაგ გასიუმოვმა** (96). არაა გასაკვირი, მართლა ამდენს თუ უხდიდნენ, შედეგიც მეტი მოეთხოვათ. ყოველ შემთხვევაში, აზერბაიჯანელები ფულს ჰაიჰარად რომ არ იძლევიან, ეს ბერძენ-რომაელი მძიმეწონოსნის - **ანტონ ბოტევის** მაგალითმაც დაადასტურა. ის რუსეთიდან გადავიდა აზერბაიჯანში და პეკინში მათი სახელითაც იჭიდავა, თუმცა უშედეგოდ და იქაურებმაც მას შემდეგ აითვალწუნეს. შედეგად, ბოლომდე არც კუთვნილი ხელფასი მისცეს და არც სამშობლოში თვითმფრინავით მგზავრობის თანხა აუნაზღაურეს, რასაც კონტრაქტი წელიწადში ორჯერ ითვალისწინებდა. სეზონის დასაწყისში ბოტევი თვითნებურად დაბრუნდა რუსეთში და ქვეყნის ჩემპიონიც გახდა, აზერბაიჯანელებს კი ამაზე ხმაც არ ამოუღიათ.

აბსაიდოვი ნაკრებს წლის ბოლომდე გაწვრთნის, მერე კი იქაური ფედერაცია არც რუსი სპეციალისტის მიწვევას გამორიცხავს, ოღონდ კანდიდატთა გვარებს არ ასახელებს. მოკლედ, ფორსმაჟორულ ვითარებაში ჩავარდნილმა იქაურმა ფედერაციამ აბსაიდოვი ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად მიიწვია, ხანგრძლივი თანამშრომლობის პერსპექტივას კი ჯერ არ განიხილავს. ვიმედოვნებთ, ასეთი ვითარება ნაკრებსაც დაეტყობა და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სრულყოფილად ვერ მოემზადებიან, თორემ რამდენიმე წონაში ჩვენთვის ძალზე უხერხული ფალავნები ჰყავთ.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანის ბერძენ-რომაელთა ნაკრების თავკაცად რამდენიმე თვის წინათ ჩვენი სახელოვანი მწვრთნელი **ოთარ ტატიშვილი** დაინიშნა. საგულისხმოა, რომ მისი კონტრაქტიც სეზონის ბოლომდეა, ოღონდ ეს ტატიშვილის ინიციატივით მოხდა - წინდახედულმა მწვრთნელმა 4-წლიან ხელშეკრულებას დაცდა და დაკვირვება არჩია, რა იცი, რა ხდებაო. თუ იქაურები ყველა დაპირებას შეასრულებენ, მაშინ კონტრაქტის გაგრძელებას წინ არაფერი დაუდგება.

**ირაკლი თავაძე**

თვის მონაგარი

ივლისი

**2. ფეხბურთი:** ევროპის ლიგის თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე იმარჯვეს რუსთავის „ოლიმპმა" და „ზესტაფონმა".

**2-3. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:** თბილისის სპორტის სასახლეში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ოქროს მედლები მოიპოვეს **მინდია წულუკიძემ** და **ვლადიმერ ქარჩავამ**, ვერცხლი - **არჩილ თურმანიძემ**, ბრინჯაო - **ქემალ ხარაბაძემ**.

**3. პლაჟბურთი:** მსოფლიოს ჩემპიონატზე სტავანგერში **საქართველომ** მე-9 ადგილი დაიკავა.

**4-5. თავისუფალი ჭიდაობა:** თბილისის სპორტის სასახლეში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ოქროს მედლები მოიპოვეს **გიორგი მაყიშვილმა** და **გიორგი ხუჭუამ**, ვერცხლის მედლები - **დავით მარსაგიშვილმა** და **გიორგი საკანდელიძემ**, ბრინჯაოსი - **ლაშა ლომთაძემ** და **დავით ხუციშვილმა**.

**11-12. შვიდკაცა:** საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე ჰანოვერში მე-5 ადგილი დაიკავა.

**13. ჩოგბურთი:** თბილისში დაიწყო ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი 15-ათასიანი საპრიზო ფონდით.

**13. ფეხბურთი:** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანმა **გიორგი გაწუგრავამ** მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ფეხბურთს ექვსი თვით ჩამოშორდა.

**14. ფარიკაობა:** ქართველებმა პლოვდივში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზეს.

**15. ფეხბურთი:** ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ტურის პირველ მატჩში „ვიტ ჯორჯია" „მარიბორს" დაუზავდა - 0:0.

**15. ჭიდაობა:** 4 წლის ვადით ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ **კახა გენაძე** აირჩიეს.

**16. ფეხბურთი:** ევროპის ლიგის თასზე „ზესტაფონი" შინ 1:2 დამარცხდა „ჰელსინგბორგთან", „დინამომ" ლატვიაში „მეტალურგსთან" 1:2 წააგო, ხოლო „ოლიმპი" პოლონეთში „ლეგიასთან" 0:3 დამარცხდა.

**16-17: ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:** ბაქოში ოქროს გრან პრიზე **რამაზ ნოზაძემ** ვერცხლი მოიპოვა, კიდევ სამმა მოჭიდავემ ბრინჯაოს მედალი აიღო (**რევაზ ლაშხი, გენადი გოგიაშვილი** და **ბადრი ხასაია**).

**18-19: თავისუფალი ჭიდაობა:** ბაქოში ოქროს გრან პრიზე **მალხაზ ქურდიანმა** ვერცხლი მოიპოვა, **გიორგი საკანდელიძემ** - ბრინჯაო.

**23. ფეხბურთი:** ევროთასებს მხოლოდ თბილისის „დინამო" შემორჩა, რომელმაც საპასუხო მატჩში „მეტალურგსი" 3:1 დაამარცხა. „ზესტაფონი", „ვიტ ჯორჯია" და „ოლიმპი" ევროსარბიელს გამოემშვიდობნენ.

**30. ფეხბურთი:** უეფას ევროპის ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამომ" სერბულ „ცრვენა ზვეზდას" მოუგო - 2:0.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

რაგბი

## ლაბაძე ლომუსთან

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ერთ-ერთმა გამორჩეულმა მოთამაშემ, შერკინების მესამეხაზელმა **გია ლაბაძემ** გუშინ დილით ხელშეკრულება გააფორმა საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „მარსელთან".

ამრიგად, გიას პარტნიორების „კოლექციაში" თანამედროვე რაგბის ორი უდიდესი ზელანდიელი ვარსკვლავი მოიყრის თავს. შუამარბ **ტანა უმაგას**, რომელთანაც „ლაბო" ელიტური, პირველი დივიზიონის „ტულონში" თამაშობდა, ახლა გარემარბი **ჯონა ლომუ** დაემატება.

„მარსელის" ხელმძღვანელობამ მტკიცედ გადაწყვიტა, ფრანგული რაგბის მაჩანჩალა გუნდის რენომე მოიცილოს და ელიტაში გაერიოს. ამისათვის ისინი სახსრებს არ იშურებენ. ორი კვირის წინ „მარსელთან" კონტრაქტი ლომუმ გააფორმა. მას თან ჩამოჰყვა კიდევ ერთი ზელანდიელი, აქამდე ფრანგულ გრანდ „ტულუზში" მოთამაშე **ისოტოლო მაკა**, რომელსაც რვა ნომრის პოზიციაზე „ოლ ბლექსის" შემადგენლობაში ოთხჯერ უთამაშია.

ლაბაძესთან ერთად კონტრაქტი გააფორმა კიდევ ერთმა მესამეხაზელმა **მოჰამედ დრიდიმ**, რომელიც წინა სეზონში ბასკური „ბიარიცის" ღირსებას იცავდა.

აქვე დავძენთ, რომ „მარსელის" მწვრთნელი წლევანდელ სეზონში **ალენ იარდე** იქნება, რომელიც აქამდე მამუკა გორგოძის „მონპელიეს" დამრიგებელი იყო.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ტრანსფერები



ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი



ცურვა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# უკვე 29 რეკორდი

ცურვაში პლანეტის პირველობის ხუთი დღის შემდეგ, რომის „ფორო იტალიკოს" აუზში მსოფლიოს 29 რეკორდი დამყარდა! შედარებისთვის, 2007 წელს, მელბურნის აუზში 14-ჯერ გაუმჯობესდა რეკორდი და ეს შთამბეჭდავ შედეგად ჩაითვალა. წლევანდელი პირველობის დამთავრებამდე კიდევ სამი დღეა დარჩენილი და ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ რეკორდების რაოდენობა დაახლოებით ორმოცდაათს (!) მიაღწევს.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ ჩემპიონატში სხვა პლანეტიდან ჩამოსული სპორტსმენები მონაწილეობენ. მაგრამ თუ დავაკვირდებით, მოცურავეთა სახელები და გვარები იგივეა, აი, კოსტიუმები კი - სხვა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი დონის „ტექნიკური რევოლუცია" სპორტის რომელიმე სხვა სახეობაში ვიხილოთ. მაგალითად, ფეხბურთელები ჩაიცმევენ „სუპერბუცებს" და მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა შეხვედრა ორნიშნა რიცხვით დასრულდება. ასეთი პერსპექტივა, ალბათ, არ მოეწონება ყველა გულშემატკივარს. და ცურვაშიც გამოჩნდნენ უკმაყოფილოები. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ **მაიკლ ფელპსის** მწვრთნელი გერმანელ **პაულ ბიდერმანთან** მისი შეგირდის წაგების შემდეგ დაიმუქრა, რომ მაიკლს აუკრძალავს დიდ ტურნირებზე გამოსვლას, რადგან კოსტიუმმა გერმანელის უპირატესობა განაპირობა.

ცურვის საერთაშორისო ფედერაცია უკვე გამოეხმაურა ამ პრობლემას. მომავალი წლიდან მოცურავეები მხოლოდ ნაჭრისგან შეკერილი კომბინეზონებით გამოვლენ, რომელიც ფედერაციის სტანდარტების მიხედვით იქნება შეკერილი. აქ ისმის ერთი კითხვა: რა უყონ ახალ რეკორდებს? თუ მათ არ გაანულებენ, რომში მიღწეული შედეგები სამუდამო რეკორდებად დარჩება.

მეხუთე დღეს ყველა ფინალში მსოფლიოს რეკორდი დამყარდა. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გაიმარჯვა ამერიკელმა **რაიან ლოხტემ**. ეს დისტანცია წლების განმავლობაში მაიკლ ფელპსისა იყო - მას 200 მეტრი შერეული სტილი 2003, 2005 და 2007 წლების ჩემპიონატებში ჰქონდა მოგებული. წელს კი მაიკლმა თავი შეიკავა ამ დისციპლინაში გამოსვლაზე და თავის გამორჩენის შანსი მისცა ლოხტესა და უნგრელ **ლასლო ჩეხს**, რომლებიც, მაიკლის გადამკიდე, წინა წლებში ვერცხლსა და ბრინჯაოს სჯერდებოდნენ. ფელპსი ტრიბუნიდან ხარობდა თანამემამულის წარმატებით. თუმცა მაიკლი ბოლომდე კმაყოფილი ვერ იქნებოდა, რადგან რაიანმა მისი რეკორდი გააუმჯობესა.

ქალებში 200 მეტრი ბატერფლაის ფავორიტი მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი **ჟიგე ლიუ** იყო. ის 150 მეტრი დომინირებდა დისტანციაზე, მაგრამ ბოლო 50 მეტრი შეუდარებელი იყო ავსტრალიელი **ჯესიკა შიპერი** და მან 49 მეასედი წამი მოუგო ჩინელს. უიღბლოდ დარჩა კიდევ ერთი ფავორიტი, ამერიკელი **მერი დეშენცა**, რომელმაც წინა დღეს, ნახევარფინალური გაცურვისას მსოფლიოს რეკორდი დაამყარა.

იგივე სიტუაცია ვიხილეთ ქალებს შორის 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში. რუსმა **ანასტასია ზუევამ** მსოფლიოს რეკორდით მოიგო ნახევარფინალი, მაგრამ ფინალში საპრიზო სამეულში ვერ შევიდა. ასეთივე გაუგებრობაში მოხვდა რუსი სამი დღის წინ 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში - რეკორდი ნახევარფინალში და წაგება ფინალში. ასე რომ, ზუევასთვის მსოფლიოს რეკორდის დამყარება ცუდ ნიშნად იქცა. რაც შეეხება 50 მეტრზე გამარჯვებულს, აქ 18 წლის ჩინელმა **ჟინ ჟაომ** გაიმარჯვა.

ჩინეთის ნაკრებმა იმ დღეს მეორე ოქროც მოიპოვა. ქალების კვარტეტმა 4x200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტა მოიგო. აზიელები მთელი დისტანცია დამაჯერებლად ლიდერობდნენ, მაგრამ ბოლოს მათმა უპირატესობამ კლება იწყო, თუმცა ამერიკამ მაინც ვერ მოასწრო მეტოქის დაწევა (48 მეასედი წამი წააგო) და ვერცხლს დასჯერდა. მესამეზე ბრიტანეთის ნაკრები გავიდა. ჩინელებმა გააუმჯობესეს ავსტრალიის ნაკრების რეკორდი, რომელიც პეკინის ოლიმპიადაზე დაამყარეს.

იტალიელებს იმედი ჰქონდათ, რომ მათი კვარტეტი სამეულში შევიდოდა. ბოლო ეტაპზე ამ ჩემპიონატში ორი ოქროს მფლობელი **ფედერიკა პელეგრინი** ცურავდა. როცა ის დისტანციაზე გავიდა, იტალია ბოლო ადგილზე იყო. პელეგრინიმ ესტაფეტის ყველა მონაწილეს შორის საუკეთესო დრო აჩვენა, მაგრამ ეს მხოლოდ მეოთხე ადგილზე გასასვლელად აღმოჩნდა საკმარისი.

ამ დღის მთავარი ფინალი კაცებს შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა იყო. აქ ორი ფრანგი სპრინტერის - ოლიმპიური ჩემპიონის **ალენ ბერნარისა** და **ფრედერიკ ბუსკეს** დუელს ელოდნენ, მაგრამ საქმეში ბრაზილიელი **სეზარ სიელო ფილიო** ჩაერია და ბრწყინვალე საფინიშო სპურტით გამოსტაცა გამარჯვება ფრანგებს.

ბერნარის წაგება მისმა ცუდმა სტარტმა განაპირობა. ალენი კარგა ხანი მესამე ადგილზე იყო, მაგრამ მოახერხა თანამემამულის ჩამოტოვება და ვერცხლის მედალი მოიგო. ეს ბერნარის მეორე ვერცხლია ამ ჩემპიონატზე. მანამდე საფრანგეთის ნაკრებმა 4x100 მეტრი ესტაფეტა წააგო ამერიკის ნაკრებთან.

**კაცები**

**200 მ. კომპლექსური**

1. **რაიან ლოხტე** (აშშ) - 1:54.10 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **ლასლო ჩეხი** (უნგ) - 1:55.24 (+1.14); 3. **ერიკ შანტო** (აშშ) - 1:55.36 (+1.26).

**100 მ. თავისუფალი**

1. **სეზარ სიელო ფილიო** (ბრა) - 46.91 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **ალენ ბერნარი** (საფ) - 47.12 (+0.21); 3. **ფრედერიკ ბუსკე** (საფ) - 47.25 (+0.34).

**ქალები**

**200 მ. ბატერფლაი**

1. **ჯესიკა შიპერი** (ავსტრა) - 2:03.41 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **ჟიგე ლიუ** (ჩინ) - 2:03.90 (+0.49); 3. **კატინკა ჰოშუ** (უნგ) - 2:04.28 (+0.87).

**50 მ. გულაღმა**

1. **ჟინ ჟაო** (ჩინ) - 27.06 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **დანიელა სამულსკი** (გერ) - 27.23 (+0.17); 3. **ჩან გაო** (ჩინ) - 27.28 (+0.22).

**4x200 მ. თავისუფალი**

1. **ჩინეთი** (იუ იანი, ვეი კიან ჟუ, ჟინ ლიუ, იაინ პანგი) - 7:42.08 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **აშშ** (დანა ვოლმერი, ლეისი ნიმაიერი, არიანა კუკორსი, ელისონ შმიტი) - 7:42.56 (+0.48); 3. **ბრიტანეთი** (ჯოან ჯექსონი, ჯაზმინ კარლინი, კატლინ მაკლეტჩი, რებეკა ედლინგტონი) - 7:45.51 (+3.43).

კალათბურთი




# საფრანგეთმა პარკერი დაკარგა

ფრანგული გამოცემა „ეკიპის" ცნობით, „სან ანტონიო სპურსის" გამთამაშებელი **ტონი პარკერი** უახლოეს დღეებში სან ანტონიოში გაემგზავრება. იქ მას თავისი კლუბის ხელმძღვანელთა მოთხოვნით სამედიცინო შემოწმება ელის.

ეს ახალი ამბავი კი იმას ნიშნავს, რომ პარკერი, სავარაუდოდ, ვერ დაეხმარება საფრანგეთის ნაკრებს საკვალიფიკაციო ტურნირში, რომელშიც წლევანდელი ევრობასკეტის ერთადერთი ვაკანტური საგზური თამაშდება.

ტონიმ ტრავმა ავსტრიასთან საწვრთნელ მატჩში მიიღო და ამის გამო, ორი დღის წინ, უნგრეთის წინააღმდეგ ვერ ითამაშა. შედეგად, საფრანგეთმა ეს შეხვედრა მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით - 70:69 მოიგო.

ბუნებრივია, „სან ანტონიოს" არ სურს, ახალი სეზონის წინ თავისი ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი ტრავმირებული დაუბრუნდეს. მართალია, ფრანგი ექიმები ირწმუნებიან, რომ პარკერს ყველაფერი წესრიგში აქვს და ტრავმა სერიოზული არ არის, მაგრამ ამერიკულ მხარეს თავად სურს დარწმუნდეს ამ ინფორმაციის სისწორეში.

ტონის ამერიკაში გამგზავრება სერიოზულად შეუშლის ხელს საფრანგეთის ნაკრების მზადებას, რომელმაც 5 აგვისტოს უნდა ითამაშოს პირველი მატჩი საკვალიფიკაციო ტურნირში. ეს არის ჯგუფიდან გასასვლელი გადამწყვეტი შეხვედრა, რომელიც კალიარიში გაიმართება და ფრანგების მეტოქე მეორე ფავორიტი - იტალიის ნაკრები იქნება. საფრანგეთის ნაკრების სამწვრთნელო შტაბი დარწმუნებული არ არის, რომ პარკერი შეძლებს იტალიასთან თამაშს. „სპურსის" მიერ დაგეგმილი სამედიცინო შემოწმება უმოკლეს ვადაშიც რომ ჩატარდეს, პარკერს ოთხი ვარჯიში გაუცდება და იტალიაში მხოლოდ მატჩის დღეს დაბრუნდება.

თავად კალათბურთელი ამ სიტუაციასთან დაკავშირებით შემდეგს აცხადებს: *„სან ანტონიო" დაჟინებით მოითხოვს ამერიკაში სამედიცინო შემოწმების გავლას. სამწუხაროდ, მომიწევს კლუბის მოთხოვნას დავემორჩილო. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი მოკლე ვადებში მოგვარდება და მოვასწრებ საკვალიფიკაციო მატჩებში მონაწილეობის მიღებას*".

# ევროპამ გასოლი და რუბიო აირჩია

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ევროპულმა განყოფილებამ გასული წლის საუკეთესო მოთამაშეები გამოავლინა. ლაურეატები ესპანელი კალათბურთელები არიან.

FIBA-Europe-ის გენერალურმა მდივანმა **ნარ ზანოლინმა** კონტინენტის საუკეთესო კალათბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრ **პაუ გასოლს** გადასცა, ხოლო ესპანეთის „ხუვენტუდის" გამთამაშებელი **რიკი რუბიო** წლის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშე გახდა.

*„ჩემთვის დიდი პატივია ეს აღიარება, რომელიც გასული წლის შედეგების მიხედვით მივიღე. მოხარული ვარ, რომ უკან ჩამოვიტოვე ევროპული კალათბურთის დიადი ვარსკვლავები*", - განაცხადა გასოლმა, რომელიც გასულ სეზონში კარიერაში პირველად გახდა NBA-ის ჩემპიონი.

*„ზედიზედ მეორე წელია ამ პრიზს მე მაკუთვნებენ და ეს ძალიან მსიამოვნებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემს საქმეს კარგად ვაკეთებ. ვოცნებობ გავხდე ევროპის საუკეთესო მოთამაშე, მაგრამ ვიცი, რომ ამისთვის ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი*", - თავისი ოცნებები გაამხილა რუბიომ.




# ოდომმა მაინც ლეიკერსი არჩია



როგორც ჩანს, საბოლოოდ გაირკვა NBA-ის ჩემპიონის **ლამარ ოდომის** ბედი. გამოცდილმა ფორვარდმა ახალი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან" და შესაბამისად, უარით გაისტუმრა „მაიამი ჰიტის" წარმომადგენლები.

ESPN.com-ის ინფორმაციით, კონტრაქტი ოთხწლიანია (3+1 სისტემით) და კალათბურთელის შემოსავალი ჯამში 33 მილიონი დოლარი იქნება. კონტრაქტით გარანტირებულ პირველ სამ წელიწადს ოდომი 25 მილიონს მიიღებს. სამი წლის გასვლის შემდეგ, კლუბს უფლება აქვს გააუქმოს კონტრაქტი და კომპენსაციის სახით კალათბურთელს 2 მილიონს გადაუხდის.

ოდომი გასულ სეზონში „ლეიკერსის" ერთ-ერთი ლიდერი იყო. რეგულარულ ჩემპიონატში მისი საშუალო სტატისტიკა 11.3 ქულასა და 8.2 მოხსნას უდრიდა, პლეი ოფში კი ეს მაჩვენებლები გაიზარდა - 12.3 ქულა და 9.1 მოხსნა.

▪ ▪ ▪

**მარკო ბელინელის** გადაბირების შემდეგ, „ტორონტო რეპტორზმა" კიდევ ერთი ევროპელი ლეგიონერი დაიმატა. კანადურმა კლუბმა ერთწლიანი და 2-მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა სლოვენიელ **რადოსლავ ნესტეროვიჩს**.

33 წლის ცენტრი 2006-08 წლებში თამაშობდა „რეპტორზში", რის შემდეგაც ის „ინდიანა პეისერსს" **ჯერმეინ ო'ნილში** გაუცვალეს. ნესტეროვიჩის საშუალო კარიერული მონაგარი 7.0 ქულასა და 5.3 მოხსნას შეადგენდა.

▪ ▪ ▪

„იუტა ჯაზის" ლიდერმა **კარლოს ბუზერმა** კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აღარ აპირებს „ჯაზმენების" რიგებში გამოსვლას.

ჟურნალისტის კითხვაზე, ხედავს თუ არა ის თავის მომავალს „იუტასთან" ერთად, ბუზერმა მოკლედ უპასუხა: „არა".

ბუზერი შარშანდელ სეზონში მესამე იყო „ჯაზში" შედეგიანობის მხრივ. მის ანგარიშზე 16.2 ქულა იყო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კრივი




# სულთანი აღარ იჩხუბებს

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, რუსმა **სულთან იბრაჰიმოვმა** პროფესიული კარიერა დაასრულა. როგორც 34 წლის მოკრივის პრომოუტერი **ლეონ მარგულესი** ამბობს, მისმა შეგირდმა სპორტიდან წასვლა მარტივი მიზეზის გამო გადაწყვიტა - იბრაჰიმოვმა რინგზე საკმარისი თანხა გამოიმუშავა და აღარ სურს კარიერის გაგრძელება. სულთანის ბოლო ბრძოლა 2008 წლის თებერვლით თარიღდება. რუსმა WBO-ის ტიტული უკრაინელ **ვლადიმირ კლიჩკოს** დაუთმო.

2000 წელს, სიდნეის ოლიმპიადაზე იბრაჰიმოვმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. ფინალში რუსმა ლეგენდარულ კუბელ **ფელიქს სავონთან** წააგო, ორ წელიწადში კი პროფესიონალებში გადავიდა.

2007 წელს იბრაჰიმოვმა ამერიკელი **შენონ ბრიგზი** დაამარცხა და WBO-ის საჩემპიონო ქამარი მოიპოვა. იმავე წელს, მან ეს ტიტული ამერიკული კრივის ლეგენდის **ევანდერ ჰოლიფილდის** დამარცხების შემდეგ დაიცვა, 2008 წელს კი უმცროს კლიჩკოსთან დამარცხდა. სულ პროფესიულ რინგზე იბრაჰიმოვმა 24 ბრძოლა გამართა, აქედან 22 მოიგო, ერთი წააგო და ერთიც ფრედ დაასრულა.

მაისში მარგულესმა გამოაცხადა, რომ იბრაჰიმოვი დიდი სპორტიდან წავიდა, თუმცა თავად სპორტსმენმა არ დაადასტურა ეს ინფორმაცია. მაშინ მოკრივემ განაცხადა, რომ მომდევნო ბრძოლას ზაფხულში ან შემოდგომაზე გამართავდა, ხოლო მის მენეჯერს არ ჰქონდა მოკრივის ნაცვლად გადაწყვეტილების მიღების უფლება. სხვათა შორის, რუს მოკრივეს მარგულესის მიმართ დღემდე ფინანსური პრეტენზიები გააჩნია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ამბები

ფორმულა 1

## მარკის მარკები

ავსტრალიის საფოსტო სამსახურმა გადაწყვიტა უკვდავყოს გერმანიის გრან-პრიზე „რედ ბულის" პილოტ **მარკ უებერის** გამარჯვება. უახლოეს ხანში გაყიდვაში გამოვა საფოსტო მარკა 55 ცენტის ნომინალით, რომელიც „ნიურბურგრინგის" ტრასაზე ავსტრალიელი პილოტის ტრიუმფს მიეძღვნება.

უებერამდე ფორმულა 1-ის ისტორიას ავსტრალიელი პილოტის მხოლოდ ერთი გამარჯვება ახსოვს. ეს მოხდა 1981 წელს ლას ვეგასში, როცა ფინიშზე პირველი **ალან ჯონსი** მივიდა.

ჩოგბურთი

## კეოთავონგმა სეზონი დაამთავრა

ბრიტანელი ჩოგბურთელი **ენ კეოტავონგი**, რომელმაც სტენფორდის ტურნირის მსვლელობისას ტრავმა მიიღო, სეზონის ბოლომდე ველარ შეძლებს თამაშს. ეს ინფორმაცია თავად კეიოტავონგმა საკუთარ ვებგვერდზე გაავრცელა.

*„სეზონის ბოლომდე მომიწევს აღდგენითი პროცესის გავლა, - განაცხადა ბრიტანელმა. - სამწუხაროა, რომ ასეთი ხანგრძლივი შესვენება მიწევს, მაგრამ ისლა დამრჩენია, მოთმინებით დაველოდო ახალ სეზონს".*

## მოლიკმა დაბრუნება გადაწყვიტა

ავსტრალიელი **ალისია მოლიკი** პროფესიულ ჩოგბურთში დაბრუნებას აპირებს. როგორც Melbourne Herald Sun წერს, ჩოგბურთელმა მოირჩინა ფეხის ტრავმა და ახლა „მელბურნ-პარკის" კორტებზე ვარჯიშობს. როგორც მოლიკი ამბობს, ის აქცენტს წყვილთა თანრიგში გამოსვლაზე გადაიტანს, თუმცა არ აკონკრეტებს როდის შედგება მისი დაბრუნება.

შეგახსენებთ, რომ ავსტრალიელი ჩოგბურთელი, რომელიც თავის დროზე WTA-ის რეიტინგის პირველ ათეულში შედიოდა, გასული წლის სექტემბერში, 27 წლის ასაკში წავიდა დიდი სპორტიდან. ამის მიზეზი მრავალრიცხოვანი ტრავმა და ავადმყოფობა გახდა.

ოლიმპიზმი

## კამპანია დაიწყო

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა განაცხადების მიღება დაიწყო 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველი ქალაქებისგან. ამ თამაშების ორგანიზატორი 2011 წლის 6 ივლისს, სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანში სოკ-ის ალმასკომის სხდომაზე გახდება ცნობილი. პოტენციურ პრეტენდენტთა შორის არიან საფრანგეთის ანესი, გერმანიის მიუნხენი და ჩრდილოეთ კორეის პიონჩანგი. ეს უკანასკნელი მესამედ ცდის ბედს: წინა ორ შემთხვევაში პიონჩანგმა ვანკუვერთან და სოჭთან წააგო 2010 და 2014 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება.

ოლიმპიური კომიტეტი 15 ოქტომბრამდე დაელოდება კანდიდატთა განაცხადებს. პრეტენდენტი ქალაქების წარმომადგენლები ვალდებულნი იქნებიან მომავალი წლის თებერვალში დაესწრონ ვანკუვერის ოლიმპიადას და იქ ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ ოფიციალური განაცხადები. კანდიდატი ქალაქების საბოლოო სია 2010 წლის ივნისში გამოცხადდება.

ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| პორტუ-ასტონ ვილა | 1:2 |
| იუვენტუსი-რეალი | 2:1 |
| ბეიჯინგი-ვესტ ჰემი | 0:2 |
| ტოტენჰემი-ჰალი | 3:0 |
| ეინდჰოვენი-ბოლტონი | 2:2 |
| ჩელტენემი-ვესტ ბრომვიჩი | 2:1 |
| გიმარაეში-პორტსმუთი | 2:0 |

**გერმანიის თასი**

| | |
|---|---|
| ბაბელსბერგი-ლევერკუზენი | 0:1 |
| ბრაუნშვაიგი-კაიზერი | 0:1 |
| ინგოლშტადტი-აუგსბურგი | 1:2 |
| ოსნაბრიუკი-ჰანზა | 2:1 |
| ლიუბეკი-მაინცი | 1:1, დ.დ. 2:1 |
| ვეენი-ვოლფსბურგი | 1:4 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ჰერენვეენი-როდა | 0:0 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| სტანდარდი-სტ. ტრუიდენი | 2:2 |

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვასბი-ვასალუნდსი | 5:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ტურკუ-ტამპერე | 1:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ვინერი-რიდი | 2:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ავსტრია (ლ)-გრატკორნი | 2:1 |
| ავსტრია II-დორნბირნი | 1:1 |
| ჰარტბერგი-სტ. პოლტენი | 0:1 |
| ზალცბურგი II-ადმირა | 1:3 |
| ვენა-ლუშტენაუ | 1:3 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| კრინსი-შაფჰაუზენი | 3:0 |
| ლე მონი-ვოლენი | 1:5 |
| ლუგანო-ტუნი | 1:2 |
| ვინტერტური-ლოკარნო | 2:2 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| კორკი-ბრეი | 1:0 |
| დროგედა-ბოჰემიანსი | 1:1 |
| გალვეი-სლიგო | 1:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| უექსფორდი-კილდეირი | 0:3 |
| ლიმერიკი-სპორტინგი | 1:4 |
| მონეგანი-ეთლონი | 0:0 |
| შელბურნი-ფინ ჰარპსი | 2:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სპარტა-ბოჰემიანსი | 0:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დუკლა-პლუჩინი | 2:1 |
| ვიტკოვიცე-უსტი | 1:2 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| რუბინი-ნალჩიკი | 2:0 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| ტავრია-ჩერნომორეცი | 2:1 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| პოლონია (ბ)-ბელხატოვი | 1:0 |
| ლეჩია-არკა | 2:1 |

**ხორვატია**

| | |
|---|---|
| ზაგრები-ინკერი | 0:3 |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| ოლიმპია-რუდარი | 0:1 |
| დომჟალე-გორიცა | 1:4 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| ვაშაში-დიორი | 0:2 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ინტერნასიონალი-ოცელული | 0:1 |
| რაპიდი-პოლიტეხნიკა | 4:1 |

### წყალბურთი

**მს. ჩემპიონატი**

**ქალები. მე-3 ადგილი**

| | |
|---|---|
| რუსეთი-საბერძნეთი | 10:9 |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| აშშ-კანადა | 7:6 |

### ჩოგბურთი

**ATP. ჰამბურგი**

| | |
|---|---|
| ა. ბეკი-კრივოი | 6:4, 7:6 |
| დანიელი-სერა | 6:4, 7:6 |
| კიფერი-ბელუჩი | 6:3, 0:6, 0:6 |
| შარდი-ანდრეევი | 3:6, 3:6 |

**ATP. ლოს ანჯელესი**

| | |
|---|---|
| ისნერი-ბოლი | 4:6, 4:6 |
| კუერი-სელა | 6:3, 7:5 |

**ATP. უმაგი**

| | |
|---|---|
| სეპი-მასუ | 6:4, 6:4 |
| ფერერო-მ. გონსალესი | 7:5, 6:2 |
| დავიდენკო-ბოლელი | 7:6, 6:1 |
| ლუბიჩიჩი-მელცერი | 6:4, 6:7, 3:6 |

**WTA. სტამბოლი**

| | |
|---|---|
| პეტკოვიჩი-გოვორცოვა | 6:3, 6:3 |
| ჰრადეცკა-დომახოვსკა | 6:1, 5:7, 6:4 |
| ბაშჩინსკი-უ. რადვანსკა | 6:0, 6:1 |
| მედინა გარიგესი-დუშევინა | 1:6, 2:6 |

**WTA. სტენფორდი**

| | |
|---|---|
| დემენტიევა-ჰანტუხოვა | 6:2, 6:4 |

TV პროგრამა

### 1 აგვისტო. შაბათი

**იმედი**

**11:15** სპორტული კალეიდოსკოპი.
**13:00** იმედის ფსონი.

**I არხი**

**18:00** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:50** საფეხბურთო კლუბი.
**07:40** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-არსენალი.
**09:30** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**10:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-ბაიერნი.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** საფეხბურთო კლუბი.
**13:10** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. უიგანი-არსენალი.
**15:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**15:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. პორტუ-მანჩესტერ იუნ.
**17:20** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეალი.
**19:10** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ვერდერი.
**21:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**21:25** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ევერტონი.
**23:15** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ლივერპული.
**01:15** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**01:45** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
**03:35** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანსი-მარსელი.
**05:25** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ასტონ ვილა.

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**07:30** ახალი ამბები.
**07:50** დროთა კავშირი.
**07:55** ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
**08:00** ფიგურული სრიალი. გრანპრი. ფინალი. იტალია.
**10:20** დროთა კავშირი.
**10:25** ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
**10:30** მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრანპრი. შვედეთი.
**13:30** სპორტული გლობუსი - TRANS WORLD SPORT წარმოგიდგენთ.
**13:55** ახალი ამბები.
**14:10** რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. სტ. ელენსი-უიგანი.
**15:55** პროფესიული კრივი. საჩემპიონო ბრძოლა. ანტონიო მარგარიტო-შეინ მოსლი.
**17:55** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალბურთი. კაცები. მე-3 ადგილისთვის. რომი. იტალია (LIVE).
**19:30** დროთა კავშირი.
**19:55** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. VII დღე. რომი. იტალია (LIVE).
**22:30** სპორტული გლობუსი - TRANS WORLD SPORT წარმოგიდგენთ.
**22:55** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალბურთი. კაცები. ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**00:15** ახალი ამბები.
**00:35** დროთა კავშირი.
**00:40** ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
**00:45** ფრენბურთი. სეზონის საუკეთესო მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ოთხთა ფინალი. მე-3 ადგილისთვის. ისკრა (რუსეთი)-მაჩერატა (იტალია).
**03:05** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალბურთი. კაცები. მე-3 ადგილისთვის. რომი. იტალია.
**05:05** ახალი ამბები.
**05:25** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. VII დღე. რომი. იტალია.

**EUROSPORT**

**11:00** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. VII დღე. რომი. იტალია (LIVE).
**14:30** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. VI დღე. რომი. იტალია.
**15:00** ავტოსპორტი. რენოს მსოფლიო სერია. I რბოლა. პორტიმაო. პორტუგალია (LIVE).
**16:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. სტენფორდი. აშშ.
**17:00** პოლო. მსოფლიო სერია. დოვილი. საფრანგეთი (LIVE).
**19:00** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. VI დღე. რომი. იტალია.
**19:45** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. VII დღე. რომი. იტალია (LIVE).
**22:00** ავტოსპორტი. ლე მანის რბოლა ამტანობაზე. 1000 კმ. საფრანგეთი (LIVE).
**23:30** ცხენოსნობა. საერთაშორისო ტურნირი Global Champions. რიო დე ჟანეირო. ბრაზილია (LIVE).
**01:00** რალი. IRC-ის სერია. პორტუგალია (LIVE).
**01:30** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინეთი.
**02:00** ავტოსპორტი. რენოს მსოფლიო სერია. II რბოლა. პორტიმაო. პორტუგალია.
**02:45** ავტოსპორტი. ლე მანის რბოლა ამტანობაზე. 1000 კმ. საფრანგეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**10:00** რალი. IRC-ის სერია. პორტუგალია.
**10:30** ახალი ამბები.
**12:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ბეზიე. საფრანგეთი.
**13:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-პოლონეთი. ბეზიე. საფრანგეთი.
**14:00** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XX ტური (LIVE).
**16:00** ახალი ამბები.
**16:30** ფრიზბი (მფრინავი დისკი). მსოფლიოს თამაშები. ტაივანი.
**17:15** სპიდვეი. დანიის გრანპრი.
**18:15** სპიდვეი. ბრიტანეთის გრანპრი.
**19:15** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XX ტური.
**20:00** ბოულინგი. აშშ.
**21:00** ახალი ამბები.
**21:15** მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. ქალები. ბრომონი. კანადა (LIVE).
**00:30** პლაჟის რაგბი. საჩვენებელი ტურნირი. მარსელი. საფრანგეთი.
**01:00** ჩირლიდერების ტურნირი.
**02:00** ახალი ამბები.
**02:30** რალი. IRC-ის სერია. პორტუგალია.
**03:00** ახალი ამბები.

### 2 აგვისტო. კვირა

**იმედი**

**13:00** იმედის ფსონი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:15** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეალი.
**09:05** 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
**10:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ლივერპული-ჩელსი.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:25** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ვერდერი.
**14:15** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ევერტონი.
**16:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:25** ჰოლანდიის ჩემპიონატი. გრონინგენი-აიაქსი (LIVE).
**18:25** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ლივერპული.
**20:20** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:45** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. კანი-ბორდო.
**22:30** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-არსენალი.
**00:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-ბარსელონა.
**02:20** ჰოლანდიის ჩემპიონატი. გრონინგენი-აიაქსი.
**04:10** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. უიგანი-არსენალი.
**05:55** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. პორტუ-მანჩესტერ იუნ.

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**08:00** პროფესიული კრივი. საჩემპიონო ბრძოლა. ანტონიო მარგარიტო-შეინ მოსლი.
**10:00** ახალი ამბები.
**10:20** დროთა კავშირი.
**10:25** სპორტული ცეკვები. ევროპის ჩემპიონატი.
**12:45** ტყვიის სროლა. ევროპის ჩემპიონატი. ხორვატია.
**13:45** ახალი ამბები.
**14:00** კალათბურთი. WNBA-ის მიმოხილვა.
**14:30** ფრენბურთი. სეზონის საუკეთესო მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ოთხთა ფინალი. ფინალი. ირაკლისი (საბერძნეთი)-ტრენტინო (იტალია).
**17:00** რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. სტ. ელენსი-უიგანი.
**19:00** ახალი ამბები.
**19:15** დროთა კავშირი.
**19:25** საჭადრაკო მიმოხილვა.
**19:55** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. VIII დღე. რომი. იტალია (LIVE).
**22:05** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. სეზონის საუკეთესო მატჩები. კოლორადო-დეტროიტი.
**00:05** ახალი ამბები.
**00:25** დროთა კავშირი.
**00:30** ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
**00:35** ტაილანდური კრივი.
**01:30** ფრენბურთი. სეზონის საუკეთესო მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ოთხთა ფინალი. ფინალი. ირაკლისი (საბერძნეთი)-ტრენტინო (იტალია).
**04:00** ბეისბოლი. MLB-ის ჩემპიონატი (LIVE).

**EUROSPORT**

**10:30** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. VII დღე. რომი. იტალია.
**11:00** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. VIII დღე. რომი. იტალია (LIVE).
**13:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. სტენფორდი. აშშ.
**15:00** მძლეოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. ვატენშაიდი. გერმანია (LIVE).
**17:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. 1/2 ფინალი. უკრაინა.
**17:30** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. ფინალი. უკრაინა (LIVE).
**19:30** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. VII დღე. რომი. იტალია.
**19:45** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. VIII დღე. რომი. იტალია (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. ფინალი. უკრაინა.
**23:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. სტენფორდი. აშშ (LIVE).
**00:45** ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
**01:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. სტენფორდი. აშშ (LIVE).
**03:00** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინეთი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**10:00** რალი. IRC-ის სერია. პორტუგალია.
**10:30** ახალი ამბები.
**12:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-პოლონეთი. ბეზიე. საფრანგეთი.
**13:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ბეზიე. საფრანგეთი.
**14:00** ავტოსპორტი. ფორმულა სუპერლიგა. I რბოლა. დონინგტონი. ბრიტანეთი (LIVE).
**14:45** ახალი ამბები.
**15:00** მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. ბრომონი. კანადა.
**16:00** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XX ტური.
**17:00** სპიდვეი. მსოფლიოს თასი. პოლონეთი.
**18:00** ავტოსპორტი. ფორმულა სუპერლიგა. III რბოლა. დონინგტონი. ბრიტანეთი (LIVE).
**18:15** სპიდვეი. მსოფლიოს თასი. პოლონეთი.
**19:15** სკეიტბორდინგი.
**19:30** მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. კაცები. ბრომონი. კანადა.
**20:15** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. ფინალი. უკრაინა.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. კაცები. ბრომონი. კანადა.
**23:00** ავსტრალიური ფეხბურთი.
**00:30** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. ფინალი. უკრაინა.
**02:00** ახალი ამბები.



# ტიტულის გადასარჩენად

თურქეთში მსოფლიოს ჩემპიონატის მეშვიდე ეტაპის მოგების შემდეგ, ყველას ეგონა, რომ **ჯენსონ ბატონს** თითქმის გარანტირებული ჰქონდა ტიტული, მაგრამ მომდევნო სამ გრან-პრიში „ბრაუნს" აშკარა ჩავარდნა დაეწყო, კონკურენტებმა კი პირიქით, აშკარა პროგრესს მიაღწიეს. BBC მსჯელობს იმის სცენარების შესახებ, რომელთა წყალობითაც მოახერხებს ბატონი ჩემპიონატში ლიდერობის შენარჩუნებას.

### I სცენარი

ბატონისთვის საბოლოო გამარჯვების მოპოვების ყველაზე მყარი გარანტია, რა თქმა უნდა, „ბრაუნ გრან-პრის" პროგრესი იქნება. ჯენსონი კვლავინდებურად სოლიდური ჰანდიკაპით ლიდერობს ჩემპიონატს. უახლოესი კონკურენტს - **მარკ უებერს** ის 18.7 ქულით არის დაშორებული. ეს უპირატესობა ბრიტანელს მშვიდად ცხოვრების საშუალებას მისცემდა, რომ არა სიჩქარეში დიდი სხვაობა, რომელიც ბოლო დროს, „ბრაუნსა" და „რედ ბულს" შორის შეიმჩნევა.

ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში, **როს ბრაუნის** საჯინიბოს პირველი წარმატებების შემდეგ ცხადი იყო, რომ სხვა გუნდები, რომლებსაც უფრო მძლავრი ფინანსური შესაძლებლობები გააჩნიათ, სეზონის მსვლელობისას ალმოფხვრიდნენ სიჩქარეში ჩამორჩენას. მაგრამ ჯენსონ ბატონის სიტყვებით, „ბრაუნის" რეგრესი ფინანსური პრობლემებით არ არის გამოწვეული - უბრალოდ გუნდი საკუთარ თავთან აგებს.

უნგრეთის გრანპრიზე „ბრაუნს" მთელი რიგი აეროდინამიკური სიახლეები ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ ამან მოსალოდნელი შედეგი არ მოიტანა. ბოლიდის სიჩქარე კვლავაც ტრეკის ტემპერატურაზე იყო დამოკიდებული და რაც უფრო დაბლა იწევდა ის, მით უფრო ნელა მოძრაობდა „ბრაუნის" მანქანა. როს ბრაუნის გუნდის მთავარი პრობლემა საბურავის სწრაფი ცვეთა ითვლება.

*„საკვირველია, რომ ჯერ კიდევ პარასკევს მანქანა კარგად მუშაობდა და პრაქტიკულად ერთადერთი გუნდი ვიყავით, რომელსაც უკანა საბურავების ცვეთის პრობლემა არ აწუხებდა, - ამბობს ბატონი. - მაგრამ შაბათს, როცა მანქანა სტარტისთვის საჭირო საწვავით შევავსეთ, საბურავების მოქმედება უარესობისკენ შეიცვალა. იგივე განმეორდა რბოლის დროსაც. ჩვენს მანქანაზე რეზინა სწრაფად ირლვეოდა, მეტოქეებს კი პრობლემა არ ჰქონიათ".*

მიუხედავად ამისა, „ბრაუნის" ინჟინრებს ძალუძთ შეცვალონ ბოლიდის განვითარების მცდარი მიმართულება. იმ შემთხვევაში, თუ ბატონს ყოველ რბოლაში პოდიუმისთვის ბრძოლის შესაძლებლობა ექნება, დღევანდელი უპირატესობა მას ჩემპიონატის ბოლომდე ეყოფა.

### II სცენარი

„ბრაუნის" მთავარი მდევარი „რედ ბულია", მაგრამ ავსტრიულ გუნდში დღემდე ვერ გაურკვევიათ - ტიტულისთვის ბრძოლაში რომელ პილოტზე უნდა გააკეთონ აქცენტი. თავიდან სისწრაფეში **სებასტიან ფეტელის** უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ **მარკ უებერი** რბოლიდან რბოლამდე უმატებდა. შედეგად, ავსტრალიელმა თანაგუნდელი უკან ჩამოიტოვა და საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე გადავიდა. კვალიფიკაციაში უებერი კატასტროფულად აგებს გერმანელთან (1:9), მაგრამ უებერი რბოლებისას უფრო სტაბილურია, რაც მისი გამოცდილების დამსახურებაა.

„რედ ბულის" პილოტების შიდა დაპირისპირებამ, შესაძლოა, ბატონის წისქვილზე დაასხას წყალი. რა თქმა უნდა, ბრიტანელს მოუწევს რეგულარულად დააგროვოს ქულები, რათა მისი უპირატესობა სახიფათო ზღვრამდე არ შემცირდეს, მაგრამ სავსებით შესაძლებელია „რედ ბულის" წევრთა „ომმა" იოლად მიიყვანოს ბატონი ტიტულამდე.

### III სცენარი

ფორმულა 1-ის მე-60 ჩემპიონატი „ბრაუნისა" და „რედ ბულის" დაპირისპირებად გადაიქცა, მაგრამ არც გრანდები აპირებენ გულხელდაკრეფილი ყოფნას - მათ არ აკმაყოფილებთ პოდიუმზე იშვიათი გამოჩენა. უნგრეთში „მაკლარენმა" არა უბრალოდ მოუმატა, არამედ **ლუის ჰემილტონის** მონდომებით სეზონში პირველი რბოლაც მოიგო. კარგი ტემპი ჰქონდა „ფერარისაც". **ფელიპე მასას** საშინელი ავარიის შემდეგ, მარტო დარჩენილმა **კიმი რაიკონენმა** მეორე ადგილი დაიკავა.

საგულისხმოა, რომ მარკ უებერმა კონკურენტების უპირატესობას ვერაფერი მოუხერხა და მხოლოდ მესამე მივიდა ფინიშთან. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ფინიშზე ძალთა ასეთმა განლაგებამ ბატონს შეუწყო ხელი, რომელმაც ურთულეს ბრძოლაში მეშვიდე ადგილი დაიკავა. „რედ ბულის" პილოტი პირველ ადგილზე რომ გასულიყო, ის ბატონს არა ოთხ, არამედ ერთბაშად რვა ქულას აართმევდა.

რა არის „ბრაუნისთვის" და ბატონისთვის კარგი იმაში, თუ მაღალ ადგილებზე პრეტენდენტთა რიცხვი გაიზრდება? ერთი მხრივ, „პატარა" საჯინიბოს ქულების მოპოვება უფრო გაუჭირდება, ვიდრე ეს ჩემპიონატის დასაწყისში იყო. მეორე მხრივ, ჩასათვლელი ქულები უფრო მეტ პილოტს შორის გადანაწილდება, ხოლო უებერისა და ფეტელისგან განსხვავებით, „ფერარი" და „მაკლარენი" ჯერ ძალიან ჩამორჩებიან „ბრაუნს" და ჩემპიონობის მხოლოდ თეორიული შანსი გააჩნიათ.

# რენოს ბედი 17 აგვისტოს გაირკვევა

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის სააპელაციო სასამართლომ 17 აგვისტოსთვის დანიშნა „რენოს" პროტესტის განხილვა. საქმის მოსმენა პარიზში გაიმართება და მისი შედეგი 18 აგვისტოს გახდება ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ ფრანგულ საჯინიბოს ერთრბოლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს იმის გამო, რომ უნგრეთის გრან-პრიზე უსაფრთხოების წესები დაარღვია. **ფერნანდო ალონსოს** ბოლიდზე წინა მარჯვენა საბურავი კარგად არ იყო დამაგრებული. მიუხედავად ამისა, „რენოს" ინჟინრებმა ესპანელი ტრასაზე გაუშვეს. მეცხრე წრეზე ბორბალი მანქანას მოძვრა და კარგა ხანი ტრასაზე იფრინა. საბედნიეროდ, ამ ინციდენტის გამო არავინ დაშავებულა.

სწორედ ამის გამო, რბოლის სტიუარდებმა „რენოს" ვალენსიაში მომდევნო ეტაპზე გამოსვლა აუკრძალეს.

# შუმის ვარჯიში დაიწყო

**მიხაელ შუმახერმა** ფორმულა 1-ში დაბრუნებისთვის მზადება დაიწყო. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი უკვე ეწვია მარანელოში „ფერარის" ბაზას და იქ ბოლიდის სტიმულატორზე საჭესთან იმუშავა.

როგორც უკვე აღვნიშნავდით, 40 წლის გერმანელის ფორმულა 1-ში დაბრუნების მთავარი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ მას ევროპის გრან-პრის (23 აგვისტო) თავისუფალ ვარჯიშებამდე F60-ის გამოცდის საშუალება არ ექნება, რადგან წლევანდელი ჩემპიონატის ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, სეზონის მსვლელობისას ტესტები აკრძალულია. ასე რომ, შუმი მისთვის სრულიად ახალ მანქანას (რომელიც KERS-ის სისტემით არის აღჭურვილი) ოფიციალური კვალიფიკაციის წინ გაეცნობა.

შუმის სურს გამოიყენოს ერთი ფაქტორი, რომელიც რეგლამენტში არ არის გათვალისწინებული. ტესტები აკრძალულია თანამედროვე მანქანებზე, ძველ ბოლიდებზე კი წესებში არაფერი წერია. მიხაელი უახლოეს დღეებში მიმართავს კომპანია F1 Clienti-ს, რომელსაც ფორმულა 1-ის ძველი მანქანების დიდი პარკი აქვს. ნებისმიერ მდიდარ კლიენტს, რომელიც მზად არის „ფერარის" სარბოლო მანქანის მართვისთვის, შეუძლია ამ კომპანიის სამსახურით ისარგებლოს.

ეს ტესტები შუმის რეაქციისა და რეფლექსების აღდგენაში დაეხმარება.





# თვითმკვლელობა ყოფილა

ბრაზილიის პოლიციამ დაასრულა მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის **არტურო გატის** საქმის გამოძიება და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მოკრივემ თავი მოიკლა. გატის ქვრივი **ამანდა როდრიგესი**, რომელიც მეუღლის მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი, ციხიდან გაუშვეს.

როგორც გამოძიების ხელმძღვანელი **პაულუ ალბერეში** ამბობს, პოლიცია სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ დარწმუნდა იმაში, რომ საქმე თვითმკვლელობასთან ჰქონდათ. თუმცა გამომძიებელი არ ადასტურებს, რა უჩვენა პოლიციას გაკვეთის შედეგებმა. სასამართლომ დაადგინა, რომ როდრიგესი უდანაშაულოა და ის გუშინ გაათავისუფლეს.



შეგასენებთ, რომ არტურო გატი 11 ივლისს, ბრაზილიის ქალაქ პორტუ-დე-გალინიასის ერთ-ერთი სასტუმროს ნომერში მკვდარი იპოვეს. მოკრივის დაღუპვა პოლიციას ამანდა როდრიგესმა შეატყობინა, რომელიც მეორე დღეს მკვლელობაში ეჭვმიტანილის სტატუსით დააპატიმრეს და მოგვიანებით, ბრალი ოფიციალურად წაუყენეს.

გამოძიება ეჭვობდა, რომ როდრიგესმა ქმარი ჩანთის სახელურით დაახრჩო. ეს ნივთმტკიცება პოლიციამ შემთხვევის ადგილიდან ამოიღო. გატის დედისა და მეგობრის ჩვენებით, ცოლ-ქმარი ხშირად ჩხუბობდა და წყვილი გაყრას აპირებდა.

თავიდან პოლიცია საერთოდ არ განიხილავდა თვითმკვლელობის ვერსიას და როდრიგესი ამ საქმეში ერთადერთი ეჭვმიტანილი იყო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge